



გზამკვლევი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის
მე-18 მუხლის შესახებ

უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები

განახლებულია 2024 წლის 31 აგვისტო

დოკუმენტი მომზადებულია რეგისტრატურის მიერ. სასამართლოს არ ეკისრება რაიმე
ვალდებულება მასთან დაკავშირებით.

გამომცემლებს ან ორგანიზაციებს, რომლებსაც სურთ ამ გზამკვლევის მთლიანად ან ნაწილობრივ თარგმნა და/ან გამრავლება ბეჭდური ან ელექტრონული გამოცემის ფორმატში ავტორიზაციის პროცედურის შესახებ ინფორმაციის მისაღებად უნდა შეავსონ ფორმა „თარგმანის გამრავლების ან ხელახლა გამოქვეყნების თხოვნა“.

თუ გსურთ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რომელ ენებზე მიმდინარეობს ამჟამად პრეცედენტული სამართლის გზამკვლევების თარგმნა, გთხოვთ, იხილოთ [მიმდინარე თარგმანების](#) ჩამონათვალი.

წინამდებარე გზამკვლევი თავდაპირველად შედგენილია ინგლისურ ენაზე. მისი განახლება ხდება რეგულარულად, ხოლო ბოლოს განახლებულია 2024 წლის 31 აგვისტოს. ის შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.

პრეცედენტული სამართლის გზამკვლევების ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგი ვებგვერდიდან: <https://ks.echr.coe.int>. პუბლიკაციების შესახებ სიახლეების მისაღებად იხილეთ სასამართლოს ტვიტერის ანგარიში: https://twitter.com/ECHR_CEDH.

ეს თარგმანი გამოქვეყნებულია ევროპის საბჭოსა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს შეთანხმებით და თარგმნის სრული პასუხისმგებლობა ეკისრება თარგმანს. ტექსტის თარგმანი შესრულდა ევროპის საბჭოს პროექტის „[მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და პროფესიონალიზმის გაძლიერება საქართველოში](#)“ ფარგლებში.“

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2024 წ.

სარჩევი

შენიშვნა მკითხველისთვის.....	5
I. შესავალი.....	7
II. გამოყენების არე.....	11
A. მე-18 მუხლის დამხმარე ხასიათი	11
B. მე-18 მუხლის გამოყენებადობა.....	12
D. კონვენციის სხვა დებულებების საფუძველზე განხილული პრეტენზიები ფარული მიზნების შესახებ	16
E. როდის უნდა იქნეს გამოყენებული მე-18 მუხლი	18
III. შეზღუდვების მიზანი	20
A. ტერმინი „ფარული მიზანი“	20
B. მეთოდოლოგია და ზოგადი პრინციპები	22
1. ერთი მიზანი და მიზნების მრავლობითობა.....	22
2. ტერმინი „დომინანტური მიზანი“	24
3. ფარული მიზნის დანაშაულებრივი ხასიათი და ხარისხი.....	25
4. ხანგრძლივი მდგომარეობა	26
5. განმეორებითი შეზღუდვები და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დამკვიდრებული პრაქტიკა („პატერნი“)	26
6. რამდენიმე ფარული მიზნის არსებობის შესახებ პრეტენზიები	28
C. შეზღუდვები, რომლებიც გამოყენებულია მხოლოდ ფარული მიზნისთვის.....	28
1. საქმეები, რომლებიც არ ეხება ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დადგენილ პრაქტიკას	29
2. სისტემატური ქმედებები („პატერნი“), რომლებიც მიუთითებენ კონკრეტული პირის მიზანში ამოღებაზე.....	32
3. ძალაუფლების ბოროტად გამოყენება სისტემატურად, კონკრეტული ჯგუფების წინააღმდეგ.....	33
D. შეზღუდვები, რომლებიც ემსახურება რამოდენიმე მიზანს.....	39
1. ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დამკვიდრებულ პრაქტიკას არმქონე საქმეები	39
2. კონკრეტული ჯგუფების წინააღმდეგ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დამკვიდრებული პრაქტიკა („პატერნი“)	43
3. საქმეები, სადაც სასამართლომ ფარული მიზანი დომინანტურად არ მიიჩნია	44
IV. მტკიცებულებათა საკითხები	45

A. მტკიცებულებათა ზოგადი სტანდარტები	45
B. წინასწარი პატიმრობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციფიკური საკითხები	50
C. პოლიტიკური მიზნების არსებობის შესახებ პრეტენზიები.....	51
D. მტკიცებულებები, რომლებიც მე-18 მუხლის დარღვევის დადგენას იწვევს	57
1. პირდაპირი მტკიცებულებები	57
2. ირიბი მტკიცებულებები.....	58
a. საქმეები, რომლებიც არ ეხება ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დამკვიდრებულ პრაქტიკას.....	58
b. პრაქტიკა, რომელიც კონკრეტული პირების მიზანში ამოღებაზე მიუთითებს....	65
c. ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრაქტიკა, მიმართული კონკრეტული ჯგუფების წინააღმდეგ.....	67
E. დაუსაბუთებელი საჩივრები	72
ციტირებული საქმეების სია.....	83

შენიშვნა მკითხველისთვის

წინამდებარე გზამკვლევი არის ერთ-ერთი „პრეცედენტული სამართლის გზამკვლევიდან“, რომლებსაც გამოსცემს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში, „სასამართლო“, „ევროპული სასამართლო“ ან „სტრასბურგის სასამართლო“) და რომელთა დანიშნულებაა პრაქტიკოსი იურისტების ინფორმირება ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი ფუნდამენტური მნიშვნელობის გადაწყვეტილებების და განჩინებების შესახებ. წინამდებარე გზამკვლევში გაანალიზებული და შეჯამებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის შესახებ პრეცედენტული სამართალი (შემდგომში, „კონვენცია“ ან „ევროპული კონვენცია“). მკითხველები გაეცნობიან ძირითად პრინციპებს ამ სფეროში და შესაბამის პრეცედენტებს.

გზამკვლევში ციტირებული სასამართლო პრაქტიკის მაგალითები შეირჩა სასამართლოს წამყვანი, ძირითადი და/ან ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებებიდან და განჩინებებიდან.*

სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები ემსახურება არა მხოლოდ სასამართლოში წარდგენილი საქმეების გადაწყვეტას, არამედ, ზოგადად, კონვენციით დადგენილი წესების განმარტებას, დაცვას და განვითარებას, რითაც ხელს უწყობს სახელმწიფოების, როგორც კონვენციის ხელისშემკვრელი მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას (*Ireland v. the United Kingdom*, 1978 წლის 18 იანვარი, § 154, Series A no. 25, და შედარებით ახალი *Jerónovičs v. Latvia* [GC], no. 44898/10, § 109, 2016 წლის 5 ივლისი). ამრიგად, კონვენციით დადგენილი სისტემის დანიშნულებაა, განსაზღვროს საჯარო პოლიტიკის ზოგადი ინტერესების საკითხები და ამით აამაღლოს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები და განავრცოს ადამიანის უფლებათა სფეროში სასამართლო პრაქტიკა კონვენციის წევრ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მასშტაბით (*Konstantin Markin v. Russia* [GC], 30078/06, § 89, ECHR 2012). სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა სფეროში კონვენციას აქვს „ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციური დოკუმენტის“ ფუნქცია (*Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland* [GC], no. 45036/98, § 156, ECHR 2005-VI, და შედარებით ახალი *N.D. and N.T. v. Spain* [GC], nos. 8675/15 და 8697/15, § 110, 2020 წლის 13 თებერვალი).

კონვენციის No. 15 ოქმის თანახმად, კონვენციის პრეამბულაში შემოღებული იქნა სუბსიდიარობის პრინციპი. ეს პრინციპი „წევრ სახელმწიფოებსა და სასამართლოს საერთო პასუხისმგებლობას აკისრებს“ ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, ხოლო ეროვნულმა ხელისუფლებამ და სასამართლოებმა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია და გამოყენება უნდა მოახდინონ იმგვარად, რაც უზრუნველყოფს კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების სრულ მოქმედებაში მოყვანას. (*Grzęda v. Poland* [GC], § 324)

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიცავს მითითებებს საკვანძო სიტყვებზე, კონვენციის და მისი დამატებითი ოქმების თითოეულ ციტირებულ მუხლთან და დაკავშირებით. აქ განხილული საკითხები მოკლედ არის შეჯამებული *საკვანძო სიტყვების ჩამონათვალში*, რომელიც შედგება პირდაპირ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმებიდან (უმეტეს შემთხვევაში) აღებული ტერმინებისგან.

საკვანძო სიტყვების გამოყენებით, შესაძლებელია მიების წარმოება სასამართლოს პრეცედენტული სამართლის *HUDOC მონაცემთა ბაზაში*. საკვანძო სიტყვებით მიება მომხმარებელს საშუალებას აძლევს, მოიძიოს დოკუმენტთა ჯგუფი, რომელსაც მსგავსი სამართლებრივი შინაარსი აქვს (სასამართლოს დასკვნები და არგუმენტები თითოეულ საქმეში შეჯამებულია საძიებო სიტყვების საშუალებით). საძიებო სიტყვები ინდივიდუალურ საქმეებთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში, Case Details სექციაზე დაწკაპუნებით. HUDOC-ის მონაცემთა ბაზისა და საძიებო სიტყვების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ, იხილოთ *HUDOC-ის მომხმარებლის სახელმძღვანელო*.

* ციტირებული პრეცედენტული სამართლის მაგალითები, შესაძლოა, ხელმისაწვდომი იყოს სასამართლოსა და ყოფილი „ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიის“ (შემდგომში, „კომისია“) ერთ-ერთ ან ორივე ოფიციალურ ენაზე (ინგლისური და ფრანგული). თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ყველა წყარო წარმოადგენს სასამართლოს პალატის მიერ საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებულ განაჩენს. აბრევიატურა “(dec.)” მიუთითებს, რომ ციტირებულია სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო “[GC]” მიუთითებს, რომ საქმე განიხილა დიდმა პალატამ. პალატის გადაწყვეტილებები, რომლებიც წინამდებარე დოკუმენტის გამოქვეყნების მომენტში არ იყო საბოლოო, აღნიშნულია ვარსკვლავით (*).

I. შესავალი

კონვენციის მე-18 მუხლი - უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები

„დაუშვებელია ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით ნებადართული შეზღუდვების გამოყენება არა იმ მიზნით, რისთვისაც ისინია გათვალისწინებული.“

HUDOC-ის საძიებო სიტყვები

შეზღუდვების არაავტორიზებული მიზნებისთვის (18)

1. კონვენციის მე-18 მუხლის მიზანი და დანიშნულება არის ძალაუფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვა (*Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, §§ 303 და 306; *Ilgar Mammadov v. Azerbaijan* (დარღვევის საქმისწარმოება) [GC], 2019, § 189; *Kavala v. Türkiye* (დარღვევის საქმისწარმოება) [GC], 2022, § 144). მე-18 მუხლი შემუშავებულია ფართო მოქმედების ფარგლებით, რათა უზრუნველყოს დემოკრატიის დაცვა და კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ტოტალიტარიზმის საფრთხისგან. შესაბამისად, მუხლის მიზანია, აღკვეთოს კონვენციის მიერ დაცული უფლებებისა და თავისუფლებების ბოროტად და არალეგიტიმურად შეზღუდვა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედებების, მათ შორის, პოლიტიკური მოტივით განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის გზით, რაც ეწინააღმდეგება თავად კონვენციის არსს (*Ukraine v. Russia (re Crimea)* [GC], 2024, § 1335 – *ჯერ HUDOC-ზე გამოქვეყნებული არ არის*).

2. კონვენციის მომზადების სამუშაო დოკუმენტაციის (Travaux préparatoires) თანახმად, მე-18 მუხლი წარმოადგენს „ძალაუფლების არასწორი გამოყენების თეორიის გამოყენებას“ (*CDH (75) 11, გვ. 8*). იგი იცავს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ჩარევისგან „ისეთი უმნიშვნელო ზომების გამოყენების მეშვეობით, რომლებიც, მიუხედავად

იმისა, რომ ფორმალურად ემსახურება აღნიშნული თავისუფლებების განხორციელების ორგანიზებას სახელმწიფო ტერიტორიაზე ან კანონის ტექსტის დაცვას, საბოლოო ჯამში საწინააღმდეგო შედეგს იძლევა“ (*იქვე, გვ. 3*).

3. მე-18 მუხლი განამტკიცებს იმ დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებს კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას. მისი ფორმულირება – „არა იმ მიზნით, რისთვისაც ისინია გათვალისწინებული“ – მჭიდროდ შეესაბამება შესაბამისი დებულებების ფორმულირებას, მაგალითად, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მეორე წინადადებას და მე-8-მე-11 მუხლების მეორე პუნქტებს (*Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 287 და 293). თუმცა, მე-18 მუხლის დანიშნულება მხოლოდ შეზღუდვების გამოყენების ფარგლების განმარტება არ არის. იგი ასევე პირდაპირ უკრძალავს ხელმომწერ სახელმწიფოებს კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას ისეთ მიზნებისთვის, რომლებიც თავად კონვენციაში არ არის განსაზღვრული, და ამ თვალსაზრისით, მუხლი ატარებს *ავტონომიურ* ხასიათს (*იქვე*, § 288; *Mammadli v. Azerbaijan*, 2018, § 93; *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan*, 2018, § 116; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 164; *Korban v. Ukraine*, 2019, § 209; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 421; *Ahmet Hüsrev Altan v. Turkey*, 2021, § 234; *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, § 192; *Juszczyszyn v. Poland*, 2022, § 307).

4. ავტონომიური ფუნქციის პარალელურად, ევროპულმა სასამართლომ მე-18 მუხლი ასევე გამოიყენა როგორც სხვა დებულებების შემზღუდავი პუნქტების ინტერპრეტაციის დამხმარე ინსტრუმენტი (*Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 269):

- კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი:
Winterwerp v. the Netherlands, 1979, § 39;
Guzzardi v. Italy, 1980, § 102;
Ashingdane v. the United Kingdom, 1985, § 44;
Weeks v. the United Kingdom, 1987, § 42;
Kafkaris v. Cyprus [GC], 2008, § 117;
Kucheruk v. Ukraine, 2007, § 177.
- კონვენციის მე-8 მუხლის 2-ე პუნქტი:
De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium, 1971, § 93;
Gillow v. the United Kingdom, 1986, § 54.
- კონვენციის მე-10 მუხლის 2-ე პუნქტი:
Lingens v. Austria, 1986, § 36.
- კონვენციის მე-11 მუხლის 2-ე პუნქტი:
The United Macedonian Organisation Ilinden – PIRIN and Others v. Bulgaria (no. 2), 2011, § 83.

- კონვენციის მე-15 მუხლი:
[Lawless v. Ireland \(no. 3\)](#), 1961, § 38 (მუხლი “კანონის” შესახებ).
- N1 ოქმის 1-ლი მუხლი:
[Beyeler v. Italy](#) [GC], 2000, § 111.

5. კონვენციის მე-18 მუხლი იშვიათად გამოიყენება და ძალიან ცოტაა ისეთი საქმე, სადაც სასამართლომ საჩივარი ამ მუხლის საფუძველზე დასაშვებად ცნო, მით უფრო – დაადგინა მისი დარღვევა ([Khodorkovskiy and Lebedev v. Russia](#), 2013, § 898). კონვენციის მე-18 მუხლის საფუძველზე განვითარებული სასამართლო პრაქტიკის ყოვლისმომცველ ანალიზს შეიცავს საქმე [Merabishvili v. Georgia](#) [GC], 2017 (§§ 264–281).

6. იმის გათვალისწინებით, რომ მე-18 მუხლზე დაფუძნებული სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ მწირია, სასამართლო განსაკუთრებული ყურადღებით განიხილავს იმ საქმეებს, რომლებშიც წამოჭრილია უკანონო მოტივის არსებობის შესახებ პრეტენზიები ([Khodorkovskiy and Lebedev v. Russia](#), 2013, § 898).

7. სასამართლო მე-18 მუხლით გათვალისწინებული საჩივრების დასაშვებობას განიხილავს იმ კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც ჩამოყალიბებულია კონვენციის 34-ე მუხლში (ინდივიდუალური განცხადებები) და 35-ე მუხლში (დასაშვებობის კრიტერიუმები), ასევე სასამართლოს პრაქტიკაში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად (იხ. [Practical Guide on Admissibility Criteria](#); აგრეთვე, მრავალი სხვა მაგალითიდან, [Merabishvili v. Georgia](#) [GC], 2017, §§ 247–251; [Denisov v. Ukraine](#) [GC], 2018, § 136; [Rustavi 2 Broadcasting Company Ltd and Others v. Georgia](#), 2019, §§ 269, 274 და 318; [Khodorkovskiy and Lebedev v. Russia \(no. 2\)](#), 2020, § 621; [Kavala v. Turkey](#), 2019, § 201; [Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan](#), 2020, § 144; [Rustamzade v. Azerbaijan](#), 2019, § 58; და [Savalanli and Others v. Azerbaijan](#), 2022, § 107). სასამართლო ასეთ საჩივრებს განიხილავს მაშინაც კი, როცა სახელმწიფო მხარე სპეციალურ წინასწარ შესაგებელს არ წარადგენს (მაგ., [Korban v. Ukraine](#), 2019, §§ 204–205; [Aliyev v. Azerbaijan](#), 2018, § 191; [Natig Jafarov v. Azerbaijan](#), 2019, § 57; [Khadija Ismayilova v. Azerbaijan \(no. 2\)](#), 2020, § 106; [Yunusova and Yunusov v. Azerbaijan \(no. 2\)](#), 2020, § 180; [Ahmet Hüsrev Altan v. Turkey](#), 2021, § 229; [Mirgadirov v. Azerbaijan and Turkey](#), 2020, § 127; [Azizov and Novruzlu v. Azerbaijan](#), 2021, § 64).

8. საქმეში [Georgia v. Russia \(IV\)](#) (dec.), 2023 და [Ukraine v. Russia \(re Crimea\)](#) [GC], 2024, § 1341, სასამართლომ დასაშვებად ცნო განმცხადებელი სახელმწიფოს მიერ წარდგენილი საჩივარი, რომელიც ეხებოდა მოსარჩელე სახელმწიფოს მხრიდან

ადმინისტრაციული პრაქტიკის გამოყენებას, რაც ეწინააღმდეგებოდა მე-18 მუხლს, კონვენციის რამდენიმე მატერიალურ დებულებებთან ერთობლიობაში.

9. სასამართლომ 46-ე მუხლზე მიუთითა საქმეებში, სადაც დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა (*Aliyev v. Azerbaijan*, 2018, §§ 223–228; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, §§ 185–186; *Selahattin Demirtaş v. Turkey* (no. 2) [GC], 2020, §§ 441–442; *Kavala v. Turkey*, 2019, § 240; *Yuksekdag Senoglu and Others v. Türkiye*, 2022, § 655; დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ *Case-Law Guide on Article 46*).

10. საქმეში *Ilgar Mammadov v. Azerbaijan* (წარმოება დარღვევის შესახებ) [GC], 2019, სასამართლომ განსაზღვრა სახელმწიფო პასუხისმგებლობის ფარგლები, მას შემდეგ რაც საქმეში *Ilgar Mammadov v. Azerbaijan*, 2014 დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა, მე-5 მუხლთან ერთობლიობაში.

11. საქმეში *Kavala v. Türkiye* (დარღვევის შესახებ წარმოება) [GC], 2022, სასამართლომ, 46-ე მუხლის თანახმად პირდაპირი მითითებების როლის განმარტებისას, აღნიშნა, რომ თავად დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა საერთოდ არ რჩებოდეს რეალური არჩევანი იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც აუცილებელია დარღვევის აღმოსაფხვრელად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხებოდა დაკავებას, რომელიც სასამართლოს მიერ ცალსახად გაუმართლებლად იქნა მიჩნეული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად და არსებობდა დარღვევის შეწყვეტის გადაუდებელი აუცილებლობა, რაც განპირობებული იყო თავისუფლებისა და უსაფრთხოების ფუნდამენტური უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობით. აღნიშნული დასკვნა კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია, როდესაც დარღვევა პირდაპირ ებმის დაკავებას, რომელიც ამავდროულად ეწინააღმდეგება მე-18 მუხლს. შესაბამისად, 46-ე მუხლის თანახმად მითითებების (მაგალითად, განმცხადებლის დაუყოვნებლივ გათავისუფლების მოთხოვნის) გაცემა, ერთის მხრივ, აძლევს სასამართლოს საშუალებას, გადაწყვეტილების გამოცემის მომენტიდან, უზრუნველყოს კონვენციით გარანტირებული უფლებების ეფექტური დაცვა და თავიდან აიცილოს მათი დარღვევის გაგრძელება, და მეორეს მხრივ, დაეხმაროს მინისტრთა კომიტეტს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგის პროცესში. ამასთანავე, აღნიშნული მითითებები შესაბამის სახელმწიფოს საშუალებას აძლევს და ავალდებულებს, რაც შეიძლება სწრაფად აღმოფხვრას სასამართლოს მიერ დადგენილი კონვენციის დარღვევა (§§ 147–148).

12. მინისტრთა კომიტეტის პრაქტიკის მიმოხილვა იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება სასამართლოს მიერ მე-18 მუხლის დარღვევის დადგენის შემდგომ განჩინების აღსრულების ზედამხედველობას, წარმოდგენილია საქმეში *Ilgar Mammadov v. Azerbaijan* (დარღვევის შესახებ წარმოება) [GC], 2019 (§§ 104–114).

II. გამოყენების არე

A. მე-18 მუხლის დამხმარე ხასიათი

13. ისევე როგორც მე-14 მუხლის შემთხვევაში, კონვენციის მე-18 მუხლს არ გააჩნია დამოუკიდებელი გამოყენების არეალი; იგი შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ მუხლთან კავშირში, რომელიც განსაზღვრავს ან აკონკრეტებს იმ უფლებას ან თავისუფლებას, რომელთა დაცვაც ხელმომწერ სახელმწიფოებს მათ იურისდიქციაში მყოფ პირთა მიმართ ეკისრებათ (*Kamma v. the Netherlands*, კომისიის ანგარიში, 1974, გვ. 9; *Gusinskiy v. Russia*, § 73; *Cebotari v. Moldova*, 2007, § 49; *Khodorkovskiy v. Russia*, 2011, § 254; *OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia*, 2011, § 663; *Lutsenko v. Ukraine*, 2012, § 105; *Tymoshenko v. Ukraine*, 2013, § 294; *Ilgar Mammadov v. Azerbaijan*, 2014, § 137; *Rasul Jafarov v. Azerbaijan*, 2016, § 153; *Tchankotadze v. Georgia*, 2016, § 113; *Mammadli v. Azerbaijan*, 2018, § 93; *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan*, 2018, § 116; *Aliyev v. Azerbaijan*, 2018, § 198; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 164; *Navalnyy v. Russia* (no. 2), 2019, § 84; *Selahattin Demirtaş v. Turkey* (no. 2) [GC], 2020, § 421; *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, § 191; *Juszczyszyn v. Poland*, 2022, § 306; *Kogan and Others v. Russia*, 2023, § 67).

14. მისი დამხმარე ბუნებიდან გამომდინარე, მე-18 მუხლის საფუძველზე წამოჭრილი საჩივარი, რომელიც დაკავშირებულია კონვენციის რომელიმე მატერიალურ მუხლთან, იმავე ვადაში უნდა იქნას წარმოდგენილი, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი მატერიალური მუხლის საფუძველზე საჩივრის წარდგენასთან დაკავშირებით (*Avraamova v. Ukraine*, 2022, § 105).

15. ისევე როგორც მე-14 მუხლის შემთხვევაში, მე-18 მუხლის დარღვევას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მაშინაც კი, როდესაც ადგილი არ აქვს იმ მუხლის დარღვევას, რომელთან ერთადაც ის გამოიყენება (*Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 288; ასევე იხ. *Kamma v. the Netherlands*, კომისიის ანგარიში, 1974, გვ. 9; *Gusinskiy v. Russia*, 2004, § 73; *Cebotari v. Moldova*, 2007, § 49; *Aliyev v. Azerbaijan*, 2018, § 198; *Navalnyy v. Russia* [GC],

2018, § 164; *Selahattin Demirtaş v. Turkey* (no. 2) [GC], 2020, § 421; *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, § 192; *Juszcyszyn v. Poland*, 2022, § 307).

B. მე-18 მუხლის გამოყენებადობა

16. იმისათვის, რომ მე-18 მუხლი იყოს გამოყენებადი კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმების რომელიმე მატერიალურ მუხლთან ერთად, საჭიროა, ამ მატერიალური მუხლით გათვალისწინებულ უფლებაზე დაწესებული იყოს შეზღუდვა (*Josephides v. Turkey* (dec.), 1999, § 4; *Akhalaia v. Georgia* (dec.), 2022, § 67). იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამის მატერიალურ მუხლთან მიმართებით არ იკვეთება სადავო საკითხი და ჩარევა განმცხადებლის უფლებაში, მე-18 მუხლზე მითითება შეუძლებელია (*Rustavi 2 Broadcasting Company Ltd and Others v. Georgia*, 2019, §§ 316–317; *Akhalaia v. Georgia* (dec.), 2022, §§ 67–68; შეადარეთ *Juszcyszyn v. Poland*, 2022, §§ 284–286).

17. მე-18 მუხლის დარღვევა შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც შეზღუდვა ეხება ისეთ უფლებას ან თავისუფლებას, რომლის შეზღუდვაც კონვენციით დაშვებულია (*Kamma v. the Netherlands*, კომისიის ანგარიში, 1974, გვ. 9; *Oates v. Poland* (dec.), 2000; *Gusinskiy v. Russia*, 2004, § 73); ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც საქმე გვაქვს კვალიფიციურ უფლებასთან (*Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, §§ 265, 271 და 290; *Mammadli v. Azerbaijan*, 2018, § 93; *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan*, 2018, § 116; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 164; *Navalnyy v. Russia* (no. 2), 2019, § 84; *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia* (no. 2), 2020, § 620; *Selahattin Demirtaş v. Turkey* (no. 2) [GC], 2020, § 421; *Democracy and Human Rights Resource Centre and Mustafayev v. Azerbaijan*, 2021, § 98; *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, § 193; *Juszcyszyn v. Poland*, 2022, § 308; *Kogan and Others v. Russia*, 2023, § 67).

18. ამრიგად, საჩივარი, რომელიც ეფუძნება მე-18 მუხლს, აბსოლუტურ უფლებასთან ერთობილობაში, შეუთავსებელი იქნება კონვენციასთან *ratione materiae* თვალსაზრისით (*Timurtaş v. Turkey*, კომისიის ანგარიში, 1998, § 329; *Tretiak v. Ukraine* (Committee), 2020, §§ 66–68).

19. რაც შეეხება მე-18 მუხლის გამოყენებას პროცედურულ გარანტიებთან მიმართებით, სასამართლომ ამ მუხლის სავარაუდო დარღვევა განიხილა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან ერთობილობაში (გონივრულ ვადაში სასამართლო

განხილვის ან სასამართლო განხილვამდე გათავისუფლების უფლება) (*Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, § 80).

20. გარკვეული პერიოდის განმავლობაში არსებობდა გაურკვევლობა, შეიცავს თუ არა კონვენციის მე-6 და მე-7 მუხლები პირდაპირ ან ირიბ შეზღუდვებს, რომლებიც შეიძლება გახდეს სასამართლოს განხილვის საგანი მე-18 მუხლის შესაბამისად. სასამართლომ ეს საკითხი განიხილა საქმეში *Ukraine v. Russia (re Crimea)* [GC]. მან დაასკვნა, რომ მე-18 მუხლის მიზანი და დანიშნულება, როგორც ეს აღწერილია *travaux préparatoires*-ში, არ ითვალისწინებს მე-18 მუხლის ვიწრო გამოყენებას — მაგალითად, მხოლოდ იმ მუხლებთან მიმართებით, რომლებიც პირდაპირ განსაზღვრავენ შეზღუდვებს. შესაბამისად, აღნიშნული მუხლი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა მუხლებთან ერთად, რომლებიც მოიცავენ გარკვეულ შეზღუდვებს. მეორე მხრივ, აღნიშნული მუხლი არ გამოიყენება აბსოლუტურ უფლებებთან დაკავშირებით, რომელიც ასეთ შეზღუდვებს არ ექვემდებარება (*Ukraine v. Russia (re Crimea)* [GC], 2024, § 135). ამ კონტექსტში სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-6 მუხლი მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ შეზღუდვებს და რომ ამ მუხლით დაცული უფლებები წარმოადგენს გარანტიებს, რომელთა საშუალებითაც შეიძლება გამოვლინდეს სახელმწიფოს მხრიდან ფუნდამენტური დარღვევები. აქედან გამომდინარე, მე-18 მუხლი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კონვენციის მე-6 მუხლთან ერთად (*იქვე*, §§ 1337–1338). თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მე-7 მუხლით გარანტირებული უფლებები არ ექვემდებარება გადახვევას, სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-18 მუხლი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მასთან ერთად (*იქვე*, §§ 1339–1340).

21. კონვენციურ ორგანოებს განხილული აქვთ საჩივრები მე-18 მუხლის საფუძველზე, შემდეგ მუხლებთან ერთობლიობაში:

- მუხლი 5 – *Gusinskiy v. Russia*, 2004, § 78; *Cebotari v. Moldova*, 2007, § 53; *Khodorkovskiy v. Russia*, 2011, § 254; *Lutsenko v. Ukraine*, 2012, § 110; *Dochnal v. Poland*, 2012, § 114; *Tymoshenko v. Ukraine*, 2013, § 301; *Ilgar Mammadov v. Azerbaijan*, 2014, § 144; *Rasul Jafarov v. Azerbaijan*, 2016, § 163; *Tchankotadze v. Georgia*, 2016, § 110; *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, §§ 318–354; *Ramishvili and Kokhreidze v. Georgia* (dec.), 2007; *Mammadli v. Azerbaijan*, 2018, § 105; *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan*, 2018, § 127; *Aliyev v. Azerbaijan*, 2018, § 216; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 176; *Navalnyy v. Russia (no. 2)*, 2019, § 86; *Korban v. Ukraine*, 2019, § 225; *Batiashvili v. Georgia*, 2019, § 103; *Kavala v. Turkey*, 2019, § 232; *Natig Jafarov v. Azerbaijan*, 2019, § 71; *Ibrahimov and Mammadov*

- v. Azerbaijan*, 2020, § 158; *Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2)*, 2020, § 119; *Yunusova and Yunusov v. Azerbaijan (no. 2)*, 2020, § 195; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 402; *Sabuncu and Others v. Turkey*, 2020, § 235; *Şık v. Turkey (no. 2)*, 2020, § 194; *Ahmet Hüsrev Altan v. Turkey*, 2021, § 228; *Mirgadirov v. Azerbaijan and Turkey*, 2020, § 135; *Yuksekdag Senoglu and Others v. Türkiye*, 2022, § 640; *Kutayev v. Russia*, 2023, § 142; *Ugulava v. Georgia*, 2023, § 131; *Melia v. Georgia*, 2023, § 144; *Ukraine v. Russia (re Crimea)* [GC], 2024, § 1341;
- მუხლი 5 § 3 – *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, § 80;
 - მუხლი 6 – *Nastase v. Romania (dec.)*, 2014, §§ 105–109; *Khodorkovskiy v. Russia (no. 2) (dec.)*, 2011, § 16; *Lebedev v. Russia (no. 2) (dec.)*, 2010, §§ 310–314; *Ukraine v. Russia (re Crimea)* [GC], 2024, § 1341;
 - მუხლი 8 – *Bîrsan v. Romania (dec.)*, 2016, § 73; *Khodorkovskiy v. Russia (no. 2) (dec.)*, 2011, § 16; *Lebedev v. Russia (no. 2) (dec.)*, 2010, §§ 310–314; *Aliyev v. Azerbaijan*, 2018, § 216; *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia (no. 2)*, 2020, §§ 624–626; *Ovcharenko and Kolos v. Ukraine*, 2023, § 136; *Juszczyszyn v. Poland*, 2022, § 338; *Kogan and Others v. Russia*, 2023, § 77; *Ukraine v. Russia (re Crimea)* [GC], 2024, § 1341;
 - მუხლი 9 – *C.R. v. Switzerland (dec.)*, 1999.
 - მე-10 მუხლი – *Şener v. Turkey*, 2000, §§ 59–62; *Sabuncu and Others v. Turkey*, 2020, § 235; *Şık v. Turkey (no. 2)*, 2020, § 194; *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, § 214; *Ukraine v. Russia (re Crimea)* [GC], 2024, § 1341;
 - მე-11 მუხლი – *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 176; *Ukraine v. Russia (re Crimea)* [GC], 2024, § 1341;
 - 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი – *Isik v. Turkey*, Commission, 1995; *OA O Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia*, 2011, §§ 663–666; *Bîrsan v. Romania (dec.)*, 2016, § 73; *Rustavi 2 Broadcasting Company Ltd and Others v. Georgia*, 2019, §§ 316–317; *Democracy and Human Rights Resource Centre and Mustafayev v. Azerbaijan*, 2021, §§ 97–98;
 - მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი – *Democracy and Human Rights Resource Centre and Mustafayev v. Azerbaijan*, 2021, §§ 97–98.

22. თუ მოპასუხე სახელმწიფოსთვის არ იყო გადაგზავნილი შეტყობინება მე-18 მუხლის საფუძველზე (შესაბამის მუხლებთან ერთობლიობაში) წარდგენილი საჩივრის შესახებ, ხოლო მხარეებისთვის არ ყოფილა დასმული კონკრეტული კითხვები ამ საკითხზე, სასამართლო საჩივარს არ განიხილავს მე-18 მუხლის საფუძველზე, აღნიშნულ მატერიალურ მუხლთან ერთობლიობაში. იგი საჩივარს

განიხილავს მე-18 მუხლის საფუძველზე მხოლოდ იმ მატერიალურ მუხლებთან ერთობლიობაში, რომელთა შესახებაც შეტყობინება გაეგზავნა სახელმწიფოს, მოპასუხე მთავრობისთვის საქმის კომუნიცირებისას (*Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 402; *Yuksekdag Senoglu and Others v. Türkiye*, 2022, § 623).

23. სასამართლოს ჯერ არ განუხილავს საჩივარი მე-18 მუხლის საფუძველზე რომელიმე მატერიალურ მუხლთან ერთობლიობაში, როდესაც შესაბამისი მატერიალური მუხლის საფუძველზე ცალკე წარდგენილი საჩივარი პროცედურულ საფუძველზე დაუშვებლად იყო ცნობილი. მაგალითად, საქმეში *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, განმცხადებელთა საჩივარი კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტთან დაკავშირებით (დაკავება „გონივრული ეჭვის“ არარსებობის გამო) უარყოფილ იქნა იმ საფუძველზე, რომ არ იყო ამოწურული შიდა სამართლებრივი გზები. სასამართლომ არ განიხილა ცალკე მე-18 მუხლის საფუძველზე ის, თუ რამდენად ემსახურებოდა დაკავება მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზანს. მან განიხილა მე-18 მუხლი მხოლოდ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან ერთად, რადგან ამ უკანასკნელის საფუძველზე წარდგენილი საჩივარი დასაშვებლად იქნა ცნობილი (იქვე, §§ 68 და 70).

24. იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებლის უფლებები დაექვემდებარა სხვა არსებითი მუხლებით გათვალისწინებულ შეზღუდვებს პატიმრობის შესახებ განჩინების ფარგლებში და, როგორც ასეთი, მათგანგანუყოფელია, სასამართლომ შესაძლოა მიზანშეწონილად მიიჩნიოს მე-18 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივრის განხილვა მხოლოდ მე-5 მუხლთან ერთობლიობაში (*Navalnyy v. Russia (no. 2)*, 2019, § 86).

25. დღეის მდგომარეობით, სასამართლოს მე-18 მუხლის დარღვევა დადგენილი აქვს შემდეგ მუხლებთან ერთობლიობაში:

- მუხლი 5 – *Gusinskiy v. Russia*, 2004, § 78; *Cebotari v. Moldova*, 2007, § 53; *Lutsenko v. Ukraine*, 2012, § 110; *Tymoshenko v. Ukraine*, 2013, § 301; *Ilgar Mammadov v. Azerbaijan*, 2014, § 144; *Rasul Jafarov v. Azerbaijan*, 2016, § 163; *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 354; *Mammadli v. Azerbaijan*, 2018, § 105; *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan*, 2018, § 127; *Aliyev v. Azerbaijan*, 2018, § 216; *Navalnyy v. Russia* [GC], § 176; *Navalnyy v. Russia (no. 2)*, 2019, § 99; *Natig Jafarov v. Azerbaijan*, 2019, § 71; *Kavala v. Turkey*, 2019, § 232; *Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan*, 2020, § 158; *Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2)*, 2020, § 120;

- Yunusova and Yunusov v. Azerbaijan (no. 2)*, 2020, § 195; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 438; *Yuksekdag Senoglu and Others v. Türkiye*, 2022, § 640; *Kutayev v. Russia*, 2023, § 142; *Ukraine v. Russia (re Crimea)* [GC], 2024, § 1382;
- მუხლი 5 § 3 – *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, § 80;
 - მუხლი 6 – *Ukraine v. Russia (re Crimea)* [GC], 2024, § 1382.
 - მუხლი 8 – *Aliyev v. Azerbaijan*, 2018, § 216; *Juszczyszyn v. Poland*, 2022, § 338; *Kogan and Others v. Russia*, 2023, § 78; *Ukraine v. Russia (re Crimea)* [GC], 2024, § 1382;
 - მუხლი 10 – *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, § 214; *Ukraine v. Russia (re Crimea)* [GC], 2024, § 1382;
 - მუხლი 11 – *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 176; *Ukraine v. Russia (re Crimea)* [GC], 2024, § 1382;
 - 1-ლი დამატებითი ოქმი, მუხლი 1 – *Democracy and Human Rights Resource Centre and Mustafayev v. Azerbaijan*, 2021, § 111;
 - 1-ლი დამატებითი ოქმი, მუხლი 2 – *Democracy and Human Rights Resource Centre and Mustafayev v. Azerbaijan*, 2021, § 111.

D. კონვენციის სხვა დებულებების საფუძველზე განხილული პრეტენზიები ფარული მიზნების შესახებ

26. კონვენციით დაცულ უფლებებზე შეზღუდვების დაწესების უკან ფარული მოტივებისა და არასათანადო მიზნების არსებობის შესახებ პრეტენზიები გარკვეულ შემთხვევებში განიხილება კონვენციის მატერიალური მუხლების ფარგლებშიც.

- მუხლი 5 § 1 – იმ შემთხვევაში, თუ იკვეთება აშკარა დარღვევა, რომელიც კონტექსტის გათვალისწინებით მიუთითებს იმაზე, რომ თავისუფლების აღკვეთის მთავარი მიზანი ფარული იყო, სასამართლო ასკვნის, რომ არ არსებობდა ლეგიტიმური საფუძველი და ადგენს მე-5 მუხლის § 1-ის დარღვევას. სასამართლომ ასეთად მიიჩნია შემდეგი შემთხვევები:
 - განმცხადებლები დაკავებული იყვნენ ბუნდოვანი ან ხელოვნურად შექმნილი ბრალდებების საფუძველზე, ან მათი დაკავება გახანგრძლივდა, მათი აქციებში მონაწილეობის აღკვეთის მიზნით ან იმისათვის, რომ დაკავებულები აქციებში მონაწილეობისთვის დაესაჯათ (*Shimovolos v. Russia*, 2011, §§ 52–57; *Hakobyan and Others v. Armenia*, 2012, § 123; *Nemtsov v. Russia*, 2014, § 103; *Gafgaz Mammadov v. Azerbaijan*, 2015, §§ 107–108; *Kasparov v. Russia*, 2016, §§ 50–56; *Huseynli and Others*

- v. Azerbaijan*, 2016, §§ 146–147; *Ibrahimov and Others v. Azerbaijan*, 2016, §§ 126–127; *Navalnyy and Yashin v. Russia*, 2014, §§ 92–95);
- შესაბამისი ორგანოს მიერ პროცედურებით მანიპულირების შედეგად გაჭიანურდა დაკავებისთვის სასამართლოს განჩინების მიღების პროცესი, რაც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული (*Oleksiy Mykhaylovych Zakharkin v. Ukraine*, 2010, §§ 86–88), ან განხორციელდა შენიღბული ექსტრადიცია (*Bozano v. France*, 1986, §§ 59–60; *Nowak v. Ukraine*, 2011, § 58; *Azimov v. Russia*, 2013, §§ 163, 165; *Eshonkulov v. Russia*, 2015, § 65);
 - განმცხადებელი უკანონოდ გაიტაცეს და გადასცეს სხვა სახელმწიფოს (*Iskandarov v. Russia*, 2010, §§ 109–115, 148–151);
 - შესაბამისმა ორგანოებმა თავშესაფრის მამიებლები დაიბარეს ფორმალური განცხადების წარსადგენად და მოიპოვეს მათი ნდობა, მათი დაკავებისა და გამეგების მიზნით (*Čonka v. Belgium*, 2002, § 41);
 - ერთმა სახელმწიფომ, რეპრესიული ღონისძიებისთვის, მეორე სახელმწიფოს მოქალაქეები დააკავა განურჩევლად, მასობრივი დეპორტაციისთვის (*Georgia v. Russia (I)* [GC], 2014, §§ 185–186);
 - განმცხადებელი დაკავებული იყო მისი ძმის მიმართ დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეში ზემოქმედების ბერკეტის მოსაპოვებლად (*Giorgi Nikolaishvili v. Georgia*, 2009, § 57);
 - განმცხადებელი დააკავეს როგორც მოწმე, თუმცა, გამომძიებლის რეალურ განზრახვას წარმოადგენდა მისთვის ბრალის წაყენება - იმისათვის, რომ სამართალწარმოების ადგილი გადაეტანათ მათთვის ხელსაყრელ სხვა ადგილას (*Khodorkovskiy v. Russia*, 2011, § 142);
 - მომჩივნის მიმართ დაწყებული სისხლის სამართლის წარმოებაში შეინიშნებოდა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების იგივე მოდელი, რაც მთავრობის კრიტიკოსებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ დაწყებული სამართალწარმოებაში, რომელიც სასამართლომ მანამდე მე-18 მუხლის დარღვევად მიიჩნია; სასამართლო დაეყრდნო აღნიშნულ ფაქტორს და დაასკვნა, რომ მომჩივნის თავისუფლების აღკვეთა არ ეფუძნებოდა „გონივრულ ეჭვს“ მომჩივნის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (გ) ქვემუხლის შესაბამისად (*Ayyubzade v. Azerbaijan*, 2023, §§ 48–54).
- მე-6 მუხლი – საქმეში *Jordan v. the United Kingdom*, 2004, სისხლისსამართლებრივი დევნა განმცხადებლის მიმართ შეჩერდა

ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძველზე, მათ შორის იმ პირობით, რომ იგი არ ჩაერთვებოდა არც პოლიტიკურ, არც სოციალურ და არც პირად საქმიანობაში, რაც დაადასტურებდა, რომ მას, ჯანმრთელობის მიუხედავად, მართლაც ჰქონდა სასამართლოს წინაშე წარდგომის შესაძლებლობა. სასამართლომ გამოიკვლია, წარმოადგენდა თუ არა აღნიშნული პირობა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის სანაცვლოდ პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვის მაგალითს. საქმეში *Nikëhasani v. Albania*, 2022, სასამართლომ განიხილა პროკურორის სხვადასხვა საჩივარი, რომელიც კეთილსინდისიერების შემოწმების („ვეტინგის“) შედეგად, ფინანსურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული სერიოზული ეჭვების გამო თანამდებობიდან გაათავისუფლეს. კერძოდ, სასამართლომ უარყო მომჩივნის პრეტენზიები, რომ ვეტინგის ჩატარების ფორმა ემსახურებოდა ფარული მიზნის განხორციელებას — მისი წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებული დევნის წარმოებას, არსებითად, მისი ქმრის პოლიტიკურ შეხედულებათა და საქმიანობასთან დაკავშირებით (§ 77).

- **მე-10 მუხლი** – საქმეში *NIT S.R.L. v. the Republic of Moldova* [GC], 2022, სასამართლომ, მათ შორის, განიხილა, ემსახურებოდა თუ არა სატელევიზიო არხისთვის მაუწყებლობის ლიცენზიის გაუქმება პოლიტიკური პლურალიზმის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნის დარღვევის შემდეგ არხის მთავრობისადმი კრიტიკული შეხედულებების გამოხატვისთვის ხელის შეშლას, ან რაიმე სხვა ფარული მიზნის განხორციელებას (§ 222).
- **მე-11 მუხლი** – საქმეში *The United Macedonian Organisation Ilinden – PIRIN and Others v. Bulgaria (no. 2)*, 2011, სასამართლომ შეისწავლა, ისახავდა თუ არა მომჩივანი პარტიის რეგისტრაციაზე უარი მიზნად მისი შეხედულებებისა ან პოლიტიკის გამო დასჯას (§§ 85–89).
- **მე-14 მუხლი მე-11 მუხლთან ერთად** – საქმეში *Bączkowski and Others v. Poland*, 2007, სასამართლომ შეისწავლა, იყო თუ არა ჰომოფობიის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო მსვლელობის ჩატარებაზე უარის თქმის მიზეზი მერის საჯაროდ გამოხატული ჰომოფობიური მოსაზრებები. (§§ 97 და 100).

E. როდის უნდა იქნეს გამოყენებული მე-18 მუხლი

27. კონვენციით დაცულ უფლებასა და თავისუფლებაზე შეზღუდვის დაწესება, რომელიც სრულად არ აკმაყოფილებს იმ დებულების მოთხოვნებს, რომელიც აღნიშნული შეზღუდვის დაწესების შესაძლებლობას იძლევა, თავისთავად არ განაპირობებს მე-18 მუხლის ამოქმედებას. ამ მუხლის საფუძველზე საჩივრის ცალკე

განხილვა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცხადია, რომ შეზღუდვა მიზნად ისახავდა კონვენციით განსაზღვრულისგან განსხვავებულ მიზანს, რაც საქმეში წარმოადგენს ფუნდამენტურ კომპონენტს (*Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 291; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 421; *Mammadli v. Azerbaijan*, 2018, § 97; *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan*, 2018, § 120; *Aliyev v. Azerbaijan*, 2018, § 199; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 164; *Navalnyy v. Russia (no. 2)*, 2019, § 92; *Kavala v. Turkey*, 2019, § 198; *Natig Jafarov v. Azerbaijan*, 2019, § 63; *Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan*, 2020, § 150; *Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2)*, 2020, § 112; *Yunusova and Yunusov v. Azerbaijan (no. 2)*, 2020, § 186; *Sabuncu and Others v. Turkey*, 2020, § 252; *Şık v. Turkey (no. 2)*, 2020, § 211; *Ahmet Hüsrev Altan v. Turkey*, 2021, § 234; *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, § 68; *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, §§ 194, 203; *Juszczyszyn v. Poland*, 2022, § 309; *Kogan and Others v. Russia*, 2023, § 69).

28. როდესაც მხარეთა არგუმენტები მე-18 მუხლთან დაკავშირებით არსებითად იმეორებს კონვენციის შესაბამისი მუხლის საფუძველზე წამოჭრილ საკითხებს, მომჩივნის უფლებებში სავარაუდო ჩარევასთან დაკავშირებით, სასამართლოს არ გააჩნია საფუძველი მიიჩნიოს, რომ მე-18 მუხლით წარდგენილი საჩივარი წარმოადგენს საქმის ფუნდამენტურ ასპექტს (*Razvozzhayev v. Russia and Ukraine and Udaltsov v. Russia*, 2019, § 305). ამრიგად, მანამ, სანამ სასამართლო საჩივრის მე-18 მუხლის საფუძველზე განხილვას დაიწყებს, ის ჯერ დაადგენს, საჩივრის არსი ხომ არ არის განხილული შესაბამისი არსებითი მუხლის საფუძველზე (*Korban v. Ukraine*, 2019, § 204; *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia (no. 2)*, 2020, § 622; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 401; *Democracy and Human Rights Resource Centre and Mustafayev v. Azerbaijan*, 2021, § 103; *Juszczyszyn v. Poland*, 2022, § 317). ასეთ შემთხვევაში, სასამართლო, როგორც წესი, მიიჩნევს, რომ მე-18 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივარი არ წარმოშობს რაიმე ცალკე საკითხს (*Navalnyy and Gunko v. Russia*, 2020, §§ 96–98; *Staykov v. Bulgaria*, 2021, §§ 120–121). სასამართლომ შესაძლოა ამ მიდგომას მიმართოს მაშინაც კი, თუ მან იმავე განმცხადებლის სხვა საქმეში უკვე დაადგინა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ტენდენცია, რომელიც მომჩივნის მიმართ მიზანმიმართული დევნის განხორციელებაზე მიუთითებს (*Navalnyy and Others v. Russia*, 2022, § 18). ამასთან, სასამართლომ შესაძლოა არ დაადგინოს მე-18 მუხლის ცალკე დარღვევა იმ შემთხვევაშიც, როდესაც უკვე დადგენილია შესაბამისი მატერიალური მუხლის საფუძველზე, რომ მომჩივნის საქმეში აღინიშნება ძალაუფლების არასათანადოდ გამოყენების იგივე ტენდენცია, რომლის იდენტიფიცირებაც სასამართლომ უკვე მოახდინა შესაბამისი სახელმწიფოს მიმართ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებაში (*Ayyubzade v. Azerbaijan*, 2023, § 60).

სასამართლომ, შესაძლოა, ასევე, არ დაადგინოს მე-18 მუხლის დარღვევა (*Udaltsov v. Russia*, 2020, §§ 195–196).

29. სასამართლო, როგორც წესი, თავად არ აყენებს მე-18 მუხლის გამოყენების საკითხს. თუმცა, საქმეში *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, მან აღნიშნული საკითხი *ex officio* უფლებამოსილების ფარგლებში წამოჭრა და დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა (ასევე იხ. *Haziye v. Azerbaijan*, 2018, § 43; *Rustamzade v. Azerbaijan*, 2019, § 56 და *Savalanli and Others v. Azerbaijan*, 2022, § 107 – აღნიშნული საქმეების მოპასუხე სახელმწიფოსთვის გადაგზავნისას (კომუნიცირებისას, სასამართლომ თავისი ინიციატივით დასვა კითხვა მე-18 მუხლთან დაკავშირებით, თუმცა საბოლოოდ დაასკვნა, რომ საკითხი ცალკე განხილვას არ საჭიროებდა, ან იგი არც ფორმალურად და არც შინაარსობრივად არ იყო დაყენებული ეროვნულ დონეზე).

30. სასამართლოს, ასევე, განხილული აქვს საჩივრები, რომლებიც არსებითად 18-ე მუხლს შეეხებოდა. (*Lutsenko v. Ukraine*, 2012, § 104 და *Mammadli v. Azerbaijan*, 2018, § 80).

III. შეზღუდვების მიზანი

A. ტერმინი „ფარული მიზანი“

31. ფარული მიზანი წარმოადგენს ისეთ მიზანს, რომელიც არაა გათვალისწინებული კონვენციის შესაბამის დებულებაში და განსხვავდება იმ მიზნისგან, რომელიც საჯაროდ იქნა გამოცხადებული ხელისუფლების მიერ (ან რომელიც გონივრულად შეიძლება იქნას დადგენილი კონტექსტიდან გამომდინარე) – *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017 (§ 292); *Khodorkovskiy v. Russia*, 2011 (§ 255); *Lutsenko v. Ukraine*, 2012 (§ 106); *Tymoshenko v. Ukraine*, 2013 (§ 294); *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia*, 2013 (§ 899); *Ilgar Mammadov v. Azerbaijan*, 2014 (§ 137); *Rasul Jafarov v. Azerbaijan*, 2016 (§ 153); *Tchankotadze v. Georgia*, 2016 (§ 113).

32. ფარული მიზნის ცნება უკავშირდება „არაკეთილსინდისიერების“ ცნებას, თუმცა ამ ცნებებს შესაძლოა ყოველთვის არ ჰქონდეთ იდენტური მნიშვნელობა (*Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 283).

33. სასამართლომ გადაუხვია თავის წარსულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც მოქმედებდა ზოგადი სადავო ვარაუდი, რომ უმაღლესი ხელისშემკვრელი სახელმწიფოების ეროვნული ორგანოები მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად, ხოლო

თვითონ ფოკუსირდებოდა არაკეთილსინდისიერების დამადასტურებელი მტკიცებულების განხილვაზე (*Khodorkovskiy v. Russia, 2011* (§ 255); *Lutsenko v. Ukraine, 2012* (§ 106); *Tymoshenko v. Ukraine, 2013* (§ 294); *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, 2013* (§ 899); *Ilgar Mammadov v. Azerbaijan, 2014* (§ 137); *Rasul Jafarov v. Azerbaijan, 2016*, § 153). ნაცვლად ამისა, სასამართლოს მიზანია ობიექტურად შეაფასოს ფარული მიზნის არსებობა ან არ არსებობა და შესაბამისად, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება (*Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, §§ 282–283).

34. ამასთანავე, კეთილსინდისიერების ვალდებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს განჩინებების აღსრულების კონტექსტში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დადგენილია მე-18 მუხლის დარღვევა. სასამართლო, მოპასუხე სახელმწიფოს მიერ 46-ე მუხლის საფუძველზე აღებული ვალდებულებების შესრულების შემოწმებისას, განიხილავს, მოქმედებდა თუ არა სახელმწიფო „კეთილსინდისიერად“ და შეესაბამებოდა თუ არა მისი ქმედება აღსასრულებელ გადაწყვეტილებაში დასახელებულ დასკვნებსა და სულისკვეთებას (*Ilgar Mammadov v. Azerbaijan (დარღვევის შესახებ წარმოება)* [GC], 2019, §§ 214 და 217; *Kavala v. Türkiye* [GC], 2022, § 169).

35. სასამართლო ფარული მიზნის არსებობის შესახებ პრეტენზიებს განიხილავს იმის მიხედვით, თუ როგორ არის განმცხადებლის მიერ წარდგენილი საჩივარი ფორმულირებული (*Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 425).

36. სასამართლოს მიერ განხილული შესაძლო ფარული მიზნების ტიპები:

- განმცხადებელზე ზეწოლა ან დაშინება ინფორმაციის ან სხვა უპირატესობის მისაღებად – *Gusinskiy v. Russia, 2004* (§ 76); *Cebotari v. Moldova, 2007* (§ 53); *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017 (§ 353); *Dochnal v. Poland, 2012* (§ 116);
- განმცხადებლის დასჯა, გაჩუმება ან მისი საქმიანობის შეფერხება – *Ramishvili and Kokhraidze v. Georgia* (dec.), 2007; *Lutsenko v. Ukraine, 2012* (§ 109); *Tymoshenko v. Ukraine, 2013* (§ 299); *Ilgar Mammadov v. Azerbaijan, 2014* (§ 143); *Rasul Jafarov v. Azerbaijan, 2016* (§ 162); *Mammadli v. Azerbaijan, 2018* (§ 104); *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan, 2018* (§ 125); *Aliyev v. Azerbaijan, 2018* (§ 215); *Natig Jafarov v. Azerbaijan, 2019* (§ 70); *Kavala v. Turkey, 2019* (§ 232); *Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan, 2020* (§ 157); *Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2), 2020* (§ 119); *Yunusova and Yunusov v. Azerbaijan (no. 2), 2020* (§ 194); *Sabuncu and Others v. Turkey, 2020* (§ 249);

Şık v. Turkey (no. 2), 2020 (§ 207); *Ahmet Hüsrev Altan v. Turkey, 2021* (§ 238); *Mirgadirov v. Azerbaijan and Turkey, 2020* (§ 133); *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan, 2021* (§ 79); *Democracy and Human Rights Resource Centre and Mustafayev v. Azerbaijan, 2021* (§ 110); *Miroslava Todorova v. Bulgaria, 2021* (§ 213); *Kutayev v. Russia, 2023* (§ 141); *Juszczyszyn v. Poland, 2022* (§ 337); *Kogan and Others v. Russia, 2023* (§ 77);

- სისხლისსამართლებრივი დევნისა და სხვა პროცესების პოლიტიკური ან ეკონომიკური მოტივი – *Khodorkovskiy v. Russia, 2011* (§ 254); *OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia, 2011* (§ 665); *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, 2013* (§ 889); *Nastase v. Romania (dec.), 2014* (§ 109); *Tchankotadze v. Georgia, 2016* (§ 114); *Merabishvili v. Georgia [GC], 2017* (§ 332); *Batiashvili v. Georgia, 2019* (§§ 101–103); *Korban v. Ukraine, 2019* (§ 203); *Ovcharenko and Kolos v. Ukraine, 2023* (§ 130); *Ugulava v. Georgia, 2023* (§ 123); *Melia v. Georgia, 2023* (§ 137);

- პოლიტიკური პლურალიზმის ჩახშობა და პოლიტიკური დებატების თავისუფლების შეზღუდვა – *Navalnyy v. Russia [GC], 2018* (§ 175); *Navalnyy v. Russia (no. 2), 2019* (§ 98); *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2) [GC], 2020* (§ 437); *Yuksekdag Senoglu and Others v. Türkiye* (§ 639); *Ukraine v. Russia (re Crimea) [GC], 2024* (§ 1375).

B. მეთოდოლოგია და ზოგადი პრინციპები

1. ერთი მიზანი და მიზნების მრავლობითობა

37. ზოგჯერ, უფლების ან თავისუფლების შეზღუდვის გამოყენება ხდება მხოლოდ იმ მიზნისთვის, რომელიც კონვენციით არ არის გათვალისწინებული. ამასთან, შეზღუდვა შესაძლოა ემსახურებოდეს როგორც ფარულ, ისე კონვენციით გათვალისწინებულ მიზანს, რაც მიზნების მრავლობითობაზე მიუთითებს – *Merabishvili v. Georgia [GC], 2017* (§ 292); *Miroslava Todorova v. Bulgaria, 2021* (§ 195); *Juszczyszyn v. Poland, 2022* (§ 310).

38. შესაბამისად, როდესაც სასამართლო განიხილავს საჩივარს მე-18 მუხლის საფუძველზე, მან უნდა დაადგინოს:

- გამოიყენებოდა თუ არა განმცხადებლის უფლების ან თავისუფლების შეზღუდვა ფარული მიზნისთვის;
- არსებობდა თუ არა ერთდროულად როგორც ფარული, ისე კონვენციით გათვალისწინებული მიზანი, ანუ იყო თუ არა მრავლობითი მიზანი;

▪ რომელი მიზანი იყო დომინანტური – *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017 (§ 309).

39. სასამართლოს ასევე შეუძლია შეაფასოს საქმე იმ ვარაუდის გათვალისწინებით, რომ შეზღუდვა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, და ამავდროულად განიხილოს, არსებობდა თუ არა დამატებითი ფარული მიზანი ანუ მიზნების მრავლობითობა.

40. მაგალითად, საქმეში *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, სასამართლოს არ ჰქონია შესაძლებლობა, განეხილა, ემსახურებოდა თუ არა განმცხადებელთა დაკავება კონვენციის მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზანს, ვინაიდან ამ მატერიალური დებულების საფუძველზე ცალკე წარდგენილი საჩივარი პროცედურული საფუძველით (შიდა სამართლებრივი გზების არ-ამოწურვა) დაუშვებლად იქნა ცნობილი. სასამართლომ გადაწყვიტა, აღნიშნული საკითხი ცალკე არ განეხილა მე-18 მუხლის ფარგლებშიც. მან საქმის განხილვა განაგრძო იმ ვარაუდით, რომ არსებობდა ლეგიტიმური მიზანი, რის შედეგადაც საქმე განხილული იქნა მომჩივნის დაკავების მიღმა მიზნების შესაძლო მრავლობითობის საფუძველზე (სასამართლომ საქმე განიხილა მე-18 მუხლით, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან ერთობლიობაში: მხოლოდ ამ უკანასკნელის საფუძველზე წარდგენილი საჩივარი დასაშვებად იყო ცნობილი – *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, §§ 68–70).

41. მსგავსად აღნიშნულისა, საქმეში *Juszczyszyn v. Poland*, 2022, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ დაადგინა სადავო ჩარევის არაკანონიერება, მას აღარ ჩაუთვლია საჭიროდ შეეფასებინა, ემსახურებოდა თუ არა აღნიშნული ჩარევა მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზანს. თუმცა, განმცხადებლის საჩივრის მე-18 მუხლით განხილვისას, მე-8 მუხლთან ერთობლიობაში, სასამართლო მზად იყო მიეჩნია, რომ მომჩივნის წინააღმდეგ მიღებული ზომები ემსახურებოდა მთავრობის მიერ მითითებულ ლეგიტიმურ მიზანს. შესაბამისად, სასამართლომ საქმე განიხილა მიზნების მრავლობითობის კრილში – *Juszczyszyn v. Poland*, 2022, §§ 318–321; ასევე იხ. *Kogan and Others v. Russia*, 2023, §§ 59 და 77.

42. სასამართლომ იგივე მიდგომა გამოიყენა საქმეში *Ukraine v. Russia (re Crimea)* [GC], 2024. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს დადგენილი ჰქონდა ყირიმში რუსეთის სამართლებრივი რეჟიმის გავრცელების არაკანონიერება და შესაბამისად, კონვენციის მე-5, მე-6, მე-8, მე-10 და მე-11 მუხლების დარღვევა, მან საქმე განიხილა მიზნების შესაძლო მრავლობითობის კრილში – *Ukraine v. Russia (re Crimea)* [GC], 2024, §§ 1354–1356.

43. ქვემოთ წარმოდგენილი პრინციპები, რომლებიც გამოიყენება მიზნების მრავლობითობის შემთხვევებში, ასევე წარმოადგენს გზამკვლევს იმ შემთხვევებისთვის, სადაც საერთოდ არ დასტურდება ლეგიტიმური მიზნის არსებობა – *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 165; *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, § 195; *Juszcyszyn v. Poland*, 2022, § 310.

2. ტერმინი „დომინანტური მიზანი“

44. ნებისმიერი საჯარო პოლიტიკა ან ინდივიდუალური ღონისძიება შესაძლოა უკავშირდებოდეს „ფარულ დღის წესრიგს“ – *Khodorkovskiy v. Russia*, 2011, § 255; *Lutsenko v. Ukraine*, 2012, § 106; *Tymoshenko v. Ukraine*, 2013, § 294. როდესაც დგინდება, რომ შეზღუდვას მრავლობითი მიზანი აქვს, თვითონ ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი მიზანი არ არის გათვალისწინებული დებულებით, რომელიც მოიცავს შესაბამის შეზღუდვას, თავისთავად არ წარმოადგენს მე-18 მუხლის დარღვევას. მეორე მხრივ, იმის დადგენა, რომ შეზღუდვა ემსახურება კონვენციით გათვალისწინებულ მიზანს, ასევე არ გამორიცხავს მე-18 მუხლის დარღვევას. კონვენციით განსაზღვრული მიზანი ყოველთვის არ გამორიცხავს ფარულ მიზანს – *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, §§ 303-304; *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, §§ 197-198; *Juszcyszyn v. Poland*, 2022, § 312.

45. როდესაც შეზღუდვა ემსახურება როგორც ფარულ, ასევე კონვენციით განსაზღვრულ მიზანს, სასამართლო აფასებს, რომელი მიზანი იყო დომინანტური. ამ კონტექსტში დომინანტურ მიზნად მიიჩნევა ის მიზანი, რომელიც რეალურად განაპირობებდა ხელისუფლების ქმედებებს და წარმოადგენდა მათი ძალისხმევის ძირითად ფოკუსს – *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 303; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 165; *Korban v. Ukraine*, 2019, §§ 211-213.

46. შესაძლებელია, რომ შეზღუდვა ფორმალურად შეესაბამებოდეს იმ მატერიალურ დებულებას, რომელიც ამ შეზღუდვის დაწესების ნებას რთავს, რადგან ის ლეგიტიმური მიზნის განხორციელებას ემსახურება, მაგრამ მაინც არღვევდეს მე-18 მუხლს იმ შემთხვევაში, თუ კონვენციით განსაზღვრული მიზანი მხოლოდ მოჩვენებითი საფარი იყო და რეალურად ხელისუფლებას სურდა სხვა – კონვენციით გაუთვალისწინებელი – ფარული მიზნის მიღწევა, რომელიც წარმოადგენდა მათი ძალისხმევის ძირითად მიმართულებას – *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 305. სხვა სიტყვებით, თუ დგინდება, რომ შეზღუდვას ასევე ჰქონდა ფარული მიზანი, მე-18 მუხლის დარღვევა განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ფარული მიზანი იყო

დომინანტური – *ibid.*, § 318; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 165; *Korban v. Ukraine*, 2019, §§ 211–213; *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, § 199; *Juszcyszyn v. Poland*, 2022, § 314; *Kogan and Others v. Russia*, 2023, § 68.

47. მეორეს მხრივ, თუ კონვენციით განსაზღვრული მიზანი იყო ძირითადი მიზანი – ის, რომელიც რეალურად წარმართავდა ხელისუფლების მოქმედებებს – მაშინაც კი, თუ ხელისუფლებას სურდა სხვა უპირატესობის მიღება, შეზღუდვა არ ეწინააღმდეგება მე-18 მუხლს – *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 305; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 165; *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, § 199.

48. კონკრეტულ საქმეში რომელი მიზანი იყო დომინანტური, დამოკიდებულია ყველა გარემოებაზე – *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 307; *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, § 75; *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, § 200; *Juszcyszyn v. Poland*, 2022, § 315; *Kogan and Others v. Russia*, 2023, § 68.

49. ამ საკითხის შეფასებისას, სასამართლო აფასებს, რამდენად მიზანმიმართულად ცდილობდნენ შესაბამისი ორგანოები ფარული მიზნის მიღწევას – *Juszcyszyn v. Poland*, 2022, § 329. იგი ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: პირველ რიგში, რამდენად ანიჭებდნენ შესაბამისი ორგანოები განსაკუთრებულ მნიშვნელობას კონკრეტული პირის ან ჯგუფის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს; და მეორე, ეკუთვნის თუ არა საქმე იმ პრაქტიკას („პატერნს“), რომელიც მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სისტემურ ხასიათზე მიუთითებს – *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, §§ 76–77.

3. ფარული მიზნის დანაშაულებრივი ხასიათი და ხარისხი

50. სასამართლო ასევე განიხილავს, სავარაუდო ფარული მიზნის დანაშაულებრივ ხასიათს და ხარისხს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კონვენცია შექმნილია იმისთვის, რომ დაიცვას და განავითაროს დემოკრატიული საზოგადოების იდეალები და ღირებულებები, რომელიც სამართლის უზენაესობის პრინციპს ეფუძნება – *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 307; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 165; *Korban v. Ukraine*, 2019, § 214; *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, § 200; *Juszcyszyn v. Poland*, 2022, § 315; *Kogan and Others v. Russia*, 2023, § 68.

51. სასამართლო ამ მიდგომით იმოქმედებს, როდესაც ფარული მიზნის შესახებ პრეტენზიები, ერთი შეხედვით, ეხმიანება ეროვნულ კონტექსტს ან როდესაც მისი მიზანია დაადგინოს, თუ რომელი მიზანი იყო დომინანტური – *Merabishvili*

v. Georgia [GC], 2017, § 307; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, §§ 173–174; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 436.

52. ამ კუთხით, სასამართლო აფასებს სადავო შეზღუდვის გავლენას და იმ ფარული მიზნის სიმძიმის ხარისხს, რომელიც განმცხადებლის მიერ მე-18 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივრის ძირითად არსშია განსაზღვრული. კერძოდ, სასამართლო იკვლევს, აღნიშნული შეზღუდვა შეეხება მხოლოდ განმცხადებელს ან მასთან დაკავშირებულ აქტივისტებს/მხარდამჭერებს, თუ თავად დემოკრატიის არსს, როგორც საზოგადოების მოწყობის სისტემას, რომელშიც ინდივიდუალური თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ საერთო ინტერესიდან გამომდინარე – *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, §§ 173–174; *Natig Jafarov v. Azerbaijan*, 2019, § 69; *Kavala v. Turkey*, 2019, § 231; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 436; *Kogan and Others v. Russia*, 2023, §§ 70 და 77.

4. ხანგრძლივი მდგომარეობა

53. როდესაც კონვენციის რომელიმე უფლების შეზღუდვა წარმოადგენს ხანგრძლივ მდგომარეობას, ეს შეზღუდვა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მე-18 მუხლს, თუ მისი ძირითადი მიზანი მთელი პერიოდის განმავლობაში რჩება კონვენციით განსაზღვრულ მიზნად. შესაბამისად, სასამართლო აფასებს, თუ რა მიზანს ემსახურებოდა შეზღუდვა მთელი მისი მოქმედების განმავლობაში. ვინაიდან შესაძლოა შეიცვალოს შეფასება, თუ რომელი მიზანი იყო დომინანტური, სასამართლო ადგენს, მოცემულ ეტაპზე იყო თუ არა ფარული მიზანი დომინანტური ან ჩაანაცვლა თუ არა მან კონვენციით განსაზღვრული მიზანი – *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, §§ 308 და 351; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 171.

5. განმეორებითი შეზღუდვები და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დამკვიდრებული პრაქტიკა („პატერნი“)

54. მომჩივნის წინააღმდეგ გამოყენებული განმეორებითი ღონისძიებები შესაძლოა შეფასდეს როგორც გრძელვადიანი მდგომარეობა, რომლის მანძილზეც დომინანტური მიზანი შესაძლოა დროთა განმავლობაში შეიცვალოს. ის, რაც საწყის ეტაპზე ლეგიტიმურ მიზნად ჩანდა, დროთა განმავლობაში შესაძლოა ნაკლებად დასაჯერებლად გამოჩნდეს – *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, §§ 165–171.

55. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ფარული მიზნებით ნაკარნახევი შეზღუდვების განმეორებადი ხასიათის შეფასება. როდესაც საქმე გვაქვს მსგავსი

საქმეების სერიასთან, რომლებიც სხვადასხვა განმცხადებლის მიერ არის აღძრული, ან ერთსა და იმავე განმცხადებელზე მიმართული იდენტური ღონისძიებების თანმიმდევრობასთან, სასამართლო შეაფასებს, წარმოადგენს თუ არა ეს ქმედებები კონკრეტული ჯგუფების ან პირების წინააღმდეგ ხელისუფლების ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრაქტიკას – *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, §§ 167–170; *Aliyev v. Azerbaijan*, 2018, § 223.

56. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო განიხილავს, მიეკუთვნება თუ არა მოპასუხე სახელმწიფოს წინააღმდეგ შემდგომში აღძრული, დასაბუთებული საჩივრები ფარული მიზნების შესახებ უკვე დადგენილ პრაქტიკას – *Navalnyy v. Russia (no. 2)*, 2019, § 94; *Natig Jafarov v. Azerbaijan*, 2019, §§ 64–65; *Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan*, 2020, §§ 151–152; *Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2)*, 2020, §§ 113–114; *Yunusova and Yunusov v. Azerbaijan (no. 2)*, 2020, §§ 187–188; *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, § 76.

57. როდესაც უკვე დადგენილია მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გარკვეული მოდელი, ეს ფაქტორი მნიშვნელოვანი ხდება კონკრეტულ საქმეში ფარული მიზნის არსებობის დასადგენად – *Democracy and Human Rights Resource Centre and Mustafayev v. Azerbaijan*, 2021, § 109. ამავდროულად, მიზნების მრავლობითობის კონტექსტშიც, ეს შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ დომინანტური მიზანი სწორედ ფარული მიზანი იყო, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებდა – *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, § 77.

58. სასამართლოს ასევე შეუძლია ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრაქტიკა დაადგინოს ერთი კონკრეტული საქმის საფუძველზეც, თუკი ეროვნული კონტექსტი იძლევა საკმარის მტკიცებულებას იმის დასადასტურებლად, რომ საქმე არ წარმოადგენს ცალკეულ შემთხვევას და მსგავსი შეზღუდვები გავლენას ახდენს იმ ადამიანთა მნიშვნელოვან რაოდენობაზე, რომლებიც მიეკუთვნებიან იმავე კატეორიას ან ჯგუფს, რომელსაც მიეკუთვნება მომჩივანი – *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, §§ 427–428.

59. მაშინაც კი, როდესაც სასამართლო ადგენს მოპასუხე სახელმწიფოს მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით მე-18 მუხლის სისტემატური დარღვევის პრაქტიკას, იგი მაინც არის ვალდებული შეაფასოს, წარმოადგენს თუ არა განმცხადებლის ქმედება უფლებების ბოროტად გამოყენებას, მე-17 მუხლის

მნიშვნელობის ფარგლებში – *Yuksekdag Senoglu and Others v. Türkiye, 2022*, §§ 487–488 და 638–640.

6. რამდენიმე ფარული მიზნის არსებობის შესახებ პრეტენზიები

60. როდესაც საჩივარი ეხება რამდენიმე ფარული მიზნის ერთდროულად არსებობას, სასამართლო აფასებს, იყო თუ არა ფარული მიზანი დომინანტური მომჩივნის მიერ მითითებულ თითოეულ მიზანთან მიმართებით – *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 319.

61. ზოგიერთი საქმის განხილვისას, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმის გამორჩეულ მახასიათებლებზე, რომელიც მას საშუალებას აძლევს, საქმე განიხილოს პოლიტიკურად მოტივირებული სამართლებრივი დევნის შესახებ პრეტენზიებისგან დამოუკიდებლად – *Lutsenko v. Ukraine, 2012*, § 108; *Tymoshenko v. Ukraine, 2013*, § 298; *Ilgar Mammadov v. Azerbaijan, 2014*, § 140; *Rasul Jafarov v. Azerbaijan, 2016*, § 155.

C. შეზღუდვები, რომლებიც გამოყენებულია მხოლოდ ფარული მიზნისთვის

62. ქვემოთ ჩამოთვლილ საქმეებში, სადაც სასამართლომ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა კონვენციის მე-5 მუხლთან ერთობლიობაში, განმცხადებელთა დაკავება ემსახურებოდა მხოლოდ ფარულ მიზანს, რადგან ან საერთოდ არ არსებობდა მათი დაკავების კანონიერი საფუძველი – *Lutsenko v. Ukraine, 2012*, §§ 63–65 და 67–72; *Tymoshenko v. Ukraine, 2013*, §§ 269–271; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 71; *Navalnyy v. Russia (no. 2), 2019*, § 93; *Kutayev v. Russia, 2023*, § 135 – ან მათ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები არ ეფუძნებოდა „გონივრულ ეჭვს“, კონვენციის მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტის მნიშვნელობით – *Cebotari v. Moldova, 2007*, § 52; *Ilgar Mammadov v. Azerbaijan, 2014*, § 100; *Rasul Jafarov v. Azerbaijan, 2016*, § 133; *Mammadli v. Azerbaijan, 2018*, § 96; *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan, 2018*, § 119; *Aliyev v. Azerbaijan, 2018*, § 164; *Natig Jafarov v. Azerbaijan, 2019*, § 68; *Kavala v. Turkey, 2019*, § 218; *Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan, 2020*, § 149; *Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2), 2020*, § 111; *Yunusova and Yunusov v. Azerbaijan (no. 2), 2020*, § 185; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 423. საქმეებში *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, *Aliyev v. Azerbaijan, 2018* და *Democracy and Human Rights Resource Centre and Mustafayev v. Azerbaijan, 2021*, სასამართლომ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა არა მხოლოდ მე-5 მუხლთან, არამედ სხვა მატერიალურ მუხლებთან ერთობლიობაში (შესაბამისად, მე-11 მუხლი, მე-8 მუხლი, №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი და №4 დამატებითი ოქმის მე-2

მუხლი), და აღნიშნა, რომ სადავო შეზღუდვები არ ემსახურებოდა ამ დებულებებით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზნებს.

1. საქმეები, რომლებიც არ ეხება ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დადგენილ პრაქტიკას

63. საქმეში *Cebotari v. Moldova, 2007*, რომელიც მჭიდროდ უკავშირდებოდა საქმეს *Oferta Plus S.R.L. v. Moldova, 2006*, განმცხადებელი, ელექტროენერგიის გამანაწილებელი სახელმწიფო კომპანია *Moldtranselectro*-ს ხელმძღვანელი, მიმართავდა მოლდოვის ფინანსთა სამინისტროს, რომ გამოეცა სახაზინო ობლიგაცია კერძო კომპანია *Oferta Plus*-ის სასარგებლოდ. აღნიშნულმა კომპანიამ გადაიხადა უკრაინიდან *Moldtranselectro*-სთვის მოწოდებული ელექტროენერგიის ღირებულება, რომელიც, მათ შორის, სახელმწიფო დაწესებულებებმა მოიხმარეს. მოგვიანებით, *Oferta Plus*-მა წარმატებით იდავა სასამართლოში ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ, ობლიგაციის განაღდებაზე უარის გამო. მას შემდეგ, რაც მოლდოვის მთავრობას ეცნობა, რომ *Oferta Plus*-მა სტრასბურგის სასამართლოს მიმართა კომპანიის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღუსრულებლობის საკითხზე, გადაწყვეტილება გაუქმებული იქნა, ხოლო კომპანიის აღმასრულებელი დირექტორისა და ბატონ ჩეხოტარის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფო ქონების მასშტაბურ გაფლანგვასთან დაკავშირებით. ბრალდების თანახმად, *Oferta Plus*-მ არ აანაზღაურა ელექტროენერგიის ღირებულება, რომელიც კონკრეტულად სახელმწიფო დაწესებულებებს მიეწოდა და, შესაბამისად, მან თაღლითური გზით მიიღო სახაზინო ობლიგაცია. საქმეში *Oferta Plus S.R.L. v. Moldova, 2006*, სასამართლომ დაადგინა 34-ე მუხლის დარღვევა იმ მოტივით, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა მიზნად ისახავდა კომპანიის დაშინებას, რათა მას თავი შეეკავებინა სასამართლოში საქმის გაგრძელებისგან (§ 143). საქმეში *Cebotari v. Moldova, 2007*, იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო სასამართლოებს მიღებული ჰქონდათ საბოლოო გადაწყვეტილებები *Oferta Plus*-სა და ფინანსთა სამინისტროს შორის არსებულ დავასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ მთავრობამ ვერ დაასაბუთა განმცხადებლის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ გონივრული ეჭვი. შესაბამისად, მისი დაკავება და წინასწარი პატიმრობა არ იყო დაუსაბუთებელი. განმცხადებლის წინასასამართლო პატიმრობის ერთადერთი მიზანი იყო მასზე ზეწოლის განხორციელება, რათა *Oferta Plus*-ს სასამართლოში დავა ვეღარ გაეგრძელებინა. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა, მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტთან ერთობლიობაში (§§ 52–53).

64. საქმეში *Lutsenko v. Ukraine, 2012*, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, განმცხადებელს – შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრსა და ოპოზიციის ლიდერს – წარედგინა ბრალი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ინტერვიუ, სადაც იგი უარყოფდა წარდგენილ ბრალდებებს, იგი წინასწარ პატიმრობაში მოათავსეს. სასამართლომ დაადგინა, რომ მისი დაკავება არ ემსახურებოდა კონვენციით გათვალისწინებულ არც ერთ მიზანს, რადგან ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი საფუძვლებიდან არცერთი არ შეესაბამებოდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ კრიტერიუმებს (§§ 66–74). გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ საფუძვლად მითითებული იყო განმცხადებლის მიერ მედიასთან ურთიერთობა, აშკარად მიუთითებდა, რომ ხელისუფლებას სურდა იგი დაესაჯა საჯაროდ წაყენებული ბრალდებების უარყოფისთვის. ეს კი წარმოადგენდა ფარულ მიზანს, რაც არღვევს კონვენციის მე-18 მუხლს, მე-5 მუხლთან ერთობლიობაში (§§ 108–110).

65. საქმეში *Tymoshenko v. Ukraine, 2013*, ასევე, ეხებოდა ოპოზიციის ლიდერისა და ყოფილი პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ დევნას. მას, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ბრალად წარედგინა უფლებამოსილების გადამეტება და ბოროტად გამოყენება. სასამართლომ დაადგინა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, რადგან წინასწარი პატიმრობა არ ემსახურებოდა ამ დებულებით განსაზღვრულ არც ერთ მიზანს. საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და ეროვნული ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი არგუმენტების თანახმად, პატიმრობის რეალური საფუძველი იყო განმცხადებლის მხრიდან სამართალწარმოების ხელის შეშლა და უპატივცემულო დამოკიდებულება. სასამართლოს შეფასებით, მისი დაკავება ემსახურებოდა მხოლოდ ფარულ მიზანს – განმცხადებლის დასჯა საქმის განხილვისას გამოვლენილი ქცევისთვის, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევას, მე-5 მუხლთან ერთობლიობაში (§§ 299–301).

66. საქმეში *Kavala v. Turkey, 2019*, განმცხადებელი — ბიზნესმენი და ადამიანის უფლებათა დამცველი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნებაში — დააკავეს 2013 წლის მასობრივი გამოსვლების კონტექსტში სახალხო პროტესტის ორგანიზებისა და შემდგომ, ხელისუფლების ზალადობრივი გზით დამხობის ბრალდებით, 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან დაკავშირებით. საბოლოოდ მას ბრალი მხოლოდ პირველ ეპიზოდთან მიმართებით წარედგინა, მას შემდეგ, რაც ქვეყნის პრეზიდენტმა საჯაროდ დასდო მას ბრალი აღნიშნულში, მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტისთვის

განცხადებელი წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში და მის საქმეზე არ იყო ჩატარებული არც ერთი საგამომიებო მოქმედება. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ გატარებული ღონისძიებები არ ეფუძნებოდა გონივრულ ეჭვებს, არამედ, ემყარებოდა ფაქტებს, რომლებიც გონივრულობის ფარგლებშიც კი ვერ შეფასდებოდა როგორც დანაშაულებრივი ქმედება, შიდა სამართლებრივი ნორმების შესაბამისად. მეტიც, ეს ქმედებები უმეტესწილად ეხებოდა განმცხადებლის მიერ კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებით დაცული უფლებების განხორციელებას. აღნიშნულმა გარემოებებმა გამოიწვია მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა. ისინი, აგრეთვე, გათვალისწინებული იქნა მე-18 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივრის კონტექსტში. სასამართლომ დაადგინა ამ უკანასკნელი დებულების დარღვევა, რადგან სადავო ზომები ემსახურებოდა მხოლოდ ფარულ მიზანს - ადამიანის უფლებათა დამცველისა და სამოქალაქო აქტივისტის გაჩუმებას. ეს ფარული მიზანი განსაკუთრებით სერიოზული ხასიათის იყო იმის გათვალისწინებით, თუ რა როლი აქვს ასეთ ჯგუფებს პლურალისტურ დემოკრატიაში (§§ 220–232).

67. საქმეში *Kutayev v. Russia, 2023*, განმცხადებელი — პოლიტიკოსი და ადამიანის უფლებათა აქტივისტი ჩეჩნეთში — ორგანიზებას უწევდა კონფერენციას, რომელიც მიემდგნა 1944 წელს სტალინის ბრძანებით ჩეჩენი მოსახლეობის დეპორტაციის 70 წლისთავს. მომდევნო დღეს, ჩეჩნეთის პრეზიდენტი რამზან კადიროვი შეხვდა ღონისძიების მონაწილეებს და ღიად გამოხატა უკმაყოფილება კონფერენციის დაგეგმვის თარიღთან დაკავშირებით — 23 თებერვალთან ახლოს (დეპორტაციის ძველი ხსოვნის დღე), ნაცვლად კადიროვის მიერ დადგენილი ახალი თარიღისა — 10 მაისისა. განმცხადებელი მიიწვიეს კადიროვთან შეხვედრაზე, თუმცა, მან უარი თქვა მისვლაზე. მეორე დღეს იგი დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვის ბრალდებით და წინასწარ პატიმრობაში მოათავსეს. სასამართლომ დაადგინა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, მიიჩნია რა, რომ განმცხადებლის თავისუფლების აღკვეთა იყო თვითნებური და აშკარად მოიცავდა არაკეთილსინდისიერების ელემენტს პოლიციისა და გამომძიებლების მხრიდან. გარდა ამისა, სასამართლოს შეფასებით, ხელისუფლების ქმედებები სრულად იყო მოტივირებული არაკანონიერი მიზნებით, რაც წარმოადგენს მე-18 მუხლის დარღვევას — კერძოდ, ფარული მიზანი იყო განმცხადებლის დასჯა იმის გამო, რომ მან უარი თქვა კადიროვთან შეხვედრაზე და არ დაემორჩილა ახალი ხსოვნის დღის აღნიშვნის წესს (§§ 134–135 და 141).

2. სისტემატური ქმედებები („პატერნი“), რომლებიც მიუთითებენ კონკრეტული პირის მიზანში ამოღებაზე

68. საქმეში *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, განმცხადებელი — მნიშვნელოვანი პოლიტიკური ოპოზიციური ფიგურა და კორუფციასთან მეზრძოლი აქტივისტი — ორი წლის განმავლობაში შვიდჯერ დააკავეს სხვადასხვა მშვიდობიან საჯარო შეკრებაზე, ადმინისტრაციული წესით. კერძოდ, ქმედებები, რომელსაც მას ედავებოდნენ, ტექნიკურად უკანონო ხასიათის იყო. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის დაკავება და პატიმრობა იყო თვითნებური და უკანონო, რაც წარმოადგენს მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა მე-11 მუხლის დარღვევა, ვინაიდან ხუთ ეპიზოდში გამოყენებული ზომები იყო არაპროპორციული, ხოლო ორ შემთხვევაში — საერთოდ არ ემსახურებოდა რომელიმე ლეგიტიმურ მიზანს, რომელსაც მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს. კერძოდ, მეხუთე ეპიზოდში, განმცხადებელი დასაწყისიდან იმის გამო, რომ დემონსტრაციის დასრულების შემდეგ მას უკან გაჰყვა ხალხის ჯგუფი. მეექვსე ეპიზოდი ეხებოდა აქტივისტთა ჯგუფთან ერთად სასამართლოს შენობის წინ დგომას იმის გამო, რომ ისინი არ დაუშვეს პროცესზე. მე-18 მუხლის კონტექსტში, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სწორედ ამ ორ ეპიზოდზე, რომლებიც ცალკე აღებული არ წარმოშობდა მიზნების მრავლობითობის საკითხს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს მოვლენები, მთლიანობაში, ქმნიდნენ გარკვეულ ქრონოლოგიას და პრაქტიკას („პატერნს“), სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის, როგორც ოპოზიციის წარმომადგენელი პოლიტიკოსის მიზანში ამოღება, რამაც გავლენა მოახდინა არა მხოლოდ მასზე და მის თანამოაზრეებზე, არამედ, დემოკრატიის არსზე, წარმოადგენდა „მძიმე“ ფარულ მიზანს. რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციის პოლიტიკური აქტივობების კონტროლის მცდელობის ფართო კონტექსტის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მეხუთე და მეექვსე ეპიზოდებში გამოყენებული შეზღუდვები ემსახურებოდა ფარულ მიზანს — პოლიტიკური პლურალიზმის ჩახშობას, რაც წარმოადგენს მე-18 მუხლის დარღვევას, მე-5 და მე-11 მუხლებთან ერთობლიობაში (§§ 163–176).

69. საქმეში *Navalnyy v. Russia (no. 2)*, 2019, იგივე განმცხადებელი მოათავსეს შინაპატიმრობაში. მის მიმართ დაწესდა შეზღუდვები კომუნიკაციაზე, მიმოწერაზე, ინტერნეტის, რადიოსა და ტელევიზიის გამოყენებაზე. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 და მე-10 მუხლების დარღვევა, ცალკე აღებული, ვინაიდან სადავო ზომები გამოყენებული იქნა სისხლის სამართლის გამოძიების მოთხოვნებთან აშკარა კავშირის გარეშე. იმის გათვალისწინებით, რომ ეს შეზღუდვები განმცხადებელს

დაუწესდა საქმეში *Navalnyy v. Russia* [GC], 2018 განხილული ორი დაკავების შემდეგ (მეექვსე და მეშვიდე ეპიზოდები – იხ. ზემოთ), სასამართლომ ისინი შეაფასა მოვლენათა ქრონოლოგიის და დიდი პალატის გადაწყვეტილებაში გაანალიზებული კონტექსტუალური მტკიცებულებების ფონზე. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ზომები ემსახურებოდა იმავე ფარულ მიზანს — პოლიტიკური პლურალიზმის ჩახშობა განმცხადებლის საჯარო საქმიანობის შეზღუდვის გზით, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევას, მე-5 მუხლთან ერთობლიობაში (§§ 93–98).

3. ძალაუფლების ბოროტად გამოყენება სისტემატურად, კონკრეტული ჯგუფების წინააღმდეგ

70. საქმეში *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, განმცხადებელი — ქურთების მომხრე თურქი ოპოზიციური ლიდერი — იმ 154 პარლამენტარს შორის იყო, რომელსაც საპარლამენტო იმუნიტეტი მოუხსნეს საკონსტიტუციო შესწორების საფუძველზე. შესწორება ითვალისწინებდა იმუნიტეტის მოხსნას იმ ყველა პარლამენტარისთვის, რომელთა მიმართაც პარლამენტში შესაბამისი მიმართვა იყო შესული შესწორების მიღებამდე. აღნიშნული ცვლილება დაკავშირებული იყო მძიმე ძალადობასთან PKK-ს (ქურთისტანის მუშათა პარტია — ტერორისტული ორგანიზაცია) მონაწილეობით, რაც მოჰყვა „ქურთების პრობლემის“ მოგვარებისკენ მიმართული მოლაპარაკებების ჩაშლას. განმცხადებელი წინასწარ პატიმრობაში მოათავსეს ტერორიზმთან დაკავშირებული ბრალდებებით, მისი საჯარო გამოსვლებისა და გარკვეულ კანონიერ შეკრებებში მონაწილეობის გამო. სასამართლოს შეფასებით, ბრალდებები ძირითადად ეფუძნებოდა ისეთ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ვერ ჩაითვლებოდა დანაშაულებრივ ქმედებად, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, და მეტწილად ეხებოდა განმცხადებლის კონვენციით დაცული უფლებების რეალიზებას. შესაბამისად, განმცხადებლის დაკავებას არ ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი და იგი არღვევდა როგორც კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტს (გონივრული ეჭვის სტანდარტის არ-დაკმაყოფილების გამო), ასევე მე-10 მუხლს. იმის გათვალისწინებით, რომ იმავე პერიოდში ოპოზიციის არაერთი დეპუტატი და პოლიტიკოსი დაექვემდებარა სისხლისსამართლებრივ დევნასა და წინასწარ პატიმრობას, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე იმ სისტემატური ღონისძიებების შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც მიმართული იყო განსხვავებული აზრის მქონე პირების წინააღმდეგ. სასამართლოს დასკვნით, ადგილი ჰქონდა მე-18 მუხლის დარღვევას მე-5 მუხლთან ერთობლიობაში, ვინაიდან განმცხადებლის ხანგრძლივი პატიმრობა — განსაკუთრებით ორი მნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის პერიოდში (კონსტიტუციური რეფორმის რეფერენდუმი და

საპრეზიდენტო არჩევნები) — ემსახურებოდა ფარულ მიზანს, კერძოდ, პლურალიზმის ჩახშობასა და პოლიტიკური დისკუსიის თავისუფლების შეზღუდვას (§ 437; აგრეთვე იხ. *Yuksekdag Senoglu and Others v. Türkiye, 2022*, §§ 638–640, სხვა ოპოზიციური პარლამენტარების მიერ შეტანილი საქმე).

71. აზერბაიჯანის წინააღმდეგ წარდგენილ რამდენიმე მსგავს საქმეში, სასამართლომ დაადგინა სისტემატური პრაქტიკა, რომელიც მოიცავდა მთავრობის კრიტიკოსების, სამოქალაქო აქტივისტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების თვითნებურ დაკავებასა და დაპატიმრებას შურისძიებით ნაკარნახევი სისხლის სამართლებრივი დევნისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ბოროტად გამოყენების გზით, რაც ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-18 მუხლს – *Ilgar Mammadov v. Azerbaijan, 2014*; *Rasul Jafarov v. Azerbaijan, 2016*; *Mammadli v. Azerbaijan, 2018*; *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan, 2018*; *Aliyev v. Azerbaijan, 2018*, § 223; *Natig Jafarov v. Azerbaijan, 2019*, §§ 64–65; *Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan, 2020*, § 152; *Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2), 2020*, §§ 113–114; *Yunusova and Yunusov v. Azerbaijan (no. 2), 2020*, §§ 187–188.

72. საქმეში *Ilgar Mammadov v. Azerbaijan, 2014*, განმცხადებელმა, რომელიც ოპოზიციური პოლიტიკოსი და მთავრობის მწვავე კრიტიკოსი იყო, თავის ბლოგზე გააშუქა ადგილობრივი ამბოხი, რომელიც მის ჩასვლამდე ერთი დღით ადრე სპონტანურად დაიწყო. განმცხადებლის მიერ გამოქვეყნებული ბლოგ-პოსტები, რომელიც მედიამ მაშინვე აიტაცა, ეწინააღმდეგებოდა მთავრობის ვერსიას და შეიცავდა წყაროების მიერ დადასტურებულ ინფორმაციას, რომლის დამალვასაც ცდილობდა ხელისუფლება. მომდევნო დღეს გენერალურმა პროკურატურამ და შსს-მ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს, რომელშიც განმცხადებელი დაადანაშაულეს არაკანონიერი ქმედებებით დაძაბულობის გაღვივებაში. რამდენიმე დღის შემდეგ იგი დაკითხეს, ბრალად წარუდგინეს არეულობის ორგანიზება და მოათავსეს წინასწარ პატიმრობაში. სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას, ვინაიდან ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა რაიმე ობიექტური ინფორმაცია ან მტკიცებულება, რომელიც განმცხადებლის მიმართ „გონივრულ ეჭვს“ შექმნიდა. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ მისი დაკავება უკავშირდებოდა ბლოგპოსტებს და ემსახურებოდა მხოლოდ ფარულ მიზანს — მთავრობის კრიტიკისა და განსხვავებული ინფორმაციის გავრცელების მცდელობისთვის განმცხადებლის გაჩუმებასა და დასჯას. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მე-18 მუხლის დარღვევას, მე-5 მუხლთან ერთობლიობაში (§§ 142–143).

73. ქვემოთ განხილული საქმეები ეხება ცნობილი აზერბაიჯანელი სამოქალაქო აქტივისტების, ადამიანის უფლებათა დამცველების და არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) ხელმძღვანელების დაკავებას და მათთვის ბრალის წარდგენას ძირითადად უკანონო მეწარმეობასთან, გადასახადების მასშტაბურ აცილებასთან და/ან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ბრალდებები ეხებოდა შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ უცხოური გრანტების მიღებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ დარღვევებს. ეს ხდებოდა იმ ფონზე, როდესაც აზერბაიჯანში სულ უფრო მკაცრდებოდა არასამთავრობო სექტორის საქმიანობისა და დაფინანსების მარეგულირებელი კანონები და ხორციელდებოდა ადამიანის უფლებათა დამცველების წინააღმდეგ მიმართული კამპანია.

74. საქმეებში *Aliyev v. Azerbaijan, 2018* და *Rasul Jafarov v. Azerbaijan, 2016*, განმცხადებლები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ანგარიშის მომზადებაში, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის კონტექსტში, რომლებიც ეხებოდა აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების მდგომარეობას. ისინი დააკავეს მას შემდეგ, რაც გამოვიდნენ ევროპის საბჭოს ღონისძიებაზე და გააკრიტიკეს აზერბაიჯანის ხელისუფლება ადამიანის უფლებების დარღვევის გამო.

75. საქმეში *Mammadli v. Azerbaijan, 2018*, განმცხადებელს წარმოადგენდა არჩევნებზე სადამკვირვებლო არასამთავრობო ორგანიზაციის თანადამფუძნებელი და თავმჯდომარე. ორგანიზაციის ფინანსურ საქმიანობაში სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა მას შემდეგ, რაც ორგანიზაციამ გამოაქვეყნა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კრიტიკული ანგარიში, რომლის თანახმადაც არჩევნები დემოკრატიულ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდა. განმცხადებელი დააკავეს და ბრალდება წარუდგინეს ერთი თვის შემდეგ.

76. საქმეში *Natig Jafarov v. Azerbaijan, 2019*, განმცხადებელი იყო იმ ოპოზიციური პოლიტიკური მოძრაობის ოფიციალური წარმომადგენელი, რომელიც აქტიურ კამპანიას აწარმოებდა იმ საკონსტიტუციო ცვლილებების წინააღმდეგ, რომლებიც რეფერენდუმის გზით უნდა ყოფილიყო მიღებული. იგი დააკავეს რეფერენდუმისთვის რეგისტრაციის პროცესის აქტიურ ეტაპზე და გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც მისმა მოძრაობამ გამოაცხადა, რომ წყვეტდა მონაწილეობას აღნიშნულ კამპანიაში.

77. საქმეში *Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2), 2020*, განმცხადებელი იყო ცნობილი საგამომიებო ჟურნალისტი, რომელიც აქვეყნებდა სტატიებს პრეზიდენტისა და მისი ოჯახის კორუფციულ საქმიანობაზე, რის გამოც რამდენჯერმე დაემუქრნენ (იხ. *Khadija Ismayilova v. Azerbaijan, 2019*). განმცხადებელი დააკავეს იძულებით მოპოვებული ცრუ ჩვენების საფუძველზე, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაშინდელმა ხელმძღვანელმა მას საჯაროდ დასდო ბრალი ღალატში და სიცრუის გავრცელებაში.

78. საქმეში *Yunusova and Yunusov v. Azerbaijan (no. 2), 2020*, განმცხადებლებს წარმოადგენდნენ არასამთავრობო ორგანიზაციის დირექტორი და წამყვანი მკვლევარი, რომლებიც სომეხ კოლეგებთან ერთად სხვადასხვა პროექტებს ახორციელებდნენ ორ ქვეყანას შორის სამშვიდობო პროცესის და შერიგების ხელშეწყობის მიზნით. ისინი დააკავეს და წინასწარ პატიმრობაში მოათავსეს, მათ შორის, სომხეთის საიდუმლო სამსახურთან თანამშრომლობის ეჭვის საფუძველზე.

79. სასამართლომ დაადგინა, რომ წინასწარი პატიმრობის გამოყენება არ ემყარებოდა „გონივრულ ეჭვს“, რაც ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტს, ცალკე აღებული – *Yunusova and Yunusov v. Azerbaijan (no. 2), 2020*, § 185; *Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2), 2020*, § 111; *Natig Jafarov v. Azerbaijan, 2019*, § 62; *Aliyev v. Azerbaijan, 2018*, § 164; *Rasul Jafarov v. Azerbaijan, 2016*, § 156; *Mammadli v. Azerbaijan, 2018*, § 96. განმცხადებლებს მძიმე დანაშაულში ედებოდათ ბრალი, „რომელთა ძირითადი შემადგენელი ელემენტებიც არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით გონივრულად ვერ დგინდებოდა“.

80. ზემოხსენებული საქმეების ზოგადი კონტექსტის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა მე-5 მუხლთან ერთობლიობაში, ვინაიდან განმცხადებლების დაკავება და პატიმრობაში ყოფნა ემსახურებოდა მხოლოდ ფარულ მიზანს — მათ გაჩუმებას და დასჯას პოლიტიკური საქმიანობისთვის და/ან პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებისთვის ხელის შეშლას – *Yunusova and Yunusov v. Azerbaijan (no. 2), 2020*, § 194; *Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2), 2020*, § 119; *Natig Jafarov v. Azerbaijan, 2019*, § 70; *Aliyev v. Azerbaijan, 2018*, § 215; *Rasul Jafarov v. Azerbaijan, 2016*, §§ 159–163; *Mammadli v. Azerbaijan, 2018*, §§ 99–104. საქმეში *Aliyev v. Azerbaijan, 2018*, იგივე საფუძველით სასამართლომ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა მე-8 მუხლთან ერთობლიობაში, გამომდინარე იქიდან, რომ განმცხადებლის სახლისა და ოფისის ჩხრეკა და ნივთების ამოღება არ ემსახურებოდა მე-8 მუხლის 2-პუნქტით გათვალისწინებულ არც ერთ ლეგიტიმურ მიზანს (§ 187).

81. საქმეში *Democracy and Human Rights Resource Centre and Mustafayev v. Azerbaijan, 2021*, განმცხადებლებს წარმოადგენდნენ ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია და იურისტი. მათი საბანკო ანგარიშები გაყინეს მესამე პირების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში. იურისტს დაუწესდა გადაადგილების შეზღუდვა. აღნიშნულ შეზღუდვებს არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი ან არ ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, რის საფუძველზეც სასამართლომ დაადგინა №1 დამატებითი ოქმის პირველი მუხლისა და №4 დამატებითი ოქმის მეორე მუხლის დარღვევა. სასამართლომ მიუთითა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სისტემატურ პრობლემაზე, რომელიც დადგენილი იყო საქმეში *Aliyev v. Azerbaijan, 2018* და დაასკვნა, რომ აღნიშნული ზომები მიზნად ისახავდა განმცხადებელთა დასჯასა და მათ საქმიანობაში ხელის შეშლას (მათ შორის, სტრასბურგის სასამართლოში მრავალ საქმეზე სამართლებრივი წარმომადგენლობის უზრუნველყოფის კუთხით). შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევას, ზემოაღნიშნულ მატერიალურ დებულებებთან ერთობლიობაში.

82. ქვემოთ განხილული საქმეები ეხება არასამთავრობო ორგანიზაცია NIDA-ს წევრების სამართლებრივ დევნას. ეს ორგანიზაცია ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ახალგაზრდული მოძრაობა იყო აზერბაიჯანში და მონაწილეობდა მთავრობის საწინააღმდეგო არაერთი საპროტესტო აქციის ორგანიზებაში.

83. საქმეში *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan, 2018*, განმცხადებლები იყვნენ სამოქალაქო აქტივისტები და აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციის მმართველი საბჭოს წევრები. ისინი, სხვა წევრებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ მშვიდობიანი აქციების სერიაში, რომელიც მოჰყვა აზერბაიჯანელი ჯარისკაცების არასაბრძოლო ვითარებაში დაღუპვას. ერთ-ერთი დაგეგმილი დემონსტრაციის ჩატარებამდე სამი დღით ადრე, NIDA-ს რამდენიმე წევრი დააკავეს ნარკოტიკული საშუალებების და „მოლოტოვის კოქტეილების“ ფლობის ბრალდებით. ამასთან დაკავშირებით, გენერალურმა პროკურატურამ და სახელმწიფო უსაფრთხოების სამინისტრომ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს, სადაც ნათქვამი იყო, რომ დაკავებული NIDA-ს წევრები „აქტიურად მონაწილეობდნენ ორგანიზაციის არაერთ უკანონო მოქმედებაში“ და რომ ისინი გეგმავდნენ ძალადობრივი არეულობის გამოწვევას. განცხადებაში ასევე დაგმოიხილი იყო გარკვეული რადიკალური დესტრუქციული ძალების მცდელობები ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის წინააღმდეგ. რამდენიმე დღის შემდეგ, განმცხადებლები დააკავეს და ბრალად წარუდგინეს „მოლოტოვის კოქტეილების“ უკანონოდ მოპოვება და მათი

შენახვის ორგანიზება მანამდე დაკავებული წევრების საცხოვრებელ სახლებში. სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას, რადგან პროკურატურას არ წარუდგენია არანაირი ინფორმაცია ან მტკიცებულება, რომელიც „გონივრულ ეჭვს“ მიღმა დაადასტურებდა განმცხადებლების კავშირს აღნიშნულ ნივთებთან. ამ გარემოებების შეფასებამ — სამოქალაქო საზოგადოების მიმართ მიმდინარე ზეწოლის კონტექსტში — სასამართლო მიიყვანა დასკვნამდე, რომ განმცხადებელთა დაკავების რეალური მიზანი იყო მათი გაჩუმება და დასჯა აქტიური სოციალური და პოლიტიკური საქმიანობისთვის და NIDA-ს საქმიანობაში მონაწილეობისთვის. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მე-18 მუხლის დარღვევას, მე-5 მუხლთან ერთობლიობაში (§§ 122–125; აგრეთვე იხ. ქვემოთ — *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan, 2021*, NIDA-ს სხვა წევრების მიერ აღძრული საქმე, რომლებიც იმავე ბრალდებებით და იმავე სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში გაასამართლეს; აღნიშნული საქმე განხილული იქნა მრავალი მიზნის არსებობის ჭრილში).

84. საქმეში *Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan, 2020*, განმცხადებლები — ზემოაღნიშნული ორგანიზაციის, NIDA-ს წევრები — დააკავეს მას შემდეგ, რაც მათ ყოფილი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ქანდაკებაზე ანტისამთავრობო შინაარსის გრაფიტი განათავსეს და ამ ქმედების ამსახველი ფოტოები სოციალური ქსელებით გაავრცელეს. მათ ბრალად წარედგინათ ნარკოტიკებთან დაკავშირებული მძიმე დანაშაული. სასამართლომ დაადგინა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, მიუთითა რა, რომ წარდგენილი ბრალდება ვერ აკმაყოფილებდა გონივრულ ეჭვს მიღმა მინიმალურ სტანდარტსაც კი, განსაკუთრებით, მომჩივნების სტატუსის, მოვლენათა ქრონოლოგიის, გამოძიების მიმდინარეობისა და ხელისუფლების ქმედებების გათვალისწინებით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო რა საერთო კონტექსტი და საქმეში *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan, 2018* გაკეთებული დასკვნები (კერძოდ, აღნიშნული საქმე ადასტურებდა ხელისუფლების მიერ NIDA-სა და მისი წევრების მიზანში ამოღებას), დაადგინა, რომ განმცხადებლების დაკავებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის რეალური მიზანი იყო მათი დასჯა ანტისამთავრობო ქმედების გამო. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მე-18 მუხლის დარღვევას, მე-5 მუხლთან ერთობლიობაში (§§ 151–157).

D. შეზღუდვები, რომლებიც ემსახურება რამოდენიმე მიზანს

1. ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დამკვიდრებულ პრაქტიკას არმქონე საქმეები

85. ქვემოთ განხილულ საქმეებში სასამართლომ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტთან ერთობლიობაში, ვინაიდან განმცხადებელთა დაკავება, მიუხედავად იმისა, რომ ის ფორმალურად მათი უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით განხორციელდა (როგორც ამას ითვალისწინებს მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტი), რეალურად სხვა — კონვენციით დაუშვებელ — მიზანს ემსახურებოდა.

86. საქმეში *Gusinskiy v. Russia, 2004* (§§ 73–78), განმცხადებელი იყო კერძო მედიაჰოლდინგის *Media Most*-ის ყოფილი თავმჯდომარე და მსხვილი აქციონერი. კომპანია აწარმოებდა დავალიანების შესახებ დავას სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ ბუნებრივი აირის მონოპოლისტთან – *Gazprom*-თან. განმცხადებელი დააკავეს და წინასწარ პატიმრობაში მოათავსეს თაღლითობის ბრალდებით. პატიმრობის პერიოდში, პრესისა და მასობრივი კომუნიკაციების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა განმცხადებელს შეატყობინა, რომ თუკი იგი საკუთარ მედიაკომპანიას მიჰყიდდა *Gazprom*-ს (მის მიერვე განსაზღვრული ფასად), მის მიმართ წარდგენილი ბრალდებები მოიხსნებოდა. მხარეებმა ხელი მოაწერეს შესაბამის შეთანხმებას, რომელიც მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მიერ იქნა დამტკიცებული. რამდენიმე დღეში გამომძიებელმა შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა იმ მოტივით, რომ განმცხადებელმა, მედიაჰოლდინგის სახელმწიფო კონტროლს დაექვემდებარებული სამართლებრივი სუბიექტისთვის გადაცემით, მნიშვნელოვნად ანაზღაურა სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანი. სასამართლოს შეფასებით, გამომძიებლის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები შესაძლოა საკმარისი ყოფილიყო „ობიექტური დამკვირვებლისთვის“, რომ შეექმნა გონივრული ეჭვი, თითქოს განმცხადებელმა თაღლითური ქმედება ჩაიდინა; თუმცა, ფაქტობრივი გარემოებები მიაჩნებოდა იმაზე, რომ აღნიშნული სისხლისსამართლებრივი დევნა, რეალურად, გამოყენებული იყო როგორც კომერციული ვაჭრობის ბერკეტი. შესაბამისად, განმცხადებლის პატიმრობის დომინანტური მიზანი არ იყო მისი უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე წარდგენა, არამედ მისი დაშინება და კომპანიის გაყიდვის იძულება. ამდენად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევას (§ 76).

87. საქმეში *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, განმცხადებელი — ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ოპოზიციური პარტიის ლიდერი

— წინასწარ პატიმრობაში მოათავსეს გაფლანგვის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სხვა ბრალდებების საფუძველზე. წინასწარი პატიმრობის ერთ-ერთ ღამეს, იგი ფარულად გაიყვანეს საკნიდან, რათა მთავარ პროკურორს იგი დაეკითხა ერთ-ერთი ყოფილი პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებასა და ყოფილი პრეზიდენტის — ბატონი სააკაშვილის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა, რომ მასალებში არ იკვეთებოდა ისეთი გარემოებები, რომლებიც ეჭვქვეშ დააყენებდა განმცხადებლის მიმართ არსებული ეჭვის გონივრულობას. მისი წინასწარი პატიმრობა კანონიერი იყო და ემსახურებოდა კონვენციის მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტით გათვალისწინებულ მიზანს (§§ 187, 206 და 208). თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ წინასწარი პატიმრობა წარმოადგენდა ხანგრძლივ მდგომარეობას, სასამართლო ვალდებული იყო შეეფასებინა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა იგი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში და რომელი მიზანი იყო დომინანტური. არ იკვეთებოდა მტკიცებულება იმისა, რომ წინასწარი პატიმრობის პირველ შვიდ თვეში, სანამ განმცხადებელს საკნიდან გაიყვანდნენ, ხელისუფლება რაიმე ფარული მიზნის განხორციელებას ცდილობდა. თუმცა, აღნიშნულმა შემთხვევამ აჩვენა, რომ ხელისუფლებამ სცადა წინასწარი პატიმრობის გამოყენება ზეწოლის ბერკეტად, რათა მიეღო გარკვეული ინფორმაცია. ამგვარად, იმ ეტაპზე პატიმრობა ემსახურებოდა როგორც ლეგიტიმურ, ისე ფარულ მიზანს. ამავდროულად, წინასწარი პატიმრობის გაგრძელების სამართლებრივი საფუძველი თითქოს უკვე უკანა პლანზე იყო გადანაცვლებული შემთხვევამდე გარკვეული დროით ადრე, რის გამოც სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის 3-პუნქტის დარღვევა. არსებული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ პატიმრობის დომინანტური მიზანი შეიცვალა — თავდაპირველად იგი ემსახურებოდა დანაშაულის გამოძიებას გონივრული ეჭვის საფუძველზე, ხოლო მოგვიანებით გადაიქცა ბერკეტად ინფორმაციის მოსაპოვებლად. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევას მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტთან ერთობლიობაში (§ 353).

88. საქმეში *Miroslava Todorova v. Bulgaria, 2021*, სასამართლომ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა მე-10 მუხლთან ერთობლიობაში, მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური წარმოებისა და გამოყენებული სანქციების გამო, რაც დაკავშირებული იყო მისი მხრიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და აღმასრულებელი ხელისუფლების კრიტიკასთან. განმცხადებელი იყო ბულგარეთის მოსამართლეთა პროფესიული ასოციაციის — ბულგარეთის მოსამართლეთა კავშირის (BUJ) - არჩეული პრეზიდენტი. როგორც BUJ-ს პრეზიდენტმა, მან არაერთი საჯარო განცხადება გააკეთა მოსამართლეთა დანიშვნებში გამჭვირვალობის ხელშეწყობისა და

აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენის შემცირების შესახებ, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით. თუმცა, აღნიშნულმა განცხადებებმა უარყოფითი რეაქცია გამოიწვია როგორც SJC-ის, ისე მთავრობის მხრიდან. კერძოდ, შინაგან საქმეთა მინისტრმა საჯაროდ გააკრიტიკა განმცხადებლის მუშაობა მოსამართლედ. SJC-ის გენერალურმა ინსპექტორმა გასცა განკარგულება სოფიის საქალაქო სასამართლოში — სადაც განმცხადებელი მუშაობდა — აუდიტის ჩატარების თაობაზე. პრესისთვის მიცემულ კომენტარში, ინსპექტორმა განაცხადა, რომ აუდიტი იყო პასუხი იმ კრიტიკაზე, რომელიც მოსამართლეებმა, მათ შორის BUJ-მ, გამოთქვეს სოფიის საქალაქო სასამართლოს ახალი თავმჯდომარის დანიშვნასთან დაკავშირებით (თავმჯდომარედ დაინიშნა მოსამართლე, რომელიც გავრცელებული ინფორმაციით, შინაგან საქმეთა მინისტრის ახლო მეგობარი იყო). აუდიტის დასკვნების საფუძველზე, განმცხადებლის წინააღმდეგ აღიძრა დისციპლინური წარმოება, საქმეთა გაჭიანურებასთან დაკავშირებით. თავდაპირველად მას სანქციის სახით ორი წლის მანძილზე შეუმცირეს ხელფასი, რასაც შემდეგ მოჰყვა მისი თანამდებობიდან განთავისუფლება. უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ მისი საჩივრის განხილვის შემდეგ აღნიშნული სანქცია შეცვალა ორწლიანი თანამდებობრივი დაქვეითებით. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ SJC კრიტიკულ განცხადებებს BUJ-სა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან აღიქვამდა, როგორც ერთგვარ „ომს“. სასამართლომ გაიზიარა, რომ სადავო ზომები ფორმალურად ეფუძნებოდა პროფესიული მოვალეობების დარღვევას, თუმცა მათ ჰქონდა პირდაპირი კავშირი განმცხადებლის საჯარო განცხადებებთან. შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიებები ერთდროულად ემსახურებოდა როგორც ლეგიტიმურ, ისე ფარულ მიზანს — განმცხადებელზე ზეწოლას და მის დასჯას SJC-სა და აღმასრულებელი ხელისუფლების კრიტიკის გამო. სასამართლომ საბოლოოდ დაადგინა, რომ ფარული მიზანი იყო დომინანტური, რასაც ადასტურებდა ზემოაღწერილი მოვლენების ჯაჭვი, SJC-ს მხრიდან BUJ-სა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ გამოხატული აშკარად მტრული დამოკიდებულება და განმცხადებლის დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების განსაკუთრებული სიმკაცრე. განსაკუთრებით შემაფოთებლად შეფასდა დისციპლინური სამართალწარმოების გამოყენება იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომლის ქმედებები არც უკანონო იყო და არც სამოსამართლო ეთიკის კოდექსთან შეუთავსებელი (§§ 205–212).

89. საქმეში *Juszczyszyn v. Poland, 2022* ეხებოდა პოლონეთის სასამართლო სისტემაში გატარებულ ფართომასშტაბიან რეფორმებს, რომელმაც მნიშვნელოვნად შეასუსტა სასამართლოს დამოუკიდებლობა. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) ამასთან დაკავშირებით არაერთი მნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთა,

განსაკუთრებით, ეროვნული სამოსამართლო საბჭოს (NCJ) რეფორმასთან და საბჭოს რეკომენდაციით დანიშნული მოსამართლეების სტატუსთან დაკავშირებით. CJEU-ს აღნიშნული გადაწყვეტილების განხორციელების მიზნით, განმცხადებელმა მოსამართლემ გამოსცა განკარგულება იმის შესამოწმებლად, აკმაყოფილებდა თუ არა პირველი ინსტანციის მოსამართლე (რომელიც პრეზიდენტმა NCJ-ის რეკომენდაციით დანიშნა) დამოუკიდებლობის კრიტერიუმს. მალევე, მასზე მრავალი სადამსჯელო ზომა გატარდა იუსტიციის მინისტრისა და მის მიერ დანიშნული პირების მხრიდან (სააპელაციო სასამართლოში მისი მივლინების შეწყვეტა და სამოსამართლო ფუნქციების მყისიერი შეჩერება). შემდგომში, უზენაესი სასამართლოს დისციპლინურმა პალატამ ის დროებით ჩამოაშორა მოსამართლის მოვალეობებს და ხელფასი შეუმცირა. სასამართლო მზად იყო ჩაეთვალა, რომ განმცხადებლის დროებითი ჩამოშორება ნაწილობრივ ემსახურებოდა მთავრობის მიერ მითითებულ ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზანს — სხვა პირების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. თუმცა, საკანონმდებლო და სასამართლო დონეზე განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობდა ეჩვენებინა, რომ მოსამართლეს, რომელიც ექვემდებარება NCJ-ის რეკომენდაციით დანიშნული მოსამართლეების სტატუსს, ემუქრებოდა დასაწყევლება. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა მე-8 მუხლთან ერთობლიობაში, ვინაიდან დომინანტური მიზანს წარმოადგენდა განმცხადებლის დასჯა და დაშინება (§§ 322–337).

90. საქმეში *Kogan and Others v. Russia, 2023*, სასამართლომ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა კონვენციის მე-8 მუხლთან ერთობლიობაში, ვინაიდან ადამიანის უფლებათა ცნობილ დამცველს ბინადრობის ნებართვა გაუუქმეს დაუსაბუთებლად, ეროვნული უსაფრთხოების მოტივით, კონკრეტული მიზეზის მითითების გარეშე. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ სახეზე იყო არაერთი ნიშანი იმისა, რომ მომჩივანი ადვოკატები დაექვემდებარნენ ზეწოლას მათ საქმიანობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მან დაადგინა, რომ გამოყენებული ზომის დომინანტურ მიზანს წარმოადგენდა მომჩივნების დასჯა, რათა მათ აღარ ჰქონოდათ რუსეთში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა (*Kogan and Others v. Russia, 2023*, § 77).

2. კონკრეტული ჯგუფების წინააღმდეგ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დამკვიდრებული პრაქტიკა („პატერნი“)

91. საქმე *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan, 2021* ეხება აზერბაიჯანის ხელისუფლების კრიტიკოსების, სამოქალაქო აქტივისტების და ადამიანის უფლებების დამცველების თვითნებური დაკავებისა და წინასწარ პატიმრობაში მოთავსების დამკვიდრებულ პრაქტიკას, სისხლისსამართლებრივი დევნისა და კანონმდებლობის ბოროტად გამოყენების გზით (იხ. *Aliyev v. Azerbaijan, 2018*). ასეთი საქმეების უმეტესობა ეხებოდა შეზღუდვებს, რომლებიც მხოლოდ ფარულ მიზანს ემსახურებოდა (იხ. წინა სექცია), თუმცა, საქმეში *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, სასამართლომ იხელმძღვანელა ვარაუდით, რომ მომჩივნების დაკავებას შესაძლოა ჰქონოდა ლეგიტიმური მიზანი და საქმე შეაფასა მიზნების სავარაუდო სიმრავლის კრილში. განმცხადებლები, არასამთავრობო ორგანიზაცია “NIDA”-ს წევრები, რომლებიც სხვადასხვა მშვიდობიან ანტისამთავრობო დემონსტრაციებში იღებდნენ მონაწილეობას, დააკავეს იმავე ბრალდებით, რითაც განმცხადებლები საქმეში *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan, 2018*. შემდგომში, ისინი იმავე სისხლისსამართლებრივი წარმოების ფარგლებში გაასამართლეს და დამნაშავედ ცნეს. სასამართლომ დაადგინა, რომ მათი პატიმრობის გაგრძელების დომინანტური მიზანი იყო მათი დასჯა და გაჩუმება — სწორედ ანტისამთავრობო გამოსვლებში აქტიური მონაწილეობის გამო. სასამართლომ, დაეყრდნო რა აზერბაიჯანში ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების უკვე დადგენილ პრაქტიკას, აღნიშნა, რომ სამართალდამცავი ორგანოები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მათ [მომჩივანთა] ქმედებებს — რაც აშკარად მიუთითებდა, რომ მათ სამიზნეს კონკრეტულად NIDA და მისი წევრები წარმოადგენდნენ (იხ. აგრეთვე *Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan, 2020*). შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა, მე-5 მუხლის 3-პუნქტთან ერთობლიობაში.

92. საქმე *Ukraine v. Russia (re Crimea)[GC], 2024* ეხებოდა ყირიმში „უკრაინელი პოლიტიკური პატიმრების“ უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობას. სასამართლომ საქმე შეაფასა მიზნების შესაძლო სიმრავლის კრილში და დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა, მე-5, მე-6, მე-8, მე-10 და მე-11 მუხლებთან ერთობლიობაში. კერძოდ, მის წინაშე არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივანთა სამართლებრივი დევნა და მსჯავრდება განპირობებული იყო ფარული პოლიტიკური მოტივით, რაც საბოლოოდ მიზნად ისახავდა პოლიტიკური ოპოზიციის დასჯას და გაჩუმებას, რის შემდეგაც სასამართლომ დაადგინა, რომ დომინანტურ მიზანს

„უკრაინელი პოლიტიკური პატიმრების“ უფლებების შეზღუდვის ფარული მიზანი წარმოადგენდა (§§ 1375 და 1380).

3. საქმეები, სადაც სასამართლომ ფარული მიზანი დომინანტურად არ მიიჩნია

93. ქვემოთ განხილულ საქმეებში სასამართლომ არ გამორიცხა, რომ ხელისუფლების ქმედებები სავარაუდოდ ფარული მიზნით იყო განპირობებული, თუმცა ვერ დაადგინა, რომ ფარული მიზნის დომინანტურობა.

94. საქმეში *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, სასამართლომ, ასევე, განიხილა პრეტენზიები, რომ განმცხადებლის დაპატიმრება და დაკავება ემსახურებოდა პოლიტიკური სცენიდან მისი მოშორების ფარულ მიზანს. პოლიტიკური კონტექსტის, კერძოდ, განმცხადებლის ოპოზიციურ პარტიასა და მმართველ პარტიას შორის არსებული მწვავე დაპირისპირების, დაკავების დროის და წაყენებული ბრალდებების ხასიათის გათვალისწინებით, სასამართლომ გასაგებად მიიჩნია გარკვეული ეჭვები მომჩივნისთვის წაყენებული ბრალდების პოლიტიკურ მოტივთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ თავად ბრალდება ღიად პოლიტიკური არ ყოფილა. ამავდროულად, სისხლისსამართლებრივი პროცესის ჩატარების ფორმის შეფასების შემდეგ, სასამართლო ვერ დარწმუნდა იმაში, რომ განმცხადებლის პატიმრობის დომინანტურ მიზანს წარმოადგენდა მისი პოლიტიკური საქმიანობისთვის ხელის შეშლა და არა სისხლისსამართლებრივი დევნის სათანადოდ წარმართვის უზრუნველყოფა. (§§ 320–332).

95. საქმეში *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia*, 2013, განმცხადებლები — წარმატებული ბიზნესმენები და ნავთობკომპანია *Yukos*-ის მაღალი თანამდებობის პირები — გაასამართლეს თაღლითობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების ბრალდებით. მათ მტკიცებით, სისხლისსამართლებრივი დევნა პოლიტიკურად მოტივირებული იყო. განმცხადებლების პოლიტიკური სტატუსისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მზად იყო ელიარებინა, რომ ზოგიერთ პოლიტიკურ ჯგუფს ან სახელმწიფო მოხელეს შესაძლოა ჰქონოდა პირადი მიზეზები მათ წინააღმდეგ დევნის დასაწყებად. სასამართლო არ გამორიცხავდა იმასაც, რომ პროცესის მიმდინარეობისას ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს ან სტრუქტურას შესაძლოა ჰქონოდა „ფარული მიზანი“. თუმცა, სასამართლომ ვერ გაიზიარა განმცხადებელთა „აბსოლუტური მტკიცება, რომ მთლიანი საქმე მართლმსაჯულების აშკარა ბოროტად გამოყენებას წარმოადგენდა“. მომჩივნების მიმართ სამართლებრივი დევნის უკან არსებული „არასათანადო მოტივაციის“

შესაძლო ელემენტები ან „შერეული განზრახვა“ არასაკმარისი იყო იმისათვის, რომ სასამართლოს დაედგინა, რომ სხვა შემთხვევაში ადგილი არ ექნებოდა განმცხადებელთა მსჯავრდებას. შესაბამისად, სასამართლომ ვერ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა, რადგან სავარაუდო ფარული მიზანი დომინანტური არ აღმოჩნდა (§§ 906–908).

IV. მტკიცებულებათა საკითხები

A. მტკიცებულებათა ზოგადი სტანდარტები

96. მე-18 მუხლის ფარგლებში საქმის განხილვისას, სასამართლო აღარ იყენებს ეროვნული ხელისუფლების კეთილსინდისიერების ზოგად პრეზუმფციას და არც რაიმე სპეციალურ წესებს მტკიცებულებებთან დაკავშირებით (შედარებისთვის იხ. *Khodorkovskiy v. Russia*, 2011, §§ 255–256 და 260; *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia*, 2013, § 899). ნაცვლად ამისა, სასამართლო მისდევს თავის ჩვეულ მიდგომას მტკიცებულებებთან დაკავშირებით (იხ. *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 310; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 165; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 422; *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, § 202; *Juszczyszyn v. Poland*, 2022, § 316) და აღარ იყენებს იმ უფრო მკაცრ სტანდარტს, რომელსაც ამ მუხლთან დაკავშირებით მან წარსულში არაერთ საქმეში მიმართა.

97. აღნიშნული მიდგომის პირველი ასპექტია ის, რომ ზოგადად, მტკიცებულების წარდგენის ტვირთი მხარეებს შორის არ ნაწილდება, რადგან სასამართლო განიხილავს მის წინაშე არსებულ ყველა მასალას, განურჩევლად მათი წყაროსი, და შეუძლია საკუთარი ინიციატივით მოითხოვოს დამატებითი მასალები. სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ ზოგჯერ შეუძლებელია მკაცრად მიყვეს იმ მიდგომას, რომლის მიხედვითაც, მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, ვინც ბრალდებას აყენებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც მომჩივნები მტკიცებულებებთან დაკავშირებით სპეციფიკურ სირთულეებს აწყდებიან (იხ. *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 311; *Ireland v. the United Kingdom*, 1978, §§ 160–161; *Cyprus v. Turkey* [GC], 2001, §§ 112–113 და 115; *Georgia v. Russia (I)* [GC], 2014, §§ 93 და 95; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 165; *Korban v. Ukraine*, 2019, § 215; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 422; *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, § 202; *Juszczyszyn v. Poland*, 2022, § 316).

98. სასამართლო ეყრდნობა მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეებმა საკუთარი სურვილით წარადგინეს, თუმცა მას ასევე შეუძლია საკუთარი ინიციატივით მოითხოვოს დამატებითი მასალები განმცხადებლებისა ან მთავრობისგან,

სასამართლოს წინაშე წამოჭრილი პრეტენზიების დასადასტურებლად ან გასაბათილებლად. თუ მოპასუხე მთავრობა მოთხოვნას არ შეასრულებს, სასამართლო შესაბამის დასკვნებს გამოიტანს (იხ. *Janowiec and Others v. Russia* [GC], 2013, § 202). სასამართლოს რეგლამენტის 44C მუხლის 1-ლი პუნქტი მას, ასევე, საშუალებას აძლევს ასეთი დასკვნები განიხილოს კონტექსტუალურ ფაქტორებთან ერთობლიობაში (იხ. *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 312; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 165; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 422).

99. სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დასკვნები მოპასუხე სახელმწიფოს ქმედებიდან, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც მხოლოდ სახელმწიფოს აქვს წვდომა ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც შეუძლია დაადასტუროს ან უარყოს მომჩივნის პრეტენზიები. ეს შესაძლებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფარული მიზნის არსებობის შესახებ პრეტენზიების კონტექსტში (იხ. *Timurtaş v. Turkey*, 2000, § 66; *Aktaş v. Turkey*, 2003, § 272; *El-Masri v. the former Yugoslav Republic of Macedonia* [GC], 2012, § 152; *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 313; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 165; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 422).

100. სასამართლოს მიდგომის მეორე ასპექტია ის, რომ სასამართლოს წინაშე მტკიცების სტანდარტს წარმოადგენს „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტი. იგი არ არის იმ სტანდარტის იდენტური, რომელიც მოქმედებს ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში, სადაც აღნიშნული სტანდარტი გამოიყენება. პირველ რიგში, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი მიიღწევა საკმარისად ძლიერი, მკაფიო და თანმხვედრი დასკვნების ან ფაქტის გაუბათილებელი პრეზუმფციების არსებობის შემთხვევაში. მეორე, ამ სტანდარტის მისაღწევად საჭირო დამაჯერებლობის დონე მჭიდროდ არის დაკავშირებული ფაქტების სპეციფიკურობასთან, წამოჭრილი პრეტენზიების ბუნებასთან და კონვენციით გათვალისწინებულ იმ უფლებასთან, რომელიც სავარაუდოდ დაირღვა (იხ. *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 314; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 165; *Korban v. Ukraine*, 2019, § 215; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 422; *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, § 202; *Juszczyszyn v. Poland*, 2022, § 316).

101. სასამართლოს მიდგომის მესამე ასპექტია ის, რომ იგი აფასებს არა მხოლოდ მტკიცებულების დასაშვებობას და შესაბამისობას, არამედ, აგრეთვე, მის მტკიცებულებით ძალას. მტკიცებულებების შეფასებისას, სასამართლო არ არის შებოჭილი რაიმე ფორმულით, არამედ, იგი ეყრდნობა ყველა მტკიცებულების თავისუფალ შეფასებას, მათ შორის იმ დასკვნებს, რომლებიც შეიძლება ფაქტებიდან ან

მხარეთა არგუმენტებიდან გამომდინარეობდეს (იხ. *Nachova and Others v. Bulgaria* [GC], 2005, § 147). სასამართლო ითვალისწინებს იმ კონკრეტულ მტკიცებულებით სირთულეებს, რომლებსაც რომელიმე მხარე გადააწყდა (იხ. *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 315; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 165; *Korban v. Ukraine*, 2019, § 215; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 422; *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, § 202; *Juszcyszyn v. Poland*, 2022, § 316).

102. მე-18 მუხლის საფუძველზე წამოწეული პრეტენზიების განხილვისას სასამართლო არ შემოიფარგლება მხოლოდ პირდაპირი მტკიცებულებებით და არ იყენებს მტკიცებულების სპეციალურ სტანდარტს ამგვარი პრეტენზიების შეფასებისას (იხ. *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, §§ 282 და 310; შედარებისთვის იხ. *Khodorkovskiy v. Russia*, 2011, § 260; *Dochnal v. Poland*, 2012, § 116; *Nastase v. Romania* (dec.), 2014, § 109; *AO Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia*, 2011, § 603; *Bîrsan v. Romania* (dec.), 2016, § 73; *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia*, 2013, § 899; *Mammadli v. Azerbaijan*, 2018, § 98; *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan*, 2018, § 120; *Aliyev v. Azerbaijan*, 2018, § 204; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 165; *Korban v. Ukraine*, 2019, § 215; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 422; *Ahmet Hüsrev Altan v. Turkey*, 2021, § 237; *Kogan and Others v. Russia*, 2023, § 68). საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ფარული მიზნის არსებობა ყოველთვის ვერ დასტურდება კონკრეტულ მამხილებელ მტკიცებულებაზე მითითებით, რომელიც აშკარად აჩვენებს ხელისუფლების ქმედების რეალურ მიზეზს (მაგალითად, წერილობითი დოკუმენტი, როგორიც იყო საქმეში *Gusinskiy v. Russia*, 2004); ან კონკრეტული იზოლირებული ინციდენტით (იხ. *Mirgadirov v. Azerbaijan and Turkey*, 2020, § 132); ან იმ ფაქტით, რომ განმცხადებელი დაკითხეს იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც უშუალოდ არ ეხებოდა მოცემულ სისხლისსამართლებრივ საქმეს (იხ. *Ugulava v. Georgia*, 2023, § 125; *Kavala v. Turkey*, 2019, § 222).

103. და ბოლოს, ირიბი მტკიცებულება ამ კონტექსტში გულისხმობს ინფორმაციას პირველადი ფაქტების, კონტექსტუალური გარემოებების ან მოვლენათა თანმიმდევრობის შესახებ, რომელიც შეიძლება გახდეს საფუძველი პირველადი ფაქტების შესახებ დასკვნების გამოტანისთვის (იხ. *Ilgar Mammadov v. Azerbaijan*, 2014, § 142; *Rasul Jafarov v. Azerbaijan*, 2016, § 158; *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 317; *Korban v. Ukraine*, 2019, § 215; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 422; *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, § 202; *Juszcyszyn v. Poland*, 2022, § 316; *Kogan and Others v. Russia*, 2023, § 68).

104. მოვლენათა თანმიმდევრობის შეფასებისას, სასამართლოს შეუძლია გაანალიზოს, ისინი ერთად აღებული ხომ არ მიუთითებს გარკვეული პირის „მიზანში ამოღების“ პრაქტიკაზე (იხ. *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, §§ 167–170). სასამართლო ასევე ითვალისწინებს იგივე მომჩივნის მიერ ინიცირებულ საქმეებში მანამდე გამოტანილ დასკვნებს. ასევე, გასათვალისწინებელ გარემოებას წარმოადგენს მოცემულ მომენტში სახელმწიფოს ინფორმირებულობა, რომ სადავო პრაქტიკა კონვენციის სტანდარტებთან შეუთავსებელი იყო (*Navalnyy v. Russia* [GC], 2018, §§ 171).

105. სასამართლოს, ასევე, შეუძლია შეაფასოს, ერთი საქმე ან სახელმწიფოს წინააღმდეგ აღძრული მსგავსი საქმეების სერია - მთლიანობაში და შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით — ხომ არ მიუთითებს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გარკვეულ პრაქტიკაზე, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტულ ჯგუფებზე (როგორიცაა ოპოზიციური პოლიტიკური ფიგურები, სამოქალაქო აქტივისტები ან ადამიანის უფლებების დამცველები) მიზანმიმართულ ზემოქმედებას (იხ. *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, §§ 427–428; *Aliyev v. Azerbaijan*, 2018, § 223; *Natig Jafarov v. Azerbaijan*, 2019, §§ 64–65; *Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan*, 2020, §§ 151–152; *Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2)*, 2020, §§ 113–114; *Yunusova and Yunusov v. Azerbaijan (no. 2)*, 2020, §§ 187–188; *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, § 76; *Democracy and Human Rights Resource Centre and Mustafayev v. Azerbaijan*, 2021, § 109).

106. როდესაც დადგენილია მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გარკვეული პრაქტიკა, ეს ფაქტორი რელევანტურია მოცემულ საქმეში ფარული მიზნის არსებობის დადასტურებისთვის (იხ. *Democracy and Human Rights Resource Centre and Mustafayev v. Azerbaijan*, 2021, § 109). მიზნების სიმრავლის კონტექსტში, იგი შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ შესაბამისი სახელმწიფოს ორგანოების მიერ დასახული ფარული მიზანი დომინანტურია (იხ. *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, § 77).

107. სასამართლო ხშირად ითვალისწინებს საერთაშორისო დამკვირვებლების, არასამთავრობო ორგანიზაციების ან მედიის ანგარიშებსა და განცხადებებს, ასევე სხვა ეროვნულ ან საერთაშორისო სასამართლოთა გადაწყვეტილებებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ხელს უწყობენ ფაქტების შეფასებას ან სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნების დამოწმებას (იხ. *Baka v. Hungary* [GC], 2016, § 148; *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 317; *Mammadli v. Azerbaijan*, 2018, § 95; *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan*, 2018, § 118; *Aliyev v. Azerbaijan*, 2018, § 205; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 165; *Korban v. Ukraine*, 2019, § 215; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020,

§§ 422, 424 და 434; *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, § 202; *Kutayev v. Russia*, 2023, § 139; *Juszczyszyn v. Poland*, 2022, § 316; *Kogan and Others v. Russia*, 2023, § 68).

108. სასამართლო ასევე აანალიზებს საკანონმდებლო განვითარებებს, რომლებიც განსახილველ პერიოდში განხორციელდა (იხ. *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 172; *Aliyev v. Azerbaijan*, 2018, § 212; *Rasul Jafarov v. Azerbaijan*, 2016, § 159; *Mammadli v. Azerbaijan*, 2018, § 99).

109. როდესაც მოცემულ საქმეში ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება აღქმული იქნას როგორც ფარული მიზნის შესაძლო ინდიკატორები და ამგვარი აღქმა არსებობდა შესაბამის პერიოდში პოლიტიკური პარტიების, მედიის და/ან სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, სასამართლო ითვალისწინებს აღნიშნულს და ამავდროულად, შეფასების დროს ყურადღებას ამახვილებს სათანადოდ დასაბუთებულ კონკრეტულ არგუმენტებზე, რომელსაც მომჩივანი წარმოადგენს მე-18 მუხლის საფუძველზე შეტანილი საჩივრის დასაბუთებლად (იხ. *Korban v. Ukraine*, 2019, §§ 218–224). ამ არგუმენტების სიზუსტისა და დეტალიზაციის დონე წარმოადგენს სასამართლოს ანალიზის მნიშვნელოვან ელემენტს (იხ. *Mirgadirov v. Azerbaijan and Turkey*, 2020, § 133).

110. იმის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკური პროცესი და სამართლებრივი პროცესი ფუნდამენტურად განსხვავებულია, სასამართლო თავის გადაწყვეტილებას დაყრდნობს „სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებებს“, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად (იხ. *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, §§ 310–317) და თავად შეაფასებს საქმესთან დაკავშირებულ კონკრეტულ ფაქტებს (იხ. *Kavala v. Turkey*, 2019, § 217; *Khodorkovskiy v. Russia*, 2011, § 259; *Ilgar Mammadov v. Azerbaijan*, 2014, § 140; *Rasul Jafarov v. Azerbaijan*, 2016, § 155; *Sabuncu and Others v. Turkey*, 2020, § 250; *Şik v. Turkey (no. 2)*, 2020, § 209; *Ahmet Hüsrev Altan v. Turkey*, 2021, § 238; *Ugulava v. Georgia*, 2023, § 123; *Melia v. Georgia*, 2023, § 140). ამ კონტექსტში, სასამართლო შეაფასებს, წარმოადგენს თუ არა ელემენტები, რომელზეც განმცხადებელი მიუთითებს, ცალკე აღებული ან ერთობლიობაში, საკმარისად ერთგვაროვან მთლიანობას (იხ. *Sabuncu and Others v. Turkey*, 2020, § 256; *Şik v. Turkey (no. 2)*, 2020, § 218; *Ahmet Hüsrev Altan v. Turkey*, 2021, § 246).

111. სასამართლო სიფრთხილით უნდა მიუდგეს განცხადებებს, რომლებზე შეიძლება გავლენა მოეხდინა პოლიტიკურ მოტივებს (იხ. *Akhalaia v. Georgia* (dec.), 2022, § 66).

112. როდესაც სადავო შეზღუდვა ემყარება შიდა სამართლის ნორმას, რომელსაც აკლია ლეგიტიმური მიზანი და/ან სათანადო დასაბუთება და რომელიც გაურჩევლად ვრცელდება ყველა ადრესატზე, სასამართლო ვერ შეძლებს დაადგინოს, რომ ამ ნორმის გამოყენება კონკრეტულ საქმეში ფარული მოტივის მტკიცებულებას წარმოადგენს, განმცხადებლების პრეტენზიების შესაბამისად (იხ. *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia* (no. 2), 2020, §§ 624–625).

B. წინასწარი პატიმრობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციფიკური საკითხები

113. როდესაც საქმე ეხება სისხლისსამართლებრივი დევნის კონტექსტში ფარული მიზნის არსებობას, რთულია წინასწარი პატიმრობის გამოიყენა თავად სისხლისსამართლებრივი წარმოებისგან. სასამართლომ ადრეც აღნიშნა, რომ იგი უფლებამოსილია განიხილოს წინასწარი პატიმრობის პოლიტიკური ან სხვა ფარული მოტივების შესახებ პრეტენზიები იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია წინასწარი პატიმრობის გამოყოფა იმ სისხლისსამართლებრივი პროცესისგან, რომლის ფარგლებშიც იგი იყო დაკისრებული (იხ. *Navalnyy v. Russia* (no. 2), 2019, § 85; *Ilgar Mammadov v. Azerbaijan* (infringement proceedings) [GC], 2019, § 185; *Lutsenko v. Ukraine*, 2012, § 108; *Tymoshenko v. Ukraine*, 2013, § 298; *Tchankotadze v. Georgia*, 2016, § 114).

114. ამასთან, თუ დადგინდა, რომ განმცხადებელი ბრალდებული და წინასწარ პატიმრობაში მოთავსებული იყო მხოლოდ არასათანადო მიზეზების საფუძველზე, სასამართლოს მიერ მე-18 მუხლის დარღვევის დადგენა მე-5 მუხლთან ერთობლიობაში არალეგიტიმურს ხდის ყველა შემდგომ ქმედებას, რომელიც მომდინარეობდა აღნიშნული არასათანადო ბრალდებებიდან, მათ შორის, განმცხადებლის მსჯავრდებას და პატიმრობას (იხ. *Ilgar Mammadov v. Azerbaijan* (წარმოება დარღვევის შესახებ) [GC], 2019, § 189).

115. როდესაც ბრალდება წამოყენებულია მე-18 მუხლის საფუძველზე, მე-5 მუხლთან ერთობლიობაში, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს წინასწარი პატიმრობის გამოყენების და/ან გაგრძელების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებებზე. ამასთან, იგი ასევე ითვალისწინებს იმ სისხლისსამართლებრივი პროცესის მიმდინარეობას, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა სადავო ზომები (იხ. *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, §§ 320 და 325).

C. პოლიტიკური მიზნების არსებობის შესახებ პრეტენზიები

116. როდესაც საქმე ეხება სისხლისსამართლებრივი დევნის კონტექსტში პოლიტიკური მიზნების არსებობის შესახებ პრეტენზიებს, სასამართლო ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

- ფართო პოლიტიკური და საკანონმდებლო კონტექსტი, რომელშიც განმცხადებლის მიმართ სისხლისსამართლებრივი საქმე აღიძრა (იხ. *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 322; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, §§ 426–431; *Khodorkovskiy v. Russia*, 2011, § 257; *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia*, 2013, § 901; *Nastase v. Romania* (dec.), 2014, § 107; *Ilgar Mammadov v. Azerbaijan*, 2014, § 142; *Rasul Jafarov v. Azerbaijan*, 2016, §§ 159–161; *Mammadli v. Azerbaijan*, 2018, § 103; *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan*, 2018, § 124; *Aliyev v. Azerbaijan*, 2018, §§ 212 და 214; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, §§ 171–173; *Navalnyy v. Russia (no. 2)*, 2019, § 96; *Korban v. Ukraine*, 2019, § 222; *Natig Jafarov v. Azerbaijan*, 2019, § 67; *Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan*, 2020, § 156; *Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2)*, 2020, § 118; *Yunusova and Yunusov v. Azerbaijan (no. 2)*, 2020, §§ 191–193; *Sabuncu and Others v. Turkey*, 2020, § 253; *Şık v. Turkey (no. 2)*, 2020, § 212; *Ahmet Hüsrev Altan v. Turkey*, 2021, § 241; *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, § 76; *Kutayev v. Russia*, 2023, § 138);
- ხელმძღვანელობდნენ თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო ორგანოები ფარული მოტივებით (იხ. *Tchankotadze v. Georgia*, 2016, § 114; *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 323; *Batiashvili v. Georgia*, 2019, § 102), კერძოდ:
 - ამგვარი ორგანოების საჯარო განცხადებები გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება მიუთითებდეს კონკრეტული პირებისა ან ორგანიზაციების „მიზანში ამოღებაზე“ (იხ. *Ilgar Mammadov v. Azerbaijan*, 2014, § 142; *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan*, 2018, §§ 122–124; *Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan*, 2020, § 155; *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, §§ 71–73);
 - გარკვეულმა პოლიტიკურმა კლიმატმა შესაძლოა შექმნას გარემოება, რომელიც გავლენას მოახდენს ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებზე როგორც განმცხადებლის, ასევე იმ ჯგუფის ან კატეგორიის სხვა წევრების შესახებ, რომელსაც იგი ეკუთვნის. ამგვარი გარემოს არსებობის დასადგენად, საჭირო არ არის იმის ჩვენება, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მთელი სამართლებრივი მექანიზმი

სისტემატურად ბოროტად გამოიყენება ან რომ ეროვნული სასამართლო ორგანოები მუდმივად მოქმედებენ კონვენციის აშკარა უფლებელყოფით ყველა საქმეში, რომელიც ეხება სამიზნე ჯგუფს ან კატეგორიას (იხ. *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, §§ 434 და 436).

- იყო თუ არა მტკიცებულება იმისა, რომ სასამართლოები არ იყვნენ საკმარისად დამოუკიდებელი აღმასრულებელი ხელისუფლებისგან (იხ. *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 324; *Batiashvili v. Georgia*, 2019, § 102); ამასთან დაკავშირებით, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის მიერ გაკეთებულ შესაბამის შეფასებებს, მაგალითად, მოსამართლეთა იმ თვითმმართველობის ორგანოს შემადგენლობის შესახებ, რომელიც ზედამხედველობას უწევს მოსამართლეების და პროკურორების დანიშვნას, დისციპლინურ ზომებს და მოსამართლეებისა და პროკურორების განთავისუფლებას (იხ. *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 434);
- როგორ და რა დროს განხორციელდა განმცხადებლის დაკავება და/ან როგორ წარიმართა სისხლისსამართლებრივი დევნა ან წინასწარი პატიმრობის განხილვა სასამართლოს მიერ (იხ. *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 325; *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, §§ 167–168; *Batiashvili v. Georgia*, 2019, § 102; *Korban v. Ukraine*, 2019, § 218; *Natig Jafarov v. Azerbaijan*, 2019, § 68; *Kavala v. Turkey*, 2019, §§ 222–229; *Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan*, 2020, § 153; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, §§ 429–433; *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, § 73; *Kutayev v. Russia*, 2023, § 139), კერძოდ:
 - ხომ არ გასულა ხანგრძლივი დრო მომჩივნისთვის ბრალად წაყენებულ ქმედებებსა და სისხლისსამართლებრივი გამოძიების დაწყებას ან წინასწარ პატიმრობაში მოთავსებას შორის (იხ. *Kavala v. Turkey*, 2019, § 228; *Sabuncu and Others v. Turkey*, 2020, § 254; *Şık v. Turkey (no. 2)*, 2020, § 213; *Ahmet Hüsrev Altan v. Turkey*, 2021, § 242; *Ugulava v. Georgia*, 2023, § 126);
 - მომჩივნის საქმე დაექვემდებარა თუ არა განსაკუთრებულ ყურადღებას (იხ. *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan*, 2018, § 124), მაგალითად, მაღალი რანგის მოხელეთა დაუსაბუთებელი ჩართვა პროცესში (იხ. *Kutayev v. Russia*, 2023, § 140);
 - გამოყენებული იქნა თუ არა ზეწოლის შედეგად მოპოვებული აღიარებითი ჩვენება სისხლისსამართლებრივ პროცესში (იხ. *Kutayev v. Russia*, 2023, § 139);

- განმცხადებლის მიმართ წაყენებული ბრალდება იყო თუ არა დასაბუთებული და აღწევდა თუ არა "გონივრული ეჭვის" სტანდარტს, მე-5 მუხლის 1(გ) ქვეპუნქტის შესაბამისად (იხ. *Khodorkovskiy v. Russia*, 2011, § 258; *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia*, 2013, § 908; *Dochnal v. Poland*, 2012, § 111; *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 318; *Korban v. Ukraine*, 2019, § 216; *Aliyev v. Azerbaijan*, 2018, § 209; *Natig Jafarov v. Azerbaijan*, 2019, § 68; *Kavala v. Turkey*, 2019, § 218; *Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan*, 2020, § 154; *Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2)*, 2020, § 111; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, §§ 338–339 და 423; *Sabuncu and Others v. Turkey*, 2020, § 251; *Şik v. Turkey (no. 2)*, 2020, § 217; *Ahmet Hüsrev Altan v. Turkey*, 2021, § 239; *Ugulava v. Georgia*, 2023, § 125); თუ ბრალდებები ეფუძნება ფაქტებს, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, ობიექტურად ვერ ჩაითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად, განსაკუთრებით, თუ ისინი დაკავშირებულია კონვენციით დაცული უფლებების განხორციელებასთან, ეს გარემოებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მე-18 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის განხილვისას და შეიძლება მიჩნეული იქნას, როგორც ფარული მიზნის არსებობის დამადასტურებელი (იხ. *Kavala v. Turkey*, 2019, §§ 220 და 224).
- მომჩივნის მიმართ წაყენებული ბრალდებები დაკავშირებული იყო მის პოლიტიკურ საქმიანობასთან, თუ მხოლოდ სისხლის სამართალდარღვევებთან (იხ. *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia*, 2013, § 906; *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 320; *Ugulava v. Georgia*, 2023, § 130);
- იყო თუ არა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები სათანადოდ დასაბუთებული და შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე დაფუძნებული (იხ. *Nastase v. Romania* (dec.), 2014, § 107; *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, § 78);
- გააანალიზეს თუ არა ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ და საფუძვლიანად მომჩივნის პრეტენზიები, შესაბამისი მატერიალური მუხლების საფუძველზე (იხ. *Sabuncu and Others v. Turkey*, 2020, § 256; *Şik v. Turkey (no. 2)*, 2020, § 217; *Ahmet Hüsrev Altan v. Turkey*, 2021, § 245);
- იყო თუ არა მომჩივანზე დაწესებული პრევენციული ზომები და თანმდევი შეზღუდვები საკმარისად დაკავშირებული მართლმსაჯულების მიზნებთან და შეესაბამებოდა თუ არა მათი ხანგრძლივობა წაყენებული ბრალდების ბუნებას (იხ. *Navalnyy v. Russia (no. 2)*, 2019, § 95).

117. ზემოაღნიშნული ფაქტორები ასევე მნიშვნელოვანია დისციპლინური წარმოების კონტექსტშიც (იხ. *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, §§ 205–213; *Juszczyszyn v. Poland*, 2022, §§ 322–337). თუ საქმის გარემოებები მიუთითებს, რომ ასეთი წარმოება და დაწესებული სანქციები ფარული მოტივით არის შეზღუდული, სასამართლო შეისწავლის, ეროვნულმა სასამართლომ სათანადოდ შეაფასა თუ არა ეს საკითხი, განმცხადებლის პრეტენზიების გათვალისწინებით (იხ. *Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, § 212).
118. ის ფაქტი, რომ ბრალდებულის პოლიტიკურმა ოპონენტებმა ან ბიზნეს კონკურენტებმა შესაძლოა უშუალო ან ირიბი სარგებელი მიიღონ მისი მსჯავრდებისგან, არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას ხელისუფლების მხრიდან სამართლებრივი დევნის განხორციელებისთვის, თუკი მის მიმართ არსებობს დასაბუთებული ბრალდება. სხვა სიტყვებით, მაღალი პოლიტიკური სტატუსი არ ნიშნავს იმუნიტეტს სისხლისსამართლებრივი დევნისგან (იხ. *Khodorkovskiy v. Russia*, 2011, § 258; *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia*, 2013, § 903; *Ugulava v. Georgia*, 2023, § 128).
119. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ პოლიტიკოსებისა და მაღალი თანამდებობის პირების მიმართ დაწყებულმა სისხლისსამართლებრივმა დევნამ შესაძლოა მიანიშნოს მათი ან მათი პარტიების დისკრედიტაციის ან დაშლის სურვილზე, იგი შესაძლოა, ასევე, გამოხატავდეს წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილ სავარაუდო სამართალდარღვევებთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიცემის სურვილს, რაც მათი ხელისუფლებაში ყოფნისას ვერ მოხერხდა (იხ. *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 323; *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia*, 2013, § 903).
120. მხოლოდ ის ფაქტი, რომ პოლიტიკოსის მიმართ ხორციელდება სამართლებრივი დევნა, მათ შორის, საარჩევნო კამპანიის ან რეფერენდუმის პერიოდში, ავტომატურად არ არღვევს მის უფლებას იყაროს კენჭი; და არც ავტომატურად მიუთითებს იმაზე, რომ მიზანი არის პოლიტიკური დებატების შეზღუდვა (იხ. *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 424; *Uspaskich v. Lithuania*, 2016, §§ 90–100). კონვენცია არ ითვალისწინებს, როგორც ასეთი, უფლებას, რომ პირი არ უნდა დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ დევნას (იხ. *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 320; *Melia v. Georgia*, 2023, § 135).
121. იმ ფაქტმა, რომ მომჩივანი არ მონაწილეობს არჩევნებში, შესაძლოა დაასუსტოს მისი არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მასზე დაწესებული შეზღუდვები უკავშირდებოდა მოახლოებულ არჩევნებს (იხ. *Ugulava v. Georgia*, 2023, § 126). ამასთან, მომჩივნის პრეტენზიების შეფასებისას, რომელიც ეხებოდა პოლიტიკური ასპარეზიდან მისი

ჩამოშორების მცდელობას, სასამართლომ გაითვალისწინა შესაბამისი ეროვნული ორგანოების გადაწყვეტილება, მომჩივნის მიმართ შეეჩერებინა სამართლებრივი დევნა და მისთვის დაებრუნებინა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, რათა მას ჰქონოდა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა (იხ. *Melia v. Georgia*, 2023, § 137).

122. სასამართლო ითვალისწინებს მომჩივნის სპეციალურ სტატუსსა და საქმიანობას (იხ. *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, § 174; *Aliyev v. Azerbaijan*, 2018, § 208; *Kavala v. Turkey*, 2019, § 231; *Natig Jafarov v. Azerbaijan*, 2019, § 66; *Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan*, 2020, § 153; *Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2)*, 2020, § 115; *Yunusova and Yunusov v. Azerbaijan (no. 2)*, 2020, § 189; *Khodorkovskiy v. Russia*, 2011, § 257; *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, § 424; *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan*, 2021, § 73; *Kutayev v. Russia*, 2023, § 138; *Kogan and Others v. Russia*, 2023, § 70). ამავდროულად, სპეციალური პოლიტიკური სტატუსის, მაგალითად, ოპოზიციის ლიდერის ან საჯარო მოხელის სტატუსის არქონა, არ გამორიცხავს ფარული პოლიტიკური მოტივის არსებობას გასაჩივრებულ ზომებთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა პოლიტიკური მოტივაცია ისეთ საქმეებში, რომლებიც ეხებოდა ცნობილი სამოქალაქო აქტივისტების და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერების დაკავებას, რომლებმაც არჩევნები გააკრიტიკეს ან მონაწილეობდნენ ანტისამთავრობო პროტესტებში (იხ. *Mammadli v. Azerbaijan*, 2018, § 103 და *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan*, 2018, § 124).

123. ამ კონტექსტში, სასამართლო ითვალისწინებს ხელისუფლების და/ან სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი მედიის მხრიდან ზეწოლის ნიშნებს მომჩივნის სტატუსთან და საქმიანობასთან დაკავშირებით. სასამართლო ასევე განიხილავს შესაბამის სამართალწარმოებებს, რათა დაადგინოს, პროცედურული ხარვეზები ერთობლიობაში მიუთითებს თუ არა ფარული მიზნის არსებობაზე. გარდა ამისა, სასამართლო ეყრდნობა ზოგად კონტექსტს და შესაბამის ჯგუფთან ან კატეგორიასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ და სოციალურ კლიმატს (იხ. *Kogan and Others v. Russia*, 2023, §§ 71–76).

124. როდესაც მე-18 მუხლის საფუძველზე პრეტენზია წამოიჭრება მოსამართლის მიერ, დისციპლინური სანქციებთან და/ან მის მიმართ მიღებულ სხვა ზომებთან დაკავშირებით, სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას და მათი უფლებების დაცვას, მათ წინააღმდეგ გატარებული ზომების კრილში, რომლებიც შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს მათ დამოუკიდებლობასა და ავტონომიას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ

საქმეებში, როდესაც მოსამართლეს სამოქალაქო ან დისციპლინური პასუხისმგებლობა ეკისრება მიღებული გადაწყვეტილებისთვის. სასამართლო აცნობიერებს იმ რისკისა, რომ დისციპლინური მექანიზმი შეიძლება გადაიქცეს სასამართლოს გადაწყვეტილებებზე პოლიტიკური კონტროლის ბერკეტად ან გამოყენებულ იქნას მოსამართლეებზე ზეწოლისთვის (იხ. *Juszczyszyn v. Poland*, 2022, §§ 327 და 333–335).

125. მომჩივნის განსაკუთრებული სტატუსი და საქმიანობა შესაძლოა კონკრეტულ კონტექსტში მიუთითებდეს მის წინააღმდეგ მიმართული ზომების ფარულ პოლიტიკურ მოტივზე. თუმცა, ეს არ ათავისუფლებს მომჩივანს ფარული მიზნის დასაბუთების ვალდებულებისაგან. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი პრეტენზიები დაუსაბუთებელია, თუ მომჩივანი ვერ მიუთითებს რაიმე კონკრეტულ ქმედებაზე (მაგალითად, სიტყვით გამოსვლა ან წერილობითი ნაშრომი), რომელიც მისი აზრით, შესაძლოა ხელისუფლების საპასუხო დევნის ან რეპრესიების გამომწვევი ფაქტორი გამხდარიყო (იხ. *Mirgadirov v. Azerbaijan and Turkey*, 2020, § 133).
126. პოლიტიკოსებისა და მთავრობის ოფიციალური პირების საჯარო განცხადებები, გარკვეულ გარემოებებში, შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლო გადაწყვეტილების უკან ფარული მიზნის არსებობის მტკიცებულებას (იხ. *Sabuncu and Others v. Turkey*, 2020, § 255; *Şık v. Turkey (no. 2)*, 2020, § 214; *Kutayev v. Russia*, 2023, § 140; *Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2)*, 2020, § 117), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს მტკიცებულება, რომ სასამართლოები არ იყვნენ დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ხელისუფლებისაგან (იხ. *Tchankotadze v. Georgia*, 2016, § 114; *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 324; *Batiashvili v. Georgia*, 2019, § 102; *Ugulava v. Georgia*, 2023, § 127; *Juszczyszyn v. Poland*, 2022, §§ 322–327).
127. სხვა ფაქტორებთან ერთად, რომლებიც აბრკოლებს ბრალდების სანდოობას, ასეთი საჯარო განცხადებები შესაძლოა ადასტურებდეს ფარული მიზნის არსებობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს მჭიდრო დროითი კავშირი ამ განცხადებებსა და გასაჩივრებულ შეზღუდვებს შორის (იხ. *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, §§ 424–426 და 432–434; *Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2)*, 2020, § 117; მეორეს მხრივ, იხ. *Ugulava v. Georgia*, 2023, § 127) ან მაშინ, როდესაც ბრალდებების ფორმულირებასა და გასაჩივრებული განცხადებების შინაარსს შორის აშკარა კორელაცია არსებობს (იხ. *Kavala v. Turkey*, 2019, §§ 229–230).
128. მეორეს მხრივ, თუ მტკიცებულებები არ მიუთითებს იმაზე, რომ ეროვნული სასამართლოები ასეთი განცხადებების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, აღნიშნულ

განცხადებებს სასამართლო ნაკლებ მნიშვნელობას მიანიჭებს (იხ. *Sabuncu and Others v. Turkey, 2020*, § 255; *Şik v. Turkey (no. 2), 2020*, § 214).

129. ამ კონტექსტში, სასამართლო ასევე შეაფასებს, რამდენად წარმოადგენდა მომჩივანი გასაჩივრებული განცხადებების პირდაპირ სამიზნეს. როდესაც ასეთი განცხადებები ეხება კონკრეტულ ორგანიზაციასა და მის პოლიტიკას, სასამართლომ შესაძლოა არ ჩათვალოს, რომ ისინი პირადად მისი თანამშრომლებისა და ხელმძღვანელობის წინააღმდეგ არის მიმართული (გაზეთთან და მის ჟურნალისტებთან დაკავშირებით, იხ. *Sabuncu and Others v. Turkey, 2020*, § 255; *Şik v. Turkey (no. 2), 2020*, § 214).
130. სისხლისსამართლებრივმა დევნამ და დაკავებამ შესაძლოა გამყინავი ეფექტი იქონიოს მომჩივნის სურვილზე, საჯაროდ გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები და შექმნას თვითცენზურის ატმოსფეროც კი, რომელიც გავლენას მოახდენს მის კოლეგებზე - მაგალითად, ჟურნალისტებზე, ოპოზიციურ პოლიტიკოსებზე და სხვებზე. ამავდროულად, ასეთი ეფექტის დადგენა, ცალკე აღებული, საკმარისი არ არის იმისათვის, რომ სასამართლომ დაასკვნას მე-18 მუხლის დარღვევა (იხ. *Sabuncu and Others v. Turkey, 2020*, § 256; *Şik v. Turkey (no. 2), 2020*, § 216; *Ahmet Hüsrev Altan v. Turkey, 2021*, § 244).
131. შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების მიერ ექსტრადიციის უარის თქმის გადაწყვეტილებები აუცილებელი წესით არ განსაზღვრავს სასამართლოს შეფასებას სისხლისსამართლებრივი დევნის უკან პოლიტიკური მოტივის არსებობასთან დაკავშირებით, რადგან ექსტრადიციის სასამართლოები არსებითად აფასებენ მომავალ რისკს, მაშინ როდესაც სასამართლო განიხილავს წარსულ ფაქტებს; რაც განსაზღვრავს მათი შესაბამისი შეფასებების განსხვავებულ ხასიათს (იხ. *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, § 330)

D. მტკიცებულებები, რომლებიც მე-18 მუხლის დარღვევის დადგენას იწვევს

1. პირდაპირი მტკიცებულებები

132. ქვემოთ განხილულ საქმეებში, სასამართლომ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა, მე-5 მუხლთან ერთობლიობაში, ფარული მიზნის დამადასტურებელი პირდაპირი წერილობითი მტკიცებულების საფუძველზე. ეს საქმეები არ ეხება ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დამკვიდრებულ პრაქტიკას.

133. საქმეში *Gusinskiy v. Russia, 2004*, განმცხადებელი, წარმატებული ბიზნესმენი, დააკავეს და წინასწარ პატიმრობაში მოათავსეს მასზე ზეწოლის მიზნით, რათა საკუთარი მედია-კომპანია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიისთვის მიჰყიდა. ფარული მიზნის დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულებები მომდინარეობდა წერილობითი შეთანხმებიდან, რომელიც დაამტკიცა ერთ-ერთმა მინისტრმა და რომლის თანახმადაც სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა პირდაპირ კავშირში იყო კომპანიის გაყიდვასთან, აგრეთვე, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ტექსტიდან, რომელიც შეიცავდა აღნიშნულ შეთანხმებაზე მითითებას; მოპასუხე მთავრობას ამ კავშირის უარყოფა არ უცდია (§§ 73-78).
134. საქმეში *Lutsenko v. Ukraine, 2012*, სასამართლო დაეყრდნო არგუმენტებს გამომძიებლის შუამდგომლობაში განმცხადებლის წინასწარ პატიმრობაში მოთავსების შესახებ. გამომძიებლის თქმით, განმცხადებელი მედიასთან საუბრით ცდილობდა საზოგადოებრივი აზრის დამახინჯებას, პროკურატურის დისკრედიტაციას და სასამართლო პროცესზე გავლენის მოხდენას. სასამართლოს აზრით, აღნიშნული მიუთითებდა იმაზე, რომ დაკავება მიზნად ისახავდა მისი დასჯას იმის გამო, რომ საკუთარ უდანაშაულობას საჯაროდ აცხადებდა (§§ 26 და 108-109).
135. საქმეში *Tymoshenko v. Ukraine, 2013*, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პროკურატურის შუამდგომლობაზე და სასამართლოს შესაბამის განჩინებაზე, საიდანაც ცხადი იყო, რომ წინასწარი პატიმრობის მიზანს წარმოადგენდა სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის და სავარაუდოდ პროცესის შემაფერხებელი ქცევის გამო განმცხადებლის დასჯა (§§ 30-31 და 299).

2. ირიბი მტკიცებულებები

136. ქვემოთ განხილულ საქმეებში, სასამართლომ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა, მე-5 და მე-8 ან მე-11 მუხლებთან ერთობლიობაში, ფარული მიზნის დამადასტურებელ ირიბ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

a. საქმეები, რომლებიც არ ეხება ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დამკვიდრებულ პრაქტიკას

137. საქმეში *Cebotari v. Moldova, 2007*, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიის ხელმძღვანელი წინასწარ პატიმრობაში მოათავსეს ცრუ ბრალდების საფუძველზე, რათა მასზე ზეწოლა მოეხდინათ და

შედეგად, კერძო კომპანია Oferta Plus-ს, რომელთანაც განმცხადებელი იყო დაკავშირებული, აღარ წარედგინა სარჩელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. სასამართლომ აღნიშნული დასკვნა დააფუძნა იმ ფაქტს, რომ საქმეში არსებული მასალები ობიექტურ დამკვირვებელს ვერ დაარწმუნებდა, რომ მომჩივანი კავშირში იყო იმ დანაშაულთან, რისთვისაც იგი დააკავეს. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა საქმის კონტექსტზე (§§ 50–53), კერძოდ, მან გაითვალისწინა:

- სასამართლოს მიგნებები საქმეში *Oferta Plus S.R.L. v. Moldova, 2006* კომპანიის მიერ სარჩელის წარდგენის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით (§§ 137–143);
- ის ფაქტი, რომ მომჩივნის მიმართ წაყენებული ბრალდებები განუყოფელი იყო Oferta Plus-ის აღმასრულებელი დირექტორის მიმართ წაყენებულ ბრალდებებთან და მჭიდროდ უკავშირდებოდა სასამართლოში წარდგენილ სარჩელს (*Oferta Plus S.R.L. v. Moldova, 2006*, § 137);
- ის ფაქტი, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა მომჩივნისა და Oferta Plus-ის აღმასრულებელი დირექტორის მიმართ, ისევე როგორც მათი დაკავება, ერთმანეთს დაემთხვა დროში, წამოიწყო და წარმართა ერთი და იგივე გამომძიებლების მიერ, ერთი და იგივე ფორმით;
- ის ფაქტი, რომ მომჩივანს ბრალდება პირველად წარუდგინეს მას შემდეგ, რაც მოლდოვას მთავრობამ შეიტყო Oferta Plus-ის სარჩელის შესახებ, ხოლო სამართლებრივი დევნა, რომლებიც ამასობაში შეწყდა, მალევე კვლავ განახლდა სასამართლოს მიერ სარჩელის მთავრობისთვის კომუნიცირების შემდგომ (*Oferta Plus S.R.L. v. Moldova, 2006*, § 142).

138. საქმეში *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, სასამართლომ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა მე-5 მუხლის 1-პუნქტთან ერთობლიობაში, რადგან მომჩივნის წინასწარი პატიმრობის მანძილზე შეიცვალა პატიმრობის დომინანტური მიზანი — კონვენციასთან შესაბამისი მიზანი ჩანაცვლდა ფარული მიზნით - მომჩივანზე ზეწოლის განხორციელება, რათა მას მიეწოდებინა ინფორმაცია. ამას ადასტურებდა ის ფაქტი, რომ მომჩივანი ფარულად გამოიყვანეს საკნიდან და მთავარმა პროკურორმა იგი დაკითხა ყოფილი პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებისა და ყოფილი პრეზიდენტის ფინანსური ქმედებების შესახებ.

139. იმ ფაქტორებს შორის, რომლებმაც სასამართლო დაარწმუნა ამ დასკვნაში, იყო ინციდენტის დროულობა: მომჩივნის წინასწარ პატიმრობაში დატოვების საწყისმა

საფუძვლებმა, ერთი შეხედვით, უკან გადაიწია; ყოფილმა პრეზიდენტმა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სამიზნე გახდა, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდგომ დატოვა საქართველო; ხოლო ყოფილი პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების საქმის გამოძიებას არსებითი პროგრესი არ მოჰყოლია.

140. სხვა ფაქტორები მიუთითებდა იმაზე, რომ ხელისუფლებისთვის ეს კითხვები განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო. მაგალითად, მთავრობამ დიდი პალატის სხდომაზე აღნიშნა, რომ მომჩივანს „მნიშვნელოვან კითხვაზე“ ჰქონდა პასუხი გასაცემი. პროკურატურას ნებისმიერ დროს შეეძლო მომჩივნის წინააღმდეგ ყველა ბრალდების მოხსნა სასამართლო კონტროლის გარეშე და მას გაცემული ჰქონდა დაპირება, რომ თუ მომჩივანი პროკურატურას მიაწვდიდა სასურველ ინფორმაციას, მის წინააღმდეგ საქმე შეწყდებოდა. მომჩივანი ფარულად და, როგორც ჩანს, კანონის დარღვევით, შუა ღამეს გადაიყვანეს ახალდანიშნულ მაღალჩინოსანთან შესახვედრად. თავდაპირველად ხელისუფლების რეაქცია იყო მომხდარის მტკიცე უარყოფა, ხოლო შემდგომი მოკვლევა და გამოძიება სერიოზული ხარვეზებით წარიმართა: მთავარი ფიგურანტები პირველად მხოლოდ სამი წლის შემდეგ დაკითხეს და გადამწყვეტი მტკიცებულება — ციხის სათვალთვალო კამერების ჩანაწერები — არ ამოუღიათ (*Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, §§ 352–353).

141. საქმეში *Kavala v. Turkey, 2019*, სასამართლომ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა, რადგან მომჩივნის წინასწარი პატიმრობა ემსახურებოდა მხოლოდ მისი, როგორც ადამიანის უფლებების დამცველის და არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერის გაჩუმებას. მტკიცებულებები მომდინარეობდა საქმის ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობიდან, განსაკუთრებით, დაკავების დროისა და წაყენებული ბრალდების გათვალისწინებით. უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ გადამწყვეტად მიიჩნია ის ფაქტი, რომ არც ერთი გონივრული განმარტება არ იყო წარმოდგენილი იმის შესახებ, თუ რატომ იყო დიდი დრო გასული იმ მოვლენებიდან, რომლებზეც დაყრდნობითაც მოხდა მომჩივნის დაკავება: მასობრივი პროტესტებიდან ოთხ წელზე მეტი, ხოლო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობიდან ერთ წელზე მეტი იყო გასული. აღსანიშნავია, რომ ბრალდების მტკიცებულებების უმრავლესობა მომჩივნის დაკავებამდე დიდი ხნით ადრე იყო შეგროვებული. მეორე, დაპატიმრება არ იყო გამართლებული გონივრული ეჭვის არსებობით, რის გამოც სასამართლომ დაადგინა მე-5 მუხლის 1-პუნქტის დარღვევა, ცალკე აღებული. ამასთან ერთად, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მე-18 მუხლის კონტექსტში, დაკავების ზომები ძირითადად ეფუძნებოდა ფაქტებს, რომლებიც ვერ ჩაითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად შიდა კანონმდებლობის მიხედვით და უმეტესწილად

უკავშირდებოდა კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებით გარანტირებული უფლებების განხორციელებას. საბრალდებო დასკვნაში ნახსენები იყო ადამიანის უფლებების დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერის ჩვეულებრივი და ლეგიტიმური საქმიანობა, ისე, რომ არ იყო მითითებული, თუ რამდენად რელევანტური იყო ისინი გადატრიალების მოწყობის ბრალდებასთან. ამავდროულად, მკაფიოდ არ იყო მითითებული, თუ რომელ ფაქტებს ან ქმედებებს ეფუძნებოდა ბრალი. მესამე, საგამომიებო ორგანოები იმთავითვე არ დაინტერესებულან ზემოაღნიშნულ მოვლენებში მომჩივნის სავარაუდო მონაწილეობით. კერძოდ, პოლიციის მიერ დაკითხვისას მას არაერთი არარელევანტური კითხვა დაუსვეს. ბრალის ოფიციალურად წარდგენამდე, მომჩივანმა წინასწარ პატიმრობაში თითქმის ერთი წელი გაატარა ისე, რომ არ განხორციელებულა რაიმე მნიშვნელოვანი საგამომიებო ქმედება. და ბოლოს, არსებობდა კორელაცია ბრალდების შინაარსსა და პრეზიდენტის მიერ მომჩივნის წინააღმდეგ საჯაროდ წაყენებულ ბრალდებებს შორის, დაკავებამდე დაახლოებით სამი თვით ადრე. ზემოხსენებული ფაქტების ერთობლიობის, აგრეთვე, ადამიანის უფლებების დამცველთა წინააღმდეგ თურქეთში მიმდინარე ფართო რეპრესიული კამპანიის შესახებ საერთაშორისო შემფოთების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ პროკურატურის სანდოობა შერყეული იყო და ეს ყოველივე ასაბუთებდა მომჩივნის პრეტენზიას ფარული მიზნის შესახებ. იმის გამო, რომ სადავო ზომები შეეხო არა მხოლოდ მომჩივანს და ადამიანის უფლებების დამცველებს/სამოქალაქო აქტივისტებს, არამედ დემოკრატიის არსსაც, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის გაჩუმების ფარული მიზანი მნიშვნელოვანი სიმძიმის იყო, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დამცველების და არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით (§§ 220–232).

142. საქმეში *Miroslava Todorova v. Bulgaria, 2021*, მომჩივანს, რომელიც იყო მოსამართლე, დისციპლინური სანქციები დააკისრეს საქმეთა განხილვის სერიოზული გაჭიანურების გამო. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ზომები უშუალოდ იყო დაკავშირებული საჯარო განცხადებებთან, რომლებიც მომჩივანმა გააკეთა ბულგარეთის მოსამართლეთა კავშირის (BUJ) პრეზიდენტის სტატუსით. სასამართლომ არ დააყენა ეჭვქვეშ სადავო სანქციების ლეგიტიმური მიზანი (რაც მდგომარეობდა სასამართლო სისტემის სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფაში), თუმცა, მან მიიჩნია, რომ სანქციები ასევე ემსახურებოდა ფარულ მიზანს — მომჩივნის დასჯასა და დაშინებას. დისციპლინური წარმოება დაიწყო იმ კონტექსტში, როდესაც BUJ და აღმასრულებელი ხელისუფლება მწვავე დაპირისპირებაში იმყოფებოდნენ. BUJ-ის მიერ გამოხატული კრიტიკულმა

მოსაზრებებმა, რომლებიც ეხებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევას მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში, როგორც ჩანს, გამოიწვია მმართველი წრეებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (SJC) მტრული რეაქცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ SJC-ის გენერალურმა ინსპექტორმა საჯაროდ განაცხადა, რომ აუდიტორული შემოწმება, რომლის საფუძველზეც დისციპლინური წარმოება იქნა დაწყებული მომჩივნის მიმართ, პასუხი იყო იმ კრიტიკაზე, რომელიც მოსამართლეებმა და BUJ-მ გამოთქვეს სოფიის საქალაქო სასამართლოს ახალი პრეზიდენტის დანიშვნასთან დაკავშირებით (ეს უკანასკნელი ცნობილი იყო, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრთან დაახლოებული პირი). გარდა ამისა, შინაგან საქმეთა მინისტრმა მომჩივნის მიმართ პირადი თავდასხმებიც განახორციელა.

143. მიზნების სიმრავლის გათვალისწინებით, სასამართლომ იმსჯელა, იყო თუ არა ფარული მიზანი დომინანტური. უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ზემოთ აღწერილ მოვლენების ჯაჭვზე, რაც მიუთითებდა, რომ აუდიტორული შემოწმების მთავარი მოტივი იყო მომჩივნის დასჯის სურვილი. შემოწმებები ჩატარდა BUJ-ს მიერ კრიტიკული მოსაზრებების გამოხატვიდან მალევე, ხოლო ზოგიერთი შემოწმება იმ მოსამართლეების მიერ დაინიჭირდა, რომლებსაც უშუალოდ შეეხო აღნიშნული კრიტიკა. მეორე, სასამართლომ მიუთითა SJC-ის სხდომაზე, რომელიც გაიმართა მომჩივნის დათხოვნის გადაწყვეტილებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, BUJ-სა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ღიად მტრული მოსაზრებების გამოხატვის ფაქტზე. აღსანიშნავია, რომ უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომაც აღნიშნა, რომ SJC-მ BUJ-ის კრიტიკა აღიქვა როგორც ერთგვარი ომი. მესამე, სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა მომჩივნის დათხოვნის ზომის განსაკუთრებულ სიმკაცრეს და აშკარა არაპროპორციულობას. აღსანიშნავია, რომ SJC-მ სანქციის დაკისრებისას გაითვალისწინა ხანდაზმული დარღვევებიც, რომელთა დაკავშირებითაც დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ვადები გასული იყო. დასასრულს, მიუხედავად იმისა, რომ უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ გააუქმა მომჩივნის დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილება, მან უგულებელყო მომჩივნის მიერ ფარული მიზნის შესახებ წამოჭრილი პრეტენზიები. საბოლოო სანქციის (ორწლიანი დაქვეითება) განხილვისას სასამართლოს, ასევე, არ შეუფასებია დისციპლინური წარმოება გამოიყენეს თუ არა მომჩივნის კრიტიკული შეხედულებებისა და საქმიანობის გამო დასასჯელად, მაშინ, როდესაც მისი საქმიანობა არც უკანონო იყო და არც სამოსამართლო ეთიკასთან მოდიოდა წინააღმდეგობაში. აღნიშნულზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ იდენტიფიცირებული ფარული მიზანი დომინანტურ მიზანს წარმოადგენდა. შესაბამისად, სახეზე იყო მე-18 მუხლის

დარღვევა, მე-10 მუხლთან ერთობლიობაში (*Miroslava Todorova v. Bulgaria*, 2021, §§ 205-213).

144. საქმეში *Juszczyszyn v. Poland*, 2022, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლება ემსახურებოდა, პირველ რიგში, არა მთავრობის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანს, არამედ ფარულ მიზანს — მისი დასჯა და შეშინება იმის გამო, რომ მან სასამართლო განკარგულებით სცადა მოსამართლეთა დანიშვნის კანონიერების შემოწმება, პოლონეთის სასამართლო სისტემის მასშტაბური რეფორმების კონტექსტში. სასამართლომ აღნიშნული რეფორმების შესახებ განხილულ საქმეში დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა შემდეგი გარემოებების საფუძველზე: უპირველეს ყოვლისა, საერთო კონტექსტი ნათლად აჩვენებდა, რომ თანმიმდევრული სასამართლო რეფორმების მიზანი და შედეგი იყო სასამართლოს დამოუკიდებლობის არსებითი შესუსტება. მეორე, მომჩივანი მოსამართლის მიერ ზემოხსენებული სასამართლო განკარგულების გამოცემის შემდეგ, იუსტიციის მინისტრმა და მის მიერ დანიშნულმა პირებმა მალევე მიიღეს ზომები მის წინააღმდეგ. თავად მინისტრმა საჯაროდ განაცხადა, რომ მომჩივნის განკარგულება წარმოადგენდა „პოლონური მართლმსაჯულების ანარქიზაციას და მოსამართლის უფლებამოსილების გადაჭარბებას“. მესამე, თანამდებობიდან განთავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო ორგანომ, რომელსაც არ ჰქონდა დამოუკიდებლობა და არსებითად ეწინააღმდეგებოდა სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპს. გადაწყვეტილება უგულებელყოფდა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) და პოლონეთის უზენაესი სასამართლოს ფუნდამენტურ დასკვნებს. მეოთხე, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მომჩივნის წინააღმდეგ წარმოების პარალელურად მიღებული იქნა ახალი კანონმდებლობა, რომელიც მოსამართლეთათვის ახალი დისციპლინური სამართალდარღვევების შემოღებას ითვალისწინებდა, მათ შორის სასამართლო დანიშვნების კანონიერების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებისთვის. მან, ასევე, ყურადღება გაამახვილა საკონსტიტუციო სასამართლოს ახალ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც გამორიცხავდა მოსამართლეთა დანიშვნის კანონიერების განხილვის შესაძლებლობას. საბოლოოდ, ეს მოვლენები ცხადყოფდა ხელისუფლების მისწრაფებას, ეჩვენებინა, რომ მსგავსი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში, მოსამართლეები სანქციებით დაისჯებოდნენ. შესაბამისად, მომჩივნის თანამდებობიდან განთავისუფლებას დომინანტური ფარული მიზანი ჰქონდა. ამ დასკვნის გამოტანისას სასამართლო, აგრეთვე, დაიყრდნო ვენეციის კომისიის შესაბამის მოსაზრებას, ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეში

Commission v. Poland (მოსამართლეთა დისციპლინური რეჟიმი) და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას.

145. საქმეში *Kutayev v. Russia, 2023*, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის დაკავება ემსახურებოდა მხოლოდ ფარულ მიზანს: კერძოდ, მომჩივნის დასჯა იმისთვის, რომ მან 1994 წლის დეპორტაციის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენცია ჩაატარა ოფიციალური თარიღისგან განსხვავებულ დღეს და უარი განაცხადა ჩეჩნეთის პრეზიდენტთან შეხვედრაზე. ფარული მიზნის არსებობა დადასტურდა საქმის შესაბამისი გარემოებების და კონტექსტუალური ფაქტორების ერთობლივი ანალიზით: უპირველეს ყოვლისა, მომჩივანი დააკავეს იმ დღეს, როდესაც მან პრეზიდენტთან შეხვედრაზე უარი თქვა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ პრეზიდენტმა საჯაროდ გააკეთა განცხადება, რომელიც მომჩივნის დაკავებას პირდაპირ აკავშირებდა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარების თარიღთან. მეორე, მისი დაკავება იყო თვითნებური და პოლიციისა და გამომძიებლების მხრიდან აშკარა ბოროტი ზრახვა იკვეთებოდა. მესამე, მის დაკავებაში მონაწილეობდნენ მაღალი თანამდებობის პირები, და ეს ფაქტი, რომელიც არ იყო დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის გარემოებებთან, ნათლად მიუთითებდა, რომ საქმე მნიშვნელოვანი იყო ჩეჩნეთის ხელისუფლების მაღალი ემელონებისთვის. მეოთხე, მომჩივანი აწამეს, ხოლო მისგან წამების გზით მიღებული აღიარება, რომელიც არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს, გამოიყენეს შემდგომი მსჯავრდებისთვის. მეხუთე, მომჩივანი იყო ადამიანის უფლებების დამცველი აქტივისტი და მისი საქმე უფრო ფართო კონტექსტში უნდა ყოფილიყო განხილული, კერძოდ, ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დამცველთა წინააღმდეგ მიმდინარე დაშინებებისა და რეპრესიების ფონზე, რაზეც მიუთითებდა ევროპარლამენტი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა და რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა, კონვენციის მე-5 მუხლის 1-პუნქტთან ერთობლიობაში (§§ 137–141).

146. საქმეში *Kogan and Others v. Russia, 2023*, სასამართლომ დაადგინა, რომ ბინადრობის ნებართვის გაუქმებისას ხელისუფლებამ დომინანტური ფარული მიზნით იხელმძღვანელა — კერძოდ, მომჩივანი ადვოკატების დასჯა რუსეთში ადამიანის უფლებების დასაცავად განხორციელებული აქტივობებისთვის და ამ აქტივობების გაგრძელებაში ხელის შეშლა. სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებდა მომჩივანთა საქმიანობასთან დაკავშირებულ ზეწოლასა და მტრულ დამოკიდებულებაზე: სახელმწიფო მხარდაჭერით მოქმედი მედია საშუალებების მხრიდან მათ მიმართ

ძლიერი ნეგატიური მიკერძოება; მომჩივნების მიმართ განხორციელებულ მუქარებთან დაკავშირებით ხელისუფლების უმოქმედობა; კონტაქტები ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის (FSB) წარმომადგენელთან; იმ არასამთავრობო ორგანიზაციის და მისი პარტნიორი ორგანიზაციების საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები, რომლის ხელმძღვანელიც იყო ერთ-ერთი მომჩივანი. გარდა ამისა, გამოვლენილი საპროცესო ხარვეზები, ერთად აღებული, მიუთითებდა იმაზე, რომ ბინადრობის ნებართვის გაუქმების გადაწყვეტილების გაბათილება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, რაც აშკარად აჩვენებდა ხელისუფლების განზრახვას, მომჩივნისთვის მოესპო ქვეყანაში დარჩენის სამართლებრივი საფუძველი. ყველა ზემოხსენებული ფაქტორის ერთობლიობაში განხილვისას, რუსეთის ფედერაციაში ბოლო წლების განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების წინააღმდეგ არსებული მტრული გარემოს გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ფარული მიზანი ეწინააღმდეგებოდა კონვენციის ღირებულებებს და დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის უფლებების დამცველთა არსებითი როლის გათვალისწინებით, იგი განსაკუთრებული სიმძიმის იყო. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა, მე-8 მუხლთან ერთობლიობაში (§§ 70–78).

b. პრაქტიკა, რომელიც კონკრეტული პირების მიზანში ამოღებაზე მიუთითებს

147. საქმეში *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, რომელიც ეხებოდა მომჩივნის — რუსეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ოპოზიციური ფიგურის — შვიდჯერ დაკავებასა და დაჯარიმებას, თითქოსდა დაუშვებელ, თუმცა მშვიდობიან საჯარო შეკრებებში მონაწილეობის გამო, სასამართლომ ორი ეპიზოდის შეფასებისას დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა, მე-5 და მე-11 მუხლებთან ერთობლიობაში, რადგან სადავო შეზღუდვები ემსახურებოდა არა რომელიმე ლეგიტიმურ მიზანს, არამედ, მხოლოდ ფარულ მიზანს — პოლიტიკური პლურალიზმის დათრგუნვა. ეს დასკვნა ეფუძნებოდა მოვლენების თანმიმდევრობასა და პატერნს, ასევე, იმ ფართო კონტექსტს, რომელშიც რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ოპოზიციის პოლიტიკურ აქტივობაზე კონტროლის დამყარებას.

148. პირველ რიგში, დაკავებების თანმიმდევრობა გარკვეულ სისტემურ პრაქტიკაზე მიუთითებდა. მომჩივანი ორ წელიწადში შვიდჯერ დააკავეს, თითქმის იდენტური ფორმით. დაკავების ოფიციალური საფუძვლების დამაჯერებლობა იკლებდა, მაშინ როდესაც მომჩივნის მხრიდან რაიმე არეულობის გამოწვევის შესაძლებლობა უფრო და უფრო ნაკლები იყო. კერძოდ, მაშინ როცა პირველ ოთხ ეპიზოდში მომჩივანი იყო

შეკრებების ერთ-ერთი ლიდერი, შემდგომ ეპიზოდებში მას არ ჰქონია განსაკუთრებული როლი. ასეთი ტენდენცია მიუთითებდა, რომ მომჩივნის მიმართ გატარებული ზომების დომინანტური მიზანი დროთა განმავლობაში შეიცვალა.

149. მეორე, უფრო ფართო კონტექსტის გათვალისწინებით, ამ შვიდი ეპიზოდის ქრილში სულ უფრო და უფრო მეტად აცნობიერებდა ხელისუფლება, რომ სადავო პრაქტიკა კონვენციასთან შეუთავსებელი იყო (იხილეთ სასამართლოს მსგავსი დასკვნები მანამდე ჩატარებულ დემონსტრაციებთან დაკავშირებით საქმეებში *Navalnyy and Yashin v. Russia* და მომჩივნის წინააღმდეგ პარალელურ სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, საქმეში *Navalnyy and Ofitserov v. Russia* და *Navalnyye v. Russia*).

150. მესამე, არსებობდა „ერთმანეთთან თანხვედრაში მყოფი კონტექსტუალური მტკიცებულებები“, რომლებიც ადასტურებდა მოსაზრებას, რომ ხელისუფლება სულ უფრო მკაცრად რეაგირებდა როგორც მომჩივნის, როგორც ოპოზიციის ლიდერის, ასევე სხვა პოლიტიკური აქტივისტების ქმედებებზე და ზოგადად პოლიტიკურ ხასიათის საჯარო შეკრებებზე. კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებები (განხილული საქმეში *Lashmankin and Others v. Russia*) ზრდიდა და აფართოებდა პასუხისმგებლობას საჯარო ღონისძიებების გამართვის წესის დარღვევისათვის, რაც მიუთითებდა შეკრების თავისუფლების შემზღუდავი ტენდენციის გაგრძელებაზე, რაც არაერთგზის გახდა ევროპის საბჭოს სხვადასხვა ორგანოს შემოფოთების საგანი.

151. მეოთხე, იმის გათვალისწინებით, თუ რას წარმოადგენდა და რამდენად დასაძრახი იყო ფარული მიზანი, სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი აღწევდა მნიშვნელოვან სიმძიმეს. მართლაც, სადავო შეზღუდვა ოპოზიციონერი პოლიტიკოსის წინააღმდეგ, რომელიც მნიშვნელოვან საჯარო ფუნქციას ასრულებდა, გავლენას მოახდენდა არა მხოლოდ მომჩივანზე, მის თანამოაზრე აქტივისტებსა და მხარდამჭერებზე, არამედ, დემოკრატიის არსზე. შესაბამისად, მისი მიზანი იყო პოლიტიკური პლურალიზმის ჩახშობა (§§ 167–175).

152. საქმეში *Navalnyy v. Russia (no. 2)*, 2019, სასამართლომ დაეყრდნო იმავე კონტექსტუალურ მტკიცებულებებს, რასაც საქმეში *Navalnyy v. Russia* [GC], 2018, რათა შეეფასებინა მომჩივნის შინაპატიმრობა და აკრძალვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებაზე, რაც მას დაუწესეს ბოლო დაკავების შემდეგ. სადავო ზომები სულ უფრო შეუსაბამო ჩანდა და აღარ უკავშირდებოდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიზნებს, რამაც სასამართლოს უბიძგა დაადგინა მე-5 და მე-10 მუხლების დარღვევა,

ცალ-ცალკე. გარდა ამისა, სადავო ზომების ხანგრძლივობა (10 თვე) შეუსაბამო იყო წაყენებული ბრალდებების ხასიათთან: კერძოდ, იმავე სისხლისსამართლებრივ საქმეში მთავარ ბრალდებულს მსგავსი შეზღუდვები არ დაუწესდა. ზემოაღნიშნული დიდი პალატის გადაწყვეტილების დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ზომები ემსახურებოდა მხოლოდ ფარულ მიზანს — პოლიტიკური პლურალიზმის ჩახშობას, და ამიტომ წარმოადგენდა მე-18 მუხლის დარღვევას, მე-5 მუხლთან ერთობლიობაში.

ც. ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრაქტიკა, მიმართული კონკრეტული ჯგუფების წინააღმდეგ

153. საქმეში *Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2)* [GC], 2020, სასამართლომ დაადგინა, რომ ოპოზიციონერი პარლამენტარის ხანგრძლივი წინასწარი პატიმრობა, რომელიც დაკავშირებული იყო მის გამოსვლებთან და კანონიერ შეკრებებში მონაწილეობასთან, არ ემსახურებოდა კონვენციით განსაზღვრულ ლეგიტიმურ მიზანს და წარმოადგენდა პლურალიზმის ჩახშობის და პოლიტიკური დებატების თავისუფლების შეზღუდვის ფარულ მცდელობას. სასამართლომ დასკვნა გამოიტანა შემდეგ ფაქტორებზე დაყრდნობით: უპირველეს ყოვლისა, მან ყურადღება გაამახვილა შიდა კონტექსტზე, კერძოდ, „ქურთულ საკითხთან“ დაკავშირებული მოლაპარაკებების ჩაშლაზე, ტერორისტული თავდასხმებისა და ძალადობის შედეგად. პირველ რიგში, სასამართლომ მიუთითა დამაბულ პოლიტიკურ გარემოზე: ერთი მხრივ, ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის არსებულ კონფლიქტზე, ხოლო მეორე მხრივ, მმართველი პარტიის მიერ საპარლამენტო უმრავლესობის დაკარგვაზე, რაც მომჩივნის პარტიის წარმატებით იყო გამოწვეული. მეორე, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მოვლენათა თანმიმდევრობას და მათ შორის მჭიდრო ქრონოლოგიურ კავშირს: თურქეთის პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა, რომ მომჩივანს და მისი პარტიის სხვა ლიდერებს უნდა „გადაეხადათ საფასური“ ტერორიზმთან დაკავშირებული ქმედებებისთვის, ხოლო მათი გამოსვლები ღალატს და კონსტიტუციის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს წარმოადგენდა. ამასთან ერთად, მომჩივნის წინააღმდეგ მოკლე ვადაში დაინიჭირდა ფართომასშტაბიანი სისხლის სამართლის გამოძიება. რამდენიმე თვის შემდეგ, საკონსტიტუციო ცვლილების შედეგად, 154 ოპოზიციონერ პარლამენტარს, მათ შორის მომჩივანს და მისი პარტიის წევრებს, იმუნიტეტი მოეხსნათ და დააკავეს. აღნიშნულის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა დისიდენტური ხმების ჩახშობის პრაქტიკის არსებობა. მესამე, სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა მომჩივნის ხანგრძლივი ვადით დაკავების დროულობას: კერძოდ, მისი დაკავება დაემთხვა ორ მნიშვნელოვან

კამპანიას — საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ რეფერენდუმსა და საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელშიც თავად მომჩივანი იყო კანდიდატი. მეოთხე, სასამართლომ ასევე მიაქცია მომჩივნის ხელახალ დაკავებას მისი გათავისუფლების დღესვე, რაც მიუთითებდა, რომ ხელისუფლების ერთადერთ ინტერესს წარმოადგენდა მისი პატიმრობაში დატოვება. მართლაც, იმავე ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც მომჩივნის წინააღმდეგ მიმდინარე პროცესის საფუძველს წარმოადგენდა, დაიწყო ცალკე გამოძიება. მეორე დღეს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პირადად მიაღვენებდა თვალყურს საკითხს და რომ დაუშვებელი იყო მომჩივნის „გაშვება“. მეხუთე, სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ვენეციის კომისიის დასკვნებს, რომლის თანახმად თურქეთში საკონსტიტუციო რეფორმების შედეგად სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას სერიოზული საფრთხე შეექმნა: კერძოდ, პრეზიდენტმა და მისმა პარტიამ დაამყარა კონტროლი სასამართლოს თვითმმართველი ორგანოს შემადგენლობაზე, რომელიც ზედამხედველობას უწევდა მოსამართლეებისა და პროკურორების დანიშვნას, მათზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას და გათავისუფლებას. სასამართლოს დასკვნით, ასეთმა ფონმა შექმნა ისეთი გარემო, რომელიც გავლენას ახდენდა შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებებზე — განსაკუთრებით გადატრიალების მცდელობის შემდეგ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, როდესაც ასობით მოსამართლე დაითხოვეს, და განსაკუთრებით იმ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც დისიდენტების, მათ შორის, მომჩივნის წინააღმდეგ იყო აღძრული. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა, მე-5 მუხლთან ერთობლიობაში (იხ. აგრეთვე *Yuksekdag Senoglu and Others v. Türkiye*, 2022, §§ 638-640, სხვა ოპოზიციონერი პარლამენტარების მიერ შეტანილი საქმე).

154. ქვემოთ განხილულ საქმეებში აზერბაიჯანის წინააღმდეგ, რომლებიც ეხება მთავრობის კრიტიკოსების, სამოქალაქო აქტივისტების, ოპოზიციონერი პოლიტიკოსების და ადამიანის უფლებათა დამცველების თვითნებური დაკავებისა და სხვა სახის შეზღუდვებს დაწესების დამკვიდრებულ პრაქტიკას, ფარული მიზნის — მომჩივანთა გაჩუმება ან დასჯა მათი საქმიანობის გამო და ამ საქმიანობისთვის ხელის შეშლა — დასადასტურებლად სასამართლომ დაეყრდნო შემდეგი ფაქტორების კომბინაციას: მე-5 მუხლის 1-პუნქტის (გ) ქვეპუნქტის ჭრილში „გონივრული ეჭვის“ არარსებობა (ან სხვა შესაბამისი მატერიალური დებულების ჭრილში ლეგიტიმური მიზნის არ არსებობა) და კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ფაქტები და კონტექსტუალური გარემოებები. (გამონაკლისს წარმოადგენს საქმე *Azizov and*

Novruzlu v. Azerbaijan, 2021, სადაც „გონივრული ეჭვის“ არ არსებობის საკითხზე პრეტენზია ფორმალური საფუძვლით დაუმკებლად გამოცხადდა).

155. საქმეში *Ilgar Mammadov v. Azerbaijan, 2014*, საქმის კონკრეტული გარემოებები მოიცავდა მჭიდრო ქრონოლოგიურ კორელაციას შემდეგ მოვლენებს შორის: მომჩივნის ბლოგოსტები, რომლებიც აკრიტიკებდა ხელისუფლებას და ავრცელებდა ინფორმაციას, რომლის დამალვასაც ცდილობდა ხელისუფლება; ხელისუფლების საჯარო განცხადებები, რომლითაც იგი გმობდა აღნიშნულ ბლოგოსტებს; ბრალის წაყენება და დაკავება (§§ 141–143).

156. საქმეებში *Yunusova and Yunusov v. Azerbaijan (no. 2), 2020 (§§ 191–193)*, *Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2), 2020 (§ 118)*, *Natig Jafarov v. Azerbaijan, 2019 (§ 67)*, *Aliyev v. Azerbaijan, 2018 (§§ 208–215)*, *Rasul Jafarov v. Azerbaijan, 2016 (§§ 156–162)*, *Mammadli v. Azerbaijan, 2018 (§§ 98–104)* და *Democracy and Human Rights Resource Centre and Mustafayev v. Azerbaijan, 2021*, ფარული მიზნის დამადასტურებელ ზოგად ფაქტორებს შორის იყო: არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისა და დაფინანსების მიმართ რეგულირების გამკაცრება აზერბაიჯანში; მაღალი თანამდებობის პირებისა და მმართველი ძალების მხარდამჭერი მედიასაშუალებების ბრალდებები, რომ აქტივისტები, მათ შორის მომჩივანი, უცხო ქვეყნების აგენტები და მოღალატეები იყვნენ; სხვა აქტივისტების ერთდროულად დაკავება და სისხლისსამართლებრივი დევნა. საერთო ჯამში, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ აღნიშნული საქმეები წარმოადგენდა აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დამკვიდრებული პრაქტიკის ნაწილს, რაც სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიებში ვლინდებოდა. ამასთანავე, სასამართლომ გაითვალისწინა მომჩივანთა საქმიანობის სპეციფიკური თავისებურებები და იმ მოვლენების თანმიმდევრობა, რომელთაც მათ მიმართ გამოყენებული შეზღუდვები უკავშირდებოდა.

157. საქმეებში *Aliyev v. Azerbaijan, 2018* და *Democracy and Human Rights Resource Centre and Mustafayev v. Azerbaijan, 2021*, სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა მომჩივნების, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველების განსაკუთრებულ როლს, რომლებმაც სასამართლოს მიერ განსახილველ არაერთ საქმეში უზრუნველყვეს წარმომადგენლობა. ბატონ ალიევის სახლსა და ოფისში ჩატარებული ჩხრეკის დროს, რომელიც უკანონო იყო, ხელისუფლებამ არამართო არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები ამოიღო, არამედ იმ საქმეების მასალებიც, რომლებიც ადვოკატსა და კლიენტს შორის კონფიდენციალურობით იყო

დაცული, მათ შორის, ევროპული სასამართლოს წინაშე განხილვაში მყოფი საქმეების მასალები. შედეგად, მომჩივანს ფაქტობრივად აღარ შეეძლო იურიდიული საქმიანობის გაგრძელება (*Aliyev v. Azerbaijan, 2018*, §§ 208, 211 და 213).

158. საქმე *Democracy and Human Rights Resource Centre and Mustafayev v. Azerbaijan, 2021*, ეხებოდა მომჩივანთა საბანკო ანგარიშების დაყადაღებას და მათზე სამოგზაურო აკრძალვების დაწესებას. სასამართლოსთვის განსაკუთრებით შემამფოთებელი იყო ის გარემოება, რომ შიდა სასამართლომ გამოსცა ყადაღის იმ თანხაზე დადების განკარგულება, რომელიც ევროპის საბჭოსგან იყო გადარიცხული სამართლებრივი დახმარების სახით და რომლის შესახებაც სასამართლომ დაადგინა, რომ იგი თითქოსდა წარმოადგენდა დანაშაულის საგანს ან ინსტრუმენტს. მომჩივანთა უფლებების შეზღუდვა იმ სისხლისსამართლებრივი საქმის ფარგლებში, რომელშიც ისინი საერთოდ არ იყვნენ ბრალდებულები, არა მხოლოდ მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს, არამედ რეალურად ზღუდავდა მათ საქმიანობას: არ წარმოადგენილა რაიმე განმარტება, თუ რატომ არ შემოიფარგლა ყადაღა კონკრეტული თანხებით და რატომ გავრცელდა იგი მომჩივანთა ყველა საბანკო ანგარიშზე. სამოგზაურო აკრძალვების დაწესებაასთან დაკავშირებით, ერთი ლეგიტიმური მიზეზიც კი არ ყოფილა წარმოდგენილი (§§ 107–109).

159. საქმეში *Mammadli v. Azerbaijan, 2018*, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროზე — კერძოდ, იმაზე, რომ იგი დაიწყო რამდენიმე დღეში მას შემდეგ, რაც მომჩივნის არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც კრიტიკულად იყო შეფასებული საპრეზიდენტო არჩევნები. ასევე აღინიშნა, რომ ბრალდებები ეხებოდა კონკრეტულად იმ გრანტებს, რომლებიც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე დაკვირვების დაფინანსების მიზნით იყო გამოყოფილი (§ 102).

160. საქმეში *Natig Jafarov v. Azerbaijan, 2019*, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროზე და მოვლენათა მთლიან ჯაჭვზე: კერძოდ, მომჩივნის დაკავებაზე კონსტიტუციური რეფერენდუმის კამპანიისთვის რეგისტრაციის პროცესის აქტიურ ფაზაში და მოგვიანებით მის გათავისუფლებაზე მას შემდეგ, რაც მისმა პოლიტიკურმა მოძრაობამ განაცხადა, რომ კამპანიაში მონაწილეობას აღარ მიიღებდა მისი რამდენიმე წევრის დაკავების გამო. ფარული მიზნის ბუნებისა და სიმძიმის შეფასებისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო რეფერენდუმის წინ ოპოზიციურ კამპანიაში ჩართული პირების დაშინება სავარაუდოდ გამოიწვევდა იმას, რომ ოპოზიციის მხარდამჭერები

თავს შეიკავებდნენ ღია პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობისგან, რაც ზიანს აყენებდა არა მხოლოდ მომჩივანს ან მის თანამოაზრეებს, არამედ თავად დემოკრატიის არსს (გწ 68–69).

161. საქმეში *Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2), 2020*, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მოვლენების ჯაჭვს: მომჩივანი, რომელიც გამომძიებელი ჟურნალისტი იყო, დააკავეს მას შემდეგ, რაც მაღალი თანამდებობის პირმა საჯაროდ განაცხადა, რომ მისი საქმიანობა ღალატის და უცხო ქვეყნის საიდუმლო სამსახურებთან თანამშრომლობის ტოლფასი იყო. თვდაპირველად, იგი იძულებით მიღებული ცრუ ჩვენების საფუძველზე დააკავეს, ხოლო მოგვიანებით კი მას დამატებითი ბრალი წაუყენეს იმ დროს, როდესაც პროკურატურის ქმედებები უნდა გამოაშკარავებულიყო (გწ 116–117).

162. საქმეებში *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan, 2018* და *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan, 2021*, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მომჩივანთა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროს. კერძოდ, სამართლებრივი დევნა დაიწყო მას შემდეგ, რაც მომჩივნების არასამთავრობო ორგანიზაციამ — “NIDA” — ხელისუფლების წინააღმდეგ გამართა დემონსტრაციების სერია და გეგმავდა კიდევ ერთი დემონსტრაციის ჩატარებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მათ საქმეს იძიებდა არა პოლიცია, არამედ გენერალური პროკურატურის მძიმე დანაშაულების დეპარტამენტი, ეროვნული უშიშროების სამინისტროს მონაწილეობით. სახელმწიფო უწყებების ერთობლივი განცხადებიდან აშკარა იყო, რომ მათ თავიდანვე მიზანში ამოიღეს NIDA, ხოლო მომჩივნების მიერ ნარკოტიკული საშუალებების და მოლოტოვის კოქტეილების სავარაუდო ფლობას უკავშირებდნენ NIDA-ს წევრობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამავე განცხადებაში, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, NIDA მოხსენიებული იყო, როგორც „დესტრუქციული ძალა“, ხოლო მისი საქმიანობა — უკანონო საქმიანობად იყო შეფასებული, რასაც ადგილი ჰქონდა მომჩივნების - ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს ოთხი წევრის - დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა ხელისუფლების ბრალდებებზე მომჩივნების მიერ ძალადობისა და სამოქალაქო არეულობის წახალისების განზრახვასთან დაკავშირებით, რაც ეფუძნებოდა ერთ-ერთი მომჩივნის ბინაში ფლანგების პოვნას, წარწერით: „სასწრაფოდ საჭიროა დემოკრატია, ტელ: +994, მისამართი: აზერბაიჯანი“.

163. ვინაიდან *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan, 2018* საქმეში არ არსებობდა მომჩივნების წინააღმდეგ „გონივრული ეჭვი“, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა

საკმარისი საფუძველი დასკვნისთვის, რომ მათი დაკავება ემსახურებოდა ფარულ მიზანს (§§ 122–125). მეორეს მხრივ, საქმეში *Azizov and Novruzlu v. Azerbaijan, 2021* სასამართლომ ვერ დაადგინა დაკავების ლეგიტიმური მიზნის არსებობა მე-5 მუხლის 1-პუნქტის (გ) მიხედვით, რადგან აღნიშნული პრეტენზია პროცესუალური საფუძველით დაუშვებლად იქნა ცნობილი. ამიტომ, სასამართლომ საქმის განხილვისას დაუშვა ლეგიტიმური მიზნის არსებობა და საქმე შეაფასა მიზნების შესაძლო სიმრავლის კრილში. შემდეგი ფაქტორები იყო გადამწყვეტი: ხელისუფლებამ აშკარად განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა NIDA-ს წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებებს, რომელთა მიზანიც იყო დემონსტრაციების შეჩერება და ორგანიზაციის საქმიანობის პარალიზება, მისი ოთხი ხელმძღვანელის დაკავების შედეგად. ასევე აღინიშნა, რომ შიდა სასამართლოებმა წინასწარი დაკავების სკაითხის განხილვისას, ყურადღება არ მიაქციეს იმ გარემოებას, რომ მეორე მომჩივანი არასრულწლოვანი იყო. აღნიშნული გარემოება მხედველობაში რომ მიეღოთ, სავარაუდოდ, მას დაუყოვნებლივ გაათავისუფლებდნენ (§§ 77–78).

164. საქმეში *Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan, 2020*, სასამართლომ განიხილა კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც ეხებოდა NIDA-ს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს: მისი წევრები ანტისამთავრობო გრაფიტის დახატვიდან რამდენიმე საათში დააკავეს და ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით წინასწარ პატიმრობაში მოათავსეს, „გონივრული ეჭვის“ არარსებობის პირობებში. სასამართლომ, ზოგად კონტექსტზე და საქმეში *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan, 2018* დადგენილ სპეციფიკურ გარემოებებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ სადავო ღონისძიებები მიზნად ისახავდა მომჩივანთა დასჯას მათი საქმიანობისთვის (§§ 151–157).

165. აღსანიშნავია, რომ საქმეებში *Mammadli v. Azerbaijan, 2018* (§ 103) და *Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan, 2018* (§ 124), სასამართლომ გაითვალისწინა მომჩივნების, როგორც სამოქალაქო აქტივისტების სტატუსი და სხვა რელევანტური კონტექსტუალური ფაქტორები, რომლებიც ნახსენებია ზემოთ და უარყო მთავრობის არგუმენტი, რომ მათი სამართლებრივი დევნა ვერ იქნებოდა პოლიტიკურად მოტივირებული, რადგან ისინი არ წარმოადგენდნენ ოპოზიციის ლიდერებს ან სახელმწიფო მოხელეებს.

E. დაუსაბუთებელი საჩივრები

166. ქვემოთ განხილულ საქმეებში, სასამართლომ არ ჩათვალა, რომ არსებობდა საკმარისი მტკიცებულება იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ სახელმწიფო ორგანოები

ხელმძღვანელობდნენ მიზნით, რომელიც განსხვავდებოდა კონვენციით გათვალისწინებული მიზნისგან, ან რომ ასეთი მიზნები დომინანტური იყო.

167. საქმეში *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017, სასამართლოს არ დაუდგენია, რომ მომჩივნის პოლიტიკურ ასპარეზიდან ჩამოშორების ფარული მიზანი იყო მისი წინასწარი პატიმრობის დომინანტური მიზანი. სასამართლომ ყურადღება მიაქცია საქმის ფართო პოლიტიკურ კონტექსტს და ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის წარმართვის ფორმას. პირველ რიგში, მომჩივნის პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირის მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნა და მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებები, ცალკე აღებული, ვერ ადასტურებდა, რომ სასამართლოები, რომლებმაც მომჩივნის წინასწარი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღეს, პოლიტიკური მოტივით მოქმედებდნენ. არ არსებობდა მტკიცებულება, რომ სასამართლოები აღმასრულებელი ხელისუფლებისგან არ იყვნენ საკმარისად დამოუკიდებლები. მეორე, საქმის განხილვის ხანგრძლივობა არ გაჭიანურებულა, ხოლო და პროცესის ჩატარების ადგილი (დედაქალაქის გარეთ) არ მიანიშნებდა საქმის მოსახერხებელ იურისდიქციაში გადატანის განზრახვაზე (forum shopping). მესამე, სასამართლო გადაწყვეტილებებში კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის კრილში არსებული ხარვეზები, როგორც ასეთი, არ იძლეოდა პოლიტიკური მიზნის არსებობის შესახებ დასკვნის გაკეთების საშუალებას. მეოთხე, ის ფაქტი, რომ სხვა წევრი სახელმწიფოების სასამართლოებმა უარი თქვეს მომჩივნის პარტიის სხვა ყოფილი წარმომადგენლების ექსტრადიქციაზე, იმ საფუძველით, რომ მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა იყო პოლიტიკურად მოტივირებული, არ განსაზღვრავდა ამ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებას. იმ საქმეებში ფაქტობრივი გარემოებები იდენტური არ ყოფილა. უფრო მეტიც, ექსტრადიქციის საკითხის განმხილველი სასამართლოები აფასებდნენ სამომავლო რისკს, მაშინ როცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს წარსულ ფაქტებზე (§§ 322-332) (იხილეთ, ასევე, *Ugulava v. Georgia*, 2023, რომელიც ეხებოდა იმავე პოლიტიკურ კონტექსტს — ახალი მმართველ პარტიასა და ყოფილ მმართველ პარტიას შორის მძაფრ დაპირისპირებას და ამ უკანასკნელის ლიდერების, მათ შორის მომჩივნის, წინააღმდეგ განხორციელებულ სისხლისსამართლებრივ დევნას. სასამართლომ ამ შემთხვევაში დაადგინა, რომ არ ყოფილა მე-18 მუხლის დარღვევა, მე-5 მუხლის 1-პუნქტთან ერთობლიობაში (§§ 123-131)).

168. საქმეში *Kamma v. the Netherlands* (ევროპული კომისიის ანგარიში, 14 ივლისი, 1974 წ.), მომჩივანი დაკავებული იყო გამოძალვის ბრალდებით და პოლიციამ მისი

წინასწარი პატიმრობის პერიოდი გამოიყენა იმისთვის, რომ დაეკითხა მკვლელობაში სავარაუდო მონაწილეობის შესახებ. კომისიამ არ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა იმის გათვალისწინებით, რომ პოლიციას უფლება ჰქონდა ემოქმედა ისე, როგორც იმოქმედა და რომ დაკავება არ მოქმედებდა მომჩივნის საწინააღმდეგოდ მკვლელობის საქმეში (გვერდები 10–13).

169. საქმეში *Ramishvili and Kokhleidze v. Georgia* (dec.), 27 ივნისი, 2007 წ., მომჩივანები, რომლებიც ტელეკომპანიის თანადამფუძნებლები და აქციონერები იყვნენ, წინასწარ პატიმრობაში იქნენ მოთავსებულნი გამოძალვის ბრალდებით — კერძოდ, ბრალდების თანახმად, მათ სავარაუდოდ კორუმპირებული პარლამენტარის შესახებ სამარცხვინო დოკუმენტური ფილმის არ გაშვების სანაცვლოდ მოითხოვეს თანხა. სასამართლომ არ დაადგინა, რომ მათი დაკავება ემსახურებოდა იმ ფარულ მიზანს, კერძოდ, ტელეკომპანიის გაჩუმებას და მათი კრიტიკული ჟურნალისტური აზრების გაუვრცელებლობას, პარლამენტარის და მმართველი პარტიის რეპუტაციის დასაცავად. მომჩივნებმა მხოლოდ ზოგადად მიუთითეს საქართველოში ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ პრობლემებზე და არ წარმოადგინეს კონკრეტული ფაქტები, რომლებიც მათ კონკრეტულ საქმეს უკავშირდებოდა და ფარული მიზნის არსებობას ადასტურებდა. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტორებზე, რომლებიც ფარული მიზნის არარსებობაზე მიუთითებდა: კერძოდ, წაყენებული ბრალდებები არ უკავშირდებოდა ჟურნალისტურ საქმიანობას. განსხვავებით საქმისგან *Gusinskiy v. Russia*, 2004, მთავრობას მომჩივნებისთვის არ შეუთავაზებია რაიმე გარიგება, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის სანაცვლოდ. გარდა ამისა, მათი ტელეკომპანია განაგრძობდა მაუწყებლობას და სკანდალური დოკუმენტური ფილმიც გადაიცა მათ დაკავების შემდეგ. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტმა ჩაატარა დამოუკიდებელი გამოძიება პარლამენტარის სავარაუდო კომერციულ საქმიანობაზე. შედეგად, პარლამენტარი გადადგა. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, მომჩივნების მიერ მე-18 მუხლის საფუძველზე წარდგენილი სარჩელი, მე-5 მუხლის ერთობლიობაში, დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული.

170. საქმეში *Dochnal v. Poland*, 18 სექტემბერი, 2012 წ., მომჩივანი, ბიზნესმენი და ლობისტი, მოთავსებული იქნა წინასწარ პატიმრობაში გადასახადების აცილების, ფულის გათეთრებისა და პარლამენტის წევრისთვის ქრთამის შეთავაზების ბრალდებით. ეს ბრალდებები შეადგენდა „გონივრულ ეჭვს“, რის გამოც მისი დაკავება წარმოადგენდა მიზანს, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-5 მუხლის 1-პუნქტით (გ). სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეს შესაძლოა გამოეწვია გარკვეული ეჭვი იმაზე, იყო თუ არა ხელისუფლების რეალური მიზანი, რომ მომჩივანს

დამატებითი ჩვენებები მიეცა სხვადასხვა პოლიტიკურად მგრძნობიარე საკითხებზე. თუმცა, მომჩივნის მიერ ფარული მიზნის შესახებ გაკეთებული განცხადებები შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმით, რომ მას ხელისუფლება დევნიდა და აბუჩად იგდებდა. შესაბამისად, მისი საჩივარი მე-18 მუხლის დარღვევაზე, მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტთან ერთობლიობაში, ცალსახად დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული (§§ 115–116).

171. საქმეში *Mirgadirov v. Azerbaijan and Turkey*, 17 სექტემბერი, 2020 წ., მომჩივანი, ჟურნალისტი და პოლიტიკური ანალიტიკოსი, მოთავსებული იქნა წინასწარ პატიმრობაში აზერბაიჯანში, სახელმწიფოს დალატის ბრალდებით — კერძოდ, მას ბრალად ედებოდა სომხეთის სადაზვერვო სამსახურებისთვის ინფორმაციის გადაცემა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს ბრალდებები არ ეფუძნებოდა „გონივრულ ეჭვს“, რის გამოც მისი დაკავება არღვევდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტს. იმ ნაწილში, სადაც მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი დაკავება მიზნად ისახავდა პროფესიული საქმიანობის ხელის შეშლას, სასამართლომ მიუთითა, რომ მისი ბრალდებები ზედაპირული და ზოგადი ხასიათის იყო და აკლდა საკმარისი კონკრეტულობა. კერძოდ, მომჩივანმა ვერ დაასახელა ვერც ერთი კონკრეტული ქმედება, სტატია ან ნაშრომი, საიდანაც შესაძლებელი იყო იმ დასკვნის გამოტანა, რომ მისი დაკავება შურისძიების ან დევნის მიზნით მოხდა. შესაბამისად, სასამართლომ ვერ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა, მე-5 მუხლთან ერთობლიობაში.

172. საქმეში *Nastase v. Romania* (dec.), 2014, განმცხადებელი — ყოფილი პრემიერ-მინისტრი და პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარე — ამტკიცებდა, რომ მისი მსჯავრდება კორუფციულ დანაშაულებთან დაკავშირებით იყო პოლიტიკურად მოტივირებული. თავისი პრეტენზიის დასადასტურებლად, მან მიუთითა სასამართლოს გადაწყვეტილებაში გამოყენებულ ფორმულირებებზე, სადაც იგი მოხსენიებული იყო, როგორც „პოლიტიკური კლასის კორუფციის განსახიერება“ და სადაც აღნიშნული იყო, რომ მას თავისუფლების აღკვეთის სახით „სამაგალითო სასჯელი“ უნდა დაკისრებოდა (§§ 34 და 106). თუმცა, სასამართლოს შეფასებით, ეს განცხადებები წარმოადგენდა ეროვნული სასამართლოს მიერ განმცხადებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენის შედეგს და არა ფარული მოტივის გამოხატულებას. გარდა ამისა, ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები იყო სათანადოდ დასაბუთებული და ეყრდნობოდა შიდა სამართლის შესაბამის ნორმებს. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის მაღალი პოლიტიკური სტატუსი გარკვეულ ეჭვს აჩენდა ხელისუფლების რეალურ ინტერესთან დაკავშირებით, მისი პრეტენზიები ამ მხრივ იყო საკმაოდ ბუნდოვანი და არ ეფუძნებოდა კონკრეტულ მტკიცებულებებს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების

შესახებ. შესაბამისად, სასამართლომ განმცხადებლის სარჩელი მე-18 მუხლისა და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ერთობლივი დარღვევის შესახებ უარყო, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი (§§ 108–109).

173. საქმეში *Tchankotadze v. Georgia*, 2016, განმცხადებელი — მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე — დააკავეს და გაასამართლეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის მას შემდეგ, რაც ბატონი სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტად იქნა არჩეული. საარჩევნო კამპანიის დროს, ბატონმა სააკაშვილმა საჯაროდ დააანონსა, რომ განმცხადებელი „ციხეში წავიდოდა“. სასამართლომ განმცხადებლის საჩივარი მე-18 მუხლის დარღვევის შესახებ, მე-5 მუხლთან ერთობლიობაში, უარყო აშკარად დაუსაბუთებლობის გამო, რადგან აღნიშნული მუქარა, ცალკე აღებული, საკმარისი არ იყო ფარული მიზნის დასადგენად სისხლისსამართლებრივი დევნისა და შესაბამისი წინასწარი პატიმრობის კონტექსტში. დამატებითი მტკიცებულებების ან არგუმენტების არარსებობის გამო, სასამართლომ ვერ შეძლო იმის დადგენა, რომ საქმე ცალსახად იყო დაკავშირებული აღნიშნულ მუქარასთან ან რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა რაიმე სხვა გზით მოახდინა საქმის მიმდინარეობაზე გავლენა. ამასთან, არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ ბრალდება ან სასამართლომ, ოფიციალური ან არაოფიციალური არხებით, აჩვენეს ფარული მოტივების არსებობა (§§ 114–115).

174. საქმეში *Batiashvili v. Georgia*, 2019, განმცხადებელი — ოპოზიციის ცნობილი წარმომადგენელი — წინასწარ პატიმრობაში მოათავსეს სისხლისსამართლებრივი დევნის ფარგლებში, ამბოხების განხორციელებაში შეიარაღებული ჯგუფის ხელშეწყობის ბრალდებით. იგი მიუთითებდა მაღალი რანგის პოლიტიკური პირების განცხადებებზე, რომლებიც გაკეთდა მისი დაკავების წინ და შემდეგ, და ამტკიცებდა, რომ წინასწარი პატიმრობის ფარული მიზანი იყო მისი პოლიტიკურ სცენიდან მოშორება. თუმცა, სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული ელემენტები, როგორც ასეთი, ვერ იძლეოდა იმის დასკვნის საფუძველს, რომ სასამართლო ფარული მიზნის საფუძველზე მოწმედებდა, რადგან არ არსებობდა მტკიცებულებები იმისა, რომ სასამართლო არ იყო აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი. სასამართლომ განიხილა წინასასამართლო განხილვების სისწრაფე და დასაბუთებულობა და ვერ დაადგინა, რომ განმცხადებლის წინასასამართლო პატიმრობას რაიმე ფარული მოტივი ჰქონდა. მეტიც, პატიმრობა განხორციელდა იმ მიზნით, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტით (§§ 101–103).

175. საქმეში *Melia v. Georgia, 2023*, განმცხადებელი — ოპოზიციონერი პოლიტიკოსი და პარლამენტის წევრი — გაასამართლეს პარლამენტის შენობის წინ დემონსტრაციების ესკალაციაში მონაწილეობის გამო და წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს მას შემდეგ, რაც უარი თქვა გირაოს თანხის გადახდაზე. იგი მიუთითებდა სამართლებრივი დევნის დაწყებისა და წინასწარი პატიმრობის დაკისრების გარემოებებზე და აცხადებდა, რომ მისი დაკავების ფარული მიზანი იყო მისი პოლიტიკური ველიდან მოშორება. თუმცა, არსებული პოლიტიკური დამაბულობის და მისი წინასწარი პატიმრობის განსაკუთრებული კონტექსტის მიუხედავად, სასამართლომ, ყველა წარდგენილი არგუმენტის გათვალისწინებით, ვერ დაადგინა, რომ მისი პატიმრობა ემსახურებოდა კონვენციით დაუშვებელ მიზანს. შესაბამისად, სასამართლომ ვერ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტთან ერთობლიობაში (§§ 135–144).

176. ქვემოთ განხილული საქმეები თურქეთის წინააღმდეგ — *Sabuncu and Others v. Turkey, 2020*, *Şık v. Turkey (no. 2), 2020* და *Ahmet Hüsrev Altan v. Turkey, 2021* — ეხებოდა ჟურნალისტებისა და გამომცემლების ხანგრძლივ წინასასამართლო პატიმრობას. კერძოდ, მათი სარედაქციო პოზიცია, რომელიც დაცულია პრესის თავისუფლებით, არაგონივრულად გაუთანაბრეს ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერას ან გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობას. სასამართლომ დაადგინა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-10 მუხლის დარღვევა, ცალ-ცალკე. კერძოდ, მომჩივნების მიმართ წაყენებული ბრალდებები არ ეფუძნებოდა „გონივრულ ეჭვს“ მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტის მნიშვნელობით. ისინი, ძირითადად, ეფუძნებოდა ქმედებებს, რომლებიც შიდა სამართლის თანახმად ვერ ჩაითვლებოდა დანაშაულებრივ ქმედებად და დაკავშირებული იყო გამოხატვის თავისუფლების განხორციელებასთან. ამავდროულად, სასამართლოს შეფასებით, აღნიშნულ საქმეებში არსებული სპეციფიკური გარემოებები არ ქმნიდა „საკმარისად ერთგვაროვან მთლიანობას“, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ფარული მიზნის იდენტიფიცირება. სასამართლომ მნიშვნელობა მიანიჭა გადატრიალების მცდელობის კონტექსტს, რითაც გამართლებული იყო ფართომასშტაბიანი გამოძიებების ჩატარება, განსაკუთრებით არსებული სერიოზული არეულობის, მსხვერპლისა და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების ფონზე. გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ღონისძიებების დროს კონკრეტული პრობლემები არ იკვეთებოდა: მომჩივნების დაკავებასა და მათ მიმართ წაყენებულ ბრალდებებს შორის გასული დრო არ იყო გადაჭარბებულად დიდი. დამატებით, საქმეებში *Sabuncu and Others v. Turkey* და *Şık v. Turkey (no. 2)*, სასამართლომ განიხილა პრეზიდენტის საჯარო განცხადებები, სადაც იგი იმუქრებოდა, რომ კონკრეტული სტატიის ავტორს „ძვირად დაუჯდებოდა“

[სტატიის მომზადება]. თუმცა, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული განცხადებები არ იყო მიმართული უშუალოდ მომჩივნების წინააღმდეგ, არამედ ეხებოდა მთლიანად გაზეთს და მის იმჟამინდელ რედაქტორს. ნებისმიერ შემთხვევაში, არ არსებობდა მტკიცებულება, რომ შიდა სასამართლოები მოქმედებდნენ აღნიშნული განცხადებების გავლენის ქვეშ. სამივე საქმეში, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მომჩივნების სარჩელები თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დეტალურად იყო განხილული. და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ წინასასამართლო პატიმრობას შესაძლოა ჰქონოდა „გამყინავი ეფექტი“ თავად მომჩივნებზე და პოლიტიკური ამბებზე მომუშავე ჟურნალისტებზე, ეს გარემოება, ცალკე აღებული, საკმარისი არ იყო დასკვნისათვის, რომ ადგილი ჰქონდა მე-18 მუხლის დარღვევას, მე-5 მუხლის 1-ელ და მე-10 მუხლებთან ერთობლიობაში.

177. საქმეში *Korban v. Ukraine, 2019*, სადაც განიხილებოდა ცნობილი პოლიტიკოსის თავისუფლების აღკვეთის პოლიტიკურად მოტივირებულობის შესახებ პრეტენზიები, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიერ დანაშაულის ჩადენის გონივრული ეჭვი არსებობდა. ამავდროულად, მომჩივნის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა ერთ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, თუმცა, იგი მოულოდნელად და რაიმე ცხადი მიზეზის გარეშე დააკავეს სპეცრაზმის საშუალებით, ხოლო მის საქმეს პროკურატურამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა. ეს მოვლენები პოლიტიკური პარტიების, მედია საშუალებებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ფართოდ აღიქმებოდა, როგორც შერჩევითი სამართალი და სავარაუდოდ ფარულ მიზანზე მიუთითებდა, თუმცა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მხოლოდ იმ კონკრეტულ არგუმენტებზე, რომლებიც მომჩივანმა წამოჭრა მე-18 მუხლის საფუძველზე აღძრული საჩივრის დასამტკიცებლად. აღნიშნული არგუმენტებიდან არცერთი არ იძლეოდა შესაძლებლობას, რომ სასამართლოს ფარული მიზნის არსებობა დაედგინა, არათუ ფარული მიზანი დომინანტურად მიეჩნია. პირველ რიგში, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი ეკუთვნოდა იმ რეგიონული სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოლიტიკურ გუნდს, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, პრეზიდენტთან კონფლიქტის შემდეგ გადადგა, აღნიშნულ თანამდებობის პირს ან მის თანაგუნდელებს არ წამოუჭრიათ პოლიტიკური დევნის შესახებ პრეტენზიები. მეორე, ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ პრეზიდენტის პარტიის კანდიდატი, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა, მომჩივნის წინააღმდეგ შურისძიებას შეეცდებოდა, ვინაიდან მომჩივანმა ხმების ნახევარზე ნაკლები მიიღო. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი ამტკიცებდა, რომ არჩევნები გაყალბდა, მას აღნიშნულზე საჩივარი კონვენციის №1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის საფუძველზე არ შეუტანია. მესამე, არ არსებობდა ინფორმაცია, რომ

განხორციელდა რაიმე მცდელობები იმდროინდელი პრეზიდენტის ან მთავრობის კრიტიკოსთა ხმების ჩახშობასთან დაკავშირებით. მეოთხე, მომჩივნის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დაახლოებით ერთი წლით ადრე, სანამ იგი დააფუძნებდა საკუთარ პარტიას. თუმცა, ორ სხვა პარტიას, რომლებიც პრეზიდენტთან არ იყო დაკავშირებული და არჩევნებში უკეთესი შედეგები აჩვენა, არ წამოუყენებია დევნის შესახებ ბრალდებები. შესაბამისად, სასამართლომ არ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა, მე-5 მუხლთან ერთობლიობაში (§§ 216–225).

178. საქმეში *Ovcharenko and Kolos v. Ukraine, 2023*, მომჩივნები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები იყვნენ, გადააყენეს თანამდებობიდან განსაკუთრებული მოვლენების — „უკრაინის ღირსების რევოლუციის“ — კონტექსტში. სასამართლო ჩათვალა, რომ ხელისუფლებას ფარული მიზანი არ ჰქონია, ხოლო მომჩივნებმა დაარღვიეს „ფიცი“ დემოკრატიისა და ხელისუფლების განაწილების ფუნდამენტური პრინციპების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებაში მონაწილეობის მიღების შედეგად. შესაბამისად, მომჩივანთა საჩივარი კონვენციის მე-18 მუხლის საფუძველზე აშკარად დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული. (§§ 134–136).

179. საქმეები *ОАО Нефтяная Компания Yukos v. Russia, 2011*, *Khodorkovskiy v. Russia, 2011* და *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, 2013* აღძრული იქნა, შესაბამისად, რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი ნავთობის მწარმოებელი კომპანიის და მისი უფროსი მენეჯერებისა და მსხვილი აქციონერების მიერ, რომლებიც იმ დროისათვის რუსეთის უმდიდრეს ადამიანებს შორის იყვნენ. ბატონი ხოდორკოვსკი ასევე იყო პოლიტიკურად აქტიური — იგი მნიშვნელოვანი თანხებით აფინანსებდა ოპოზიციურ პარტიებს. ორივე მენეჯერი დააკავეს და გადასახადების გადაუხდელობასა და თაღლითობაში ცნეს დამნაშავედ. იმავე პერიოდში, კომპანია Yukos-ის წინააღმდეგ დაიწყო საგადასახადო და იძულებითი სააღსრულებო პროცესები, რამაც საბოლოოდ მისი ლიკვიდაცია გამოიწვია. კომპანიის გაკოტრება გამოიწვია საგადასახადო დავალიანების ამოღებამ და არაპროპორციულმა სანქციებმა.

180. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებული გარემოებები შესაძლებელია ინტერპრეტირებული იქნას იმგვარად, რაც განამტკიცებს არასათანადო მოტივების შესახებ მომჩივნების პრეტენზიებს: ხელისუფლება ცდილობდა „ოლიგარქების“ პოლიტიკური გავლენის შემცირებას, ხოლო Yukos-ის ბიზნესპროექტები ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ნავთობის პოლიტიკას (*Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, 2013, § 910*; *ОАО Нефтяная Компания Yukos v. Russia, 2011, §§ 237-238*). თუმცა, სასამართლომ არ გაიზიარა მომჩივანთა მტკიცება,

რომ სადავო პროცესები ძირითადად ემსახურებოდა ფარულ მიზანს — ბატონი ხოდორკოვსკის პოლიტიკური სცენიდან მოშორებას და სახელმწიფოს მიერ Yukos-ის აქტივების მიტაცებას (*Khodorkovskiy v. Russia, 2011, § 260; OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia, 2011, § 665; Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, 2013, § 908*).

181. მომჩივნები ეყრდნობოდნენ კონტექსტუალურ მტკიცებულებებს და ავტორიტეტული პოლიტიკური ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების ან საჯარო ფიგურების მოსაზრებებს იმისათვის, რომ დაესაბუთებინათ მე-18 მუხლის საფუძველზე წამოჭრილი პრეტენზიები. სასამართლომ მიიჩნია, რომ მათ ვერ წარმოადგინეს „უდავო და პირდაპირი მტკიცებულებები“ (*Khodorkovskiy v. Russia, 2011, § 260; OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia, 2011, § 663; Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, 2013, § 902*). თუმცა, საქმეში *Merabishvili v. Georgia* [GC], 2017 სასამართლომ განამარტა, რომ ასეთი საჩივრების განხილვისას იგი აღარ ეყრდნობა მხოლოდ პირდაპირ მტკიცებულებებს, ხოლო მტკიცების ტვირთი არ ეკისრება მხოლოდ ერთ-ერთ მხარეს (§§ 311 და 316). შესაბამისად, Yukos-ის საქმეები განხილული უნდა იქნას ამ განმარტების გათვალისწინებით. სასამართლო ასევე დაეყრდნო ქვემოთ წარმოდგენილ არგუმენტებს.

182. პირველ რიგში, ის ფაქტი, რომ ხელისუფლება ბატონ ხოდორკოვსკის აღიქვამდა, როგორც სერიოზულ პოლიტიკურ ოპონენტს, ხოლო Yukos-ის დაშლის შედეგად სახელმწიფო საკუთრებაში არსებულმა კომპანიამ მიიღო სარგებელი, საკმარისი არ იყო მე-18 მუხლის დარღვევის დასადგენად, რადგან ნებისმიერი მაღალი პროფილის მქონე პირის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა ბუნებრივად აძლევდა სარგებელს მის ოპონენტებს. ამასთან, ამ გარემოებას ხელი არ უნდა შეეშალა მძიმე ბრალდებების არსებობის შემთხვევაში ასეთი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთვის: „მაღალი პოლიტიკური სტატუსი არ ანიჭებს იმუნიტეტს“ (*Khodorkovskiy v. Russia, 2011, §§ 257-258; Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, 2013, § 903*).

183. მეორე, Yukos-ის მენეჯერების წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები იყო რეალური და მძიმე, ხოლო მათი სისხლის სამართლის საქმე მოიცავდა „ჯანსაღ ბირთვს“ (*Khodorkovskiy v. Russia, 2011, § 258; Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, 2013, § 908*).

ხელისუფლებამ ასევე ლეგიტიმური ქმედებები განახორციელა Yukos-ის მიერ გადასახადისთვის თავის არიდებასთან საბრძოლველად (*OAO Neftyanaya Kompaniya*

Yukos v. Russia, 2011, § 664). სასამართლომ უარყო კომპანიის მტკიცება, რომ მისი ვალი დადგინდა შიდა სამართლის არაგანჭვრეტადი, არაკანონიერი და თვითნებური ინტერპრეტაციის საფუძველზე (იგივე, §§ 605, 616 და 664).

184. მესამე, Yukos-ის მენეჯერების წინააღმდეგ წაყენებული არც ერთი ბრალდება არ ეხებოდა მათ პოლიტიკურ საქმიანობას — ისინი გაასამართლეს სისხლისსამართლებრივი დანაშაულისთვის (*Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, 2013, § 906*).

185. ბოლოს, სხვა წევრი სახელმწიფოების სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლებმაც უარი თქვეს მომჩივნებთან ასოცირებული პირების ექსტრადიციაზე რუსეთში, ან Yukos-თან დაკავშირებულ საქმეებში იურიდიული დახმარების გაწევაზე, რუსეთს დააკისრეს კომპენსაციის გადახდა ან გამოსცეს ამკრძალავი ორდერები, არ იყო საკმარისი, რადგან ამ სასამართლოების წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებები და არგუმენტები სავარაუდოდ განსხვავდებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის წარდგენილი მასალებისგან (*Khodorkovskiy v. Russia, 2011, § 260; Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, 2013, § 900*).

186. სასამართლომ ვერ დაადგინა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა სავარაუდო ფარული მიზნების არსებობას. შესაბამისად, მას არ დაუდგენია მე-18 მუხლის დარღვევა, მე-5 მუხლთან ერთობლიობაში, საქმეში *Khodorkovskiy v. Russia, 2011*, და მე-18 მუხლის დარღვევა №1 დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან ერთობლიობაში, საქმეში *OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia, 2011* (ასევე იხილეთ *Nevzlin v. Russia, 2022, §§ 124–125*). საქმეში *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, 2013*, სასამართლო მზად იყო ჩაეთვალა, რომ მომჩივნების წინააღმდეგ დაწყებულ სისხლისსამართლებრივ დევნას შესაძლოა ჰქონოდა ფარული მიზანი. თუმცა, მან ვერ დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა, რადგან არ დადასტურდა აღნიშნული ფარული მიზნის დომინანტურობა.

187. საქმეში *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia (no. 2), 2020*, მომჩივანებმა წამოჭრეს მე-18 მუხლის დარღვევის საკითხი, მე-8 მუხლთან ერთობლიობაში, რაც დაკავშირებული იყო ოჯახის წევრებთან ხანგრძლივი პაემნების შეუძლებლობას წინასწარი დაკავების იზოლატორებში, სადაც ისინი გადაიყვანეს მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით. სადავო შეზღუდვას არ გააჩნდა რაიმე ლეგიტიმური მიზანი ან სათანადო დასაბუთება და შესაბამისად, არღვევდა მე-8 მუხლს, ცალკე აღებული. ვინაიდან აღნიშნული შეზღუდვა ეფუძნებოდა შიდა სამართლის ნორმას,

რომელიც ერთნაირად ვრცელდებოდა ყველა წინასწარ დაკავებულ პირზე, სასამართლომ ვერ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში მისი გამოყენება მიუთითებდა ფარული მიზნის არსებობაზე, როგორც ამას ამტკიცებდნენ მომჩივანები, და შესაბამისად, მას არ დაუდგენია მე-18

ციტირებული საქმეების სია

ამ სახელმძღვანელოში ციტირებული პრეცედენტული სამართალი მიუთითებს სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე და ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის („კომისია“) გადაწყვეტილებებსა და ანგარიშებზე.

თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ყველა ბმული უკავშირდება სასამართლოს პალატის მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებებს. აბრევიატურა “(dec.)” აღნიშნავს, რომ ციტატა მოყვანილია სასამართლოს გადაწყვეტილებიდან, ხოლო “[GC]” აღნიშნავს, რომ საქმე განხილულ იქნა დიდი პალატის მიერ.

პალატის ის განჩინებები, რომლებიც ამ განახლების გამოქვეყნების დროს ჯერ საბოლოო არ იყო, ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალში აღნიშნულია სიმბოლოთი (*). კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს: „პალატის გადაწყვეტილება საბოლოო ხდება: a) როდესაც მხარეები აცხადებენ, რომ ისინი არ ითხოვენ საქმის გადაცემას დიდი პალატისათვის; ან b) პალატის გადაწყვეტილების გამოტანიდან სამი თვის შემდეგ, თუ დიდ პალატაში საქმის გადაცემის თხოვნა არ იქნა წარდგენილი; ან c) როდესაც დიდი პალატის კოლეგია უარს აცხადებს 43-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი გადაცემის თხოვნის დაკამყოფილებაზე.“ იმ შემთხვევებში, როდესაც გადაცემის მოთხოვნა დიდი პალატის კოლეგიის მიერ დაკმაყოფილებულია, შესაბამისად, ის არის დიდი პალატის გადაწყვეტილება და არა პალატის გადაწყვეტილება, რომელიც ხდება საბოლოო.

სახელმძღვანელოში ციტირებული საქმეების ელექტრონული ბმულები დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა დოკუმენტების ბაზასთან (HUDOC) (<http://hudoc.echr.coe.int>), რაც უზრუნველყოფს წვდომას სასამართლოს (დიდი პალატის, პალატისა და კომიტეტის გადაწყვეტილებები და განჩინებები, დაკავშირებული საქმეები, მრჩეველთა მოსაზრებები და პრეცედენტული სამართლის საინფორმაციო შენიშვნის სამართლებრივი რეზიუმეები) და კომისიის (გადაწყვეტილებები და ანგარიშები) საქმეებსა და მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციებზე.

სასამართლო საკუთარ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებს ადგენს მის ორ ოფიციალურ ენაზე, ინგლისურად და/ან ფრანგულად. ადამიანის უფლებათა დოკუმენტების ბაზა (HUDOC), ასევე, მოიცავს ბევრი მნიშვნელოვანი საქმის თარგმანს ოცდაათზე მეტ არაოფიციალურ ენაზე და მესამე მხარეების მიერ შედგენილი სასამართლო პრაქტიკის ასამდე ინტერნეტ ბმულს. ამ გზამკვლევაში გამოყენებული საქმეების სხვადასხვა ენებზე ხელმისაწვდომი ვერსიები შეგიძლიათ მოიპოვოთ

HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში „ენობრივი ვერსიების“ ღილაკზე დაჭერით. ეს ღილაკი გამოჩნდება, როდესაც თქვენ გადახვალთ საქმის ელექტრონულ ბმულზე.

—A—

Ahmet Hüsrev Altan v. Turkey, no. 13252/17, 13 აპრილი, 2021 წ.
Akhalaia v. Georgia (dec.), nos. 30464/13 and 19068/14, 7 ივნისი, 2022 წ.
Aktaş v. Turkey, no. 24351/94, ECHR 2003-V
Aliyev v. Azerbaijan, nos. 68762/14 and 71200/14, 20 სექტემბერი, 2018 წ.
Ashingdane v. the United Kingdom, 28 მაისი, 1985 წ., Series A no. 93
Avraamova v. Ukraine [Committee], no. 2718/12, 20 სექტემბერი, 2022 წ.
Ayyubzade v. Azerbaijan, no. 6180/15, 2 მარტი, 2023 წ.
Azimov v. Russia, no. 67474/11, 18 აპრილი, 2013 წ.
Azizov and Novruzlu v. Azerbaijan, nos. 65583/13 and 70106/13, 18 თებერვალი, 2021 წ.

—B—

Baka v. Hungary [GC], no. 20261/12, 23 ივნისი, 2016 წ.
Bączkowski and Others v. Poland, no. 1543/06, 3 მაისი, 2007 წ.
Batiashvili v. Georgia, no. 8284/07, 10 ოქტომბერი, 2019 წ.
Beyeler v. Italy [GC], no. 33202/96, ECHR 2000-I
Bîrsan v. Romania (dec.), no. 79917/13, 2 თებერვალი, 2016 წ.
Bozano v. France, 18 დეკემბერი, 1986 წ., Series A no. 111

—C—

C.R. v. Switzerland (dec.), no. 40130/98, 14 ოქტომბერი, 1999 წ.
Cebotari v. Moldova, no. 35615/06, 13 ნოემბერი, 2007 წ.
Čonka v. Belgium, no. 51564/99, ECHR 2002-I
Cyprus v. Turkey [GC], no. 25781/94, ECHR 2001-IV

—D—

Democracy and Human Rights Resource Centre and Mustafayev v. Azerbaijan, nos. 74288/14 and 64568/16, 14 ოქტომბერი, 2021 წ.
Denisov v. Ukraine [GC], no. 76639/11, 25 სექტემბერი, 2018 წ.
De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium, 18 ივნისი, 1971 წ., Series A no. 12
Dochnal v. Poland, no. 31622/07, 18 სექტემბერი, 2012 წ.

—E—

El-Masri v. the former Yugoslav Republic of Macedonia [GC], no. 39630/09, ECHR 2012
Eshonkulov v. Russia, no. 68900/13, 15 იანვარი, 2015 წ.

—G—

Gafgaz Mammadov v. Azerbaijan, no. 60259/11, 15 ოქტომბერი, 2015 წ.
Giorgi Nikolaishvili v. Georgia, no. 37048/04, 13 იანვარი, 2009 წ.
Georgia v. Russia (I) [GC], no. 13255/07, ECHR 2014
Georgia v. Russia (IV) (dec.), no. 39611/18, 28 მარტი, 2023 წ.
Gillow v. the United Kingdom, 24 ნოემბერი, 1986 წ., Series A no. 109
Gusinskiy v. Russia, no. 70276/01, ECHR 2004-IV
Guzzardi v. Italy, 6 ნოემბერი, 1980 წ., Series A no. 39

—H—

Hakobyan and Others v. Armenia, no. 34320/04, 10 აპრილი, 2012 წ.
Haziye v. Azerbaijan, no. 19842/15, 6 დეკემბერი, 2018 წ.
Huseynli and Others v. Azerbaijan, nos. 67360/11 and 2 others, 11 თებერვალი, 2016 წ.

—I—

Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan, nos. 63571/16 and 5 others, 13 თებერვალი, 2020 წ.
Ibrahimov and Others v. Azerbaijan, nos. 69234/11 and 2 others, 11 თებერვალი, 2016 წ.
Ilgar Mammadov v. Azerbaijan, no. 15172/13, 22 მაისი, 2014 წ.
Ilgar Mammadov v. Azerbaijan (no. 2), no. 919/15, 16 ნოემბერი, 2017 წ.
Ilgar Mammadov v. Azerbaijan (infringement proceedings) [GC], no. 15172/13, 29 მაისი, 2019 წ.
Ireland v. the United Kingdom, 18 იანვარი, 1978 წ., Series A no. 25
Isik v. Turkey, no. 24128/94, Commission decision of 29 ნოემბერი, 1995 წ.
Iskandarov v. Russia, no. 17185/05, 23 სექტემბერი, 2010 წ.

—J—

Janowiec and Others v. Russia [GC], nos. 55508/07 and 29520/09, ECHR 2013
Jordan v. the United Kingdom (dec.), no. 22567/02, 23 ნოემბერი, 2004 წ.
Josephides v. Turkey (dec.), no. 21887/93, 24 აგვისტო, 1999 წ.
Juszczyszyn v. Poland, no. 35599/20, 6 ოქტომბერი, 2022 წ.

—K—

Kafkaris v. Cyprus [GC], no. 21906/04, ECHR 2008

Kamma v. the Netherlands, no. 4771/71, Commission's report of 14 ივლისი, 1974 წ.

Kasparov v. Russia, no. 53659/07, 11 ოქტომბერი, 2016 წ.

Kavala v. Turkey, no. 28749/18, 10 დეკემბერი, 2019 წ.

Kavala v. Türkiye [GC], no. 28749/18, 11 ივლისი, 2022 წ.

Khadija Ismayilova v. Azerbaijan, nos. 65286/13 and 57270/14, 10 იანვარი, 2019 წ.

Khadija Ismayilova v. Azerbaijan (no. 2), no. 30778/15, 27 თებერვალი, 2020 წ.

Khodorkovskiy v. Russia, no. 5829/04, 31 მაისი, 2011 წ.

Khodorkovskiy v. Russia (no. 2) (dec.), no. 11082/06, 8 ნოემბერი, 2011 წ.

Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, nos. 11082/06 and 13772/05, 25 ივლისი, 2013 წ.

Khodorkovskiy and Lebedev v. Russia (no. 2), nos. 42757/07 and 51111/07, 14 იანვარი, 2020 წ.

Kogan and Others v. Russia, no. 54003/20, 7 მარტი, 2023 წ.

Korban v. Ukraine, no. 26744/16, 4 ივლისი, 2019 წ.

Kucheruk v. Ukraine, no. 2570/04, 6 სექტემბერი, 2007 წ.

Kutayev v. Russia, no. 17912/15, 24 იანვარი, 2023 წ.

—L—

Lashmankin and Others v. Russia, nos. 57818/09 and 14 others, 7 თებერვალი, 2017 წ.

Lawless v. Ireland (no. 3), 1 ივლისი, 1961 წ., Series A no. 3

Lebedev v. Russia (no. 2) (dec.), no. 13772/05, 27 მაისი, 2010 წ.

Lingens v. Austria, 8 ივლისი, 1986 წ., Series A no. 103

Lutsenko v. Ukraine, no. 6492/11, 3 ივლისი, 2012 წ.

—M—

Mammadli v. Azerbaijan, no. 47145/14, 19 აპრილი, 2018 წ.

Melia v. Georgia, no. 13668/21, 7 სექტემბერი, 2023 წ.

Merabishvili v. Georgia [GC], no. 72508/13, 28 ნოემბერი, 2017 წ.

Mirgadirov v. Azerbaijan and Turkey, no. 62775/14, 17 სექტემბერი, 2020 წ.

Miroslava Todorova v. Bulgaria, no. 40072/13, 19 ოქტომბერი, 2021 წ.

—N—

Nachova and Others v. Bulgaria [GC], nos. 43577/98 and 43579/98, ECHR 2005-VII

Nastase v. Romania (dec.), no. 80563/12, 18 ნოემბერი, 2014 წ.

Natig Jafarov v. Azerbaijan, no. 64581/16, 7 ნოემბერი, 2019 წ.

Navalnyy v. Russia [GC], nos. 29580/12 and 4 others, 15 ნოემბერი, 2018 წ.
Navalnyy v. Russia (no. 2), no. 43734/14, 9 აპრილი, 2019 წ.
Navalnyy and Gunko v. Russia, no. 75186/12, 10 ნოემბერი, 2020 წ.
Navalnyy and Ofitserov v. Russia, nos. 46632/13 and 28671/14, 23 თებერვალი, 2016 წ.
Navalnyy and Others v. Russia [Committee], no. 25809/17 and others, 4 ოქტომბერი, 2022 წ.
Navalnyy and Yashin v. Russia, no. 76204/11, 4 დეკემბერი, 2014 წ.
Navalnyye v. Russia, no. 101/15, 17 ოქტომბერი, 2017 წ.
Nemtsov v. Russia, no. 1774/11, 31 ივლისი, 2014 წ.
Nevzlin v. Russia, no. 26679/08, 18 იანვარი, 2022 წ.
Nikëhasani v. Albania, no. 58997/18, 13 დეკემბერი, 2022 წ.
NIT S.R.L. v. the Republic of Moldova [GC], no. 28470/12, 5 აპრილი, 2022 წ.
Nowak v. Ukraine, no. 60846/10, 31 მარტი, 2011 წ.

—O—

OA O Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia, no. 14902/04, 20 სექტემბერი, 2011 წ.
Oates v. Poland (dec.), no. 35036/97, 11 მაისი, 2000 წ.
Oferta Plus S.R.L. v. Moldova, no. 14385/04, 19 დეკემბერი, 2006 წ.
Oleksiy Mykhaylovych Zakharkin v. Ukraine, no. 1727/04, 24 ივნისი, 2010 წ.
Ovcharenko and Kolos v. Ukraine, nos. 27276/15 and 33692/15, 12 იანვარი, 2023 წ.

—R—

Ramishvili and Kokhleidze v. Georgia (dec.), no. 1704/06, 27 ივნისი, 2007 წ.
Rashad Hasanov and Others v. Azerbaijan, nos. 14865/13 and 3 others, 7 ივნისი, 2018 წ.
Rasul Jafarov v. Azerbaijan, no. 69981/14, 17 მარტი, 2016 წ.
Razvozhayev v. Russia and Ukraine and Udaltsov v. Russia, nos. 75734/12 and 2 others, 19 ნოემბერი, 2019 წ.
Rustamzade v. Azerbaijan, no. 38239/16, 7 მარტი, 2019 წ.
Rustavi 2 Broadcasting Company Ltd and Others v. Georgia, no. 16812/17, 18 ივლისი, 2019 წ.

—S—

Saakashvili v. Georgia (dec.), nos. 6232/20 and 22394/20, 1 მარტი, 2022 წ.
Sabuncu and Others v. Turkey, no. 23199/17, 10 ნოემბერი, 2020 წ.
Savalanli and Others v. Azerbaijan, no. 54151/11, 15 დეკემბერი, 2022 წ.
Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2) [GC], no. 14305/17, 22 დეკემბერი, 2020 წ.
Şener v. Turkey, no. 26680/95, 18 ივლისი, 2000 წ.

Shimovolos v. Russia, no. 30194/09, 21 ივნისი, 2011 წ.

Şik v. Turkey (no. 2), no. 36493/17, 24 ნოემბერი, 2020 წ.

Staykov v. Bulgaria, no. 16282/20, 8 ივნისი, 2021 წ.

—T—

Tchankotadze v. Georgia, no. 15256/05, 21 ივნისი, 2016 წ.

The United Macedonian Organisation Ilinden – PIRIN and Others v. Bulgaria (no. 2), nos. 41561/07 and 20972/08, 18 ოქტომბერი, 2011 წ.

Timurtaş v. Turkey (Commission's report), no. 23531/94, 29 ოქტომბერი, 1998 წ.

Timurtaş v. Turkey, no. 23531/94, ECHR 2000-VI

Tretiak v. Ukraine [Committee], no. 16215/15, 17 დეკემბერი, 2020 წ.

Tymoshenko v. Ukraine, no. 49872/11, 30 აპრილი, 2013 წ.

—U—

Udaltsov v. Russia, no. 76695/11, 6 ოქტომბერი, 2020 წ.

Ugulava v. Georgia, no. 5432/15, 9 თებერვალი, 2023 წ.

Ukraine v. Russia (re Crimea) [GC], nos. 20958/14 and 38334/18, 25 ივნისი, 2024 წ.

Uspaskich v. Lithuania, no. 14737/08, 20 დეკემბერი, 2016 წ.

—W—

Weeks v. the United Kingdom, 2 მარტი, 1987 წ., Series A no. 114

Winterwerp v. the Netherlands, 24 ოქტომბერი, 1979 წ., Series A no. 33

—Y—

Yuksekdag Senoglu and Others v. Türkiye, nos. 14332/17 and others, 8 ნოემბერი, 2022 წ.

Yunusova and Yunusov v. Azerbaijan (no. 2), no. 68817/14, 16 ივლისი, 2020 წ.